ოსური მწერლობის ანთოლოგია



Ирон Литературæйы антологи

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2007

UDC (უაკ) 821.353.1-82
ბ-498. ქ-279

წიგნის შემდგენლები: ნაირა ბეპიევი
ნაფი ჯუსოითი
მერი ცხოვრებოვა

Чиныг сарæзтой: БЕППИТЫ НАИРÆ
ДЖУСОЙТЫ НАФИ
ЦХУЫРБАТЫ МЕРИ

მთავარი რედაქტორი: ნაფი ჯუსოითი
Сæйраг редактор: ДЖУСОЙТЫ НАФИ

რედაქტორი: ნინო პოპიაშვილი
Редактор: НИНО ПОПИАШВИЛИ

© ნ. ბეპიევი, 2007

გამომცემლობა „უნივერსალი", 2007

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-118-0

წინასიტყვაობა

წავიდა ის დრო, როცა საბჭოთა ხალხებს შორის ურთიერთობა მოწესრიგებული იყო. წავიდა და თავისი წესებიც თან გაიყოლა. ახლა რამდენიც გვინდა ვილაპარაკოთ, იმ დროს ველარ დავიბრუნებთ. ალბათ საჭირო კი არის, რომ იმ ტრადიციებიდან შევინარჩუნოთ ის, რაც ხალხის უკეთესი მერმისისათვის გამოსადეგია. დღეისათვის, ჩემი აზრით, ერთ-ერთი ასეთი მოსაფრთხილებელი საქმეა ეროვნულ კულტურათა შორის ფართო და თანაბარუფლებიან ურთიერთობათა შენარჩუნება-გამყარება. ასეთი ურთიერთობები აძლიერებენ ხალხებს შორის ნდობისა და ურთიერთგაგების საფუძვლებს, მოაქვთ კეთილგანწყობა და გულითადობა.

თანამედროვე პირობებში ხშირად ვლაპარაკობთ სახალხო დიპლომატიასა და კულტურული სივრცის გაფართოებაზე. კი ვლაპარაკობთ, მაგრამ ვფიქრობ, საქმე ადგილიდან არ დაძრულა. ამ წიგნის გამოცემა კი ოსურ და ქართულ ლიტერატურათა შორის კეთილი დამოკიდებულების განმტკიცების საქმეში აუცილებლად იქნება ერთი წინგადადგმული ნაბიჯი.

გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ განიზრახა ოსური მხატვრული სიტყვისათვის ერთი დიდი საქმე გაეკეთებინა — უნდა გამოეცა მსოფლიოს მხატვრული ლიტერატურის ბიბლიოთეკა ოსურ ენაზე. იმ ბიბლიოთეკაში იქნებოდა 120 ტომი. ამ ტომებიდან 10 უნდა ყოფილიყო ქართველ მწერალთა ნაწარმოებები. აქედან სამი ტომი ყველაზე გამოჩენილ პოეტებს დაეთმობოდა: პირველი ტომი — რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, მეორე — დავით გურამიშვილი და XIX საუკუნის კლასიკოსები, მესამე ტომი კი XX საუკუნის პოეტთა რჩეული თხზულებანი.

პირველი ტომი უკვე მზად იყო — რუსთაველის გენიალური პოემის გიორგი ბესთაუთისეული ბრწყინვალე თარგმანი. მეორე და მესამე ტომებზე მუშაობა გულმოდგინედ მიმდინარეობდა. ჩვენი საუკეთესო პოეტები თავიანთი საყვარელი ქართველი პოეტების შემოქმედების თარგმნას შეუდგნენ — ვინ ორიგინალიდან, ვინ —

პწკარედიდან. კონსულტანტი იყო გ. ბესთაუთი, ორგანიზატორი კი მე გახლდით, მხოლოდ რედაქტირებაღა იყო საჭირო. მესამე ტომიც 1988 წლის მეორე ნახევარში მზად იქნებოდა, მაგრამ... აირია ქვეყანაში ყველაფერი და საერთო საქმეზე აღარავინ ზრუნავდა, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისათვის აღარავის სცხელოდა. ჩაიფერფლა ოსური პოეზიის ანთოლოგიის ქართულ ენაზე გამოცემის საქმეც. წახდა ორ ხალხს შორის მეგობრული ურთიერთობანი. დაიღვარა სისხლი და ახლა იმ თბილი ურთიერთობების აღდგენა ძლიერ გართულდა. ამ საქმეს დიდი დრო, დიდი სიბრძნე და დიდი ძალისხმევა სჭირდება.

ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ამ საქმის მოგვარება უპირველესად, ორივე ხალხისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელთა გონივრულ, სწორ მოქმედებებზეა დამოკიდებული. მაგრამ ჩვენი ხალხების შემოქმედი ინტელიგენციაც გულხელდაკრეფილი არ უნდა იჯდეს, როგორც შეუძლიათ, ისე უნდა ცდილობდნენ ორ ხალხს შორის ურთიერთობის მოწესრიგებაზე. ჩვენი ხალხი — ოსი და ქართველი ხალხი ორიათას წელზე მეტი ხანი მეზობლურად ცხოვრობდა და არც ერთ მათგანს არსად არ წაესვლება. მეზობლები ვიქნებით ამიერიდანაც და მეზობლები მტრულად არ ცხოვრობენ. ადრე თუ გვიან უნდა მოვაგვაროთ ჩვენი ურთიერთობა და ამ საქმეში ლიტერატურის, ხელოვნების მუშაკებზე და მათ სიტყვაზე ბევრი რამაა დამოკიდებული.

აი, ეს წიგნები — ქართული მწერლობის ანთოლოგია ოსურ ენაზე და ოსური მწერლობის ანთოლოგია ქართულ ენაზე — უნდა გახდეს ჩვენი ხალხის — ოსი და ქართველი ხალხის — ურთიერთობათა მოწესრიგებაში გონივრული, წრფელი გულით გასაკეთებელი უაღრესად მნიშვნელოვანი საქმის კეთილი მეგზური.

აკადემიკოსი *ნაფი ჯუსოითი*

პოეზია

თეიმურაზ მესხიშვილი

ფიქრები

უძილობა წუხელ ღამე მძიმე საბნად მეფარა,
ალიონი ისე დადგა, რული არ მომეკარა.

ოი, ჩემო სამშობლო,
ოი, ჩემო მთებო,
თქვენ გარეშე, მითხარით, როგორ ვიარსებო?

„დაგცინიან?“ — ქვეყანამ
შემომკვნესა ფიქრიდან;
„მკერდზე ტახი მაწევსო“, —
მწარედ შემომქვითინა.

ოი, ჩემო სამშობლო,
ოი, ჩემო მთებო,
თქვენ გარეშე, მითხარით, როგორ ვიარსებო?

შენი ნაშიერი ვარ,
შენთვის ნათლის მომფენი,
შენს ძვლებს გულზე დამაწყობს
მწარე წუთისოფელი.

ოი, ჩემო სამშობლო,
ოი, ჩემო მთებო,
თქვენ გარეშე, მითხარით, როგორ ვიარსებო?

ვხედავ, როგორ გახრჩობენ,
ორ ნაწილად გაყოფილს.

ერთ ადგილზეც აღარ ჩანს
ჩემი სახლი-სამყოფი.

ოი, ჩემო სამშობლო,
ოი, ჩემო მთებო,
თქვენ გარეშე, მითხარით, როგორ ვიარსებო?

ჩემო ტკბილო ქვეყანავ,
ჩემო ტკბილო მხარეო,
სუნთქვაც არ მსურს უშენოდ,
მზის შუქს დაგადარეო.

ოი, ჩემო სამშობლო,
ოი, ჩემო მთებო,
თქვენ გარეშე, მითხარით, როგორ ვიარსებო?

არად გვიღირს შენს შვილებს
შენთვის თავის გაწირვა,
ბრძოლა ჩვენთვის შვებაა,
სისხლმაც ბევრჯერ გვაწვიმა.

ოი, ჩემო სამშობლო,
ოი, ჩემო მთებო,
თქვენ გარეშე, მითხარით, როგორ ვიარსებო?

თეთრ ბალიშზე შავ ცრემლთა
ტბორი დადგა დაისმა,
უცბად, ჩემდა საოცრად,
ვიღაცის ხმა გაისმა:

„ჰე, ყარიბო, რად ჭმუნავ,
იმედს რატომ იწურავ? —
ის არ არის საწყალი,
ვინაც ღმერთი ირწმუნა.“

ოი, ჩემო სამშობლო,
ოი, ჩემო მთებო,
თქვენ გარეშე, მითხარით, როგორ ვიარსებო?

შენნი შვილნი ყოველგან
გასახელებთ მარადის.
რა გინდ მოხდეს, ვიკადრებთ
საქმეს მხოლოდ საკადრისს.

ოი, ჩემო სამშობლო,
ოი, ჩემო მთებო,
თქვენ გარეშე, მითხარით, როგორ ვიარსებო?

ჩემო ტკბილო სამშობლო,
ჩემო ტკბილო მხარეო,
სუნთქვაც არ მსურს უშენოდ,
გულს ფარად ეფარეო.

ოი, ჩემო სამშობლო,
ოი, ჩემო მთებო,
თქვენ გარეშე, მითხარით, როგორ ვიარსებო?

ღმერთი ყველას მოხედავს,
ერთხელ ჩვენც გადმოგვხედავს,
ჩვენს ლოცვას შეიწყნარებს,
შეგვინდობს, შეგვიწყალებს.

ოი, ჩემო სამშობლო,
ოი, ჩემო მთებო,
თქვენ გარეშე, მითხარით, როგორ ვიარსებო?

ორი მეგობარი

უმცროსი:

— მოწყენილი ხარ, უფროსო ძმაო,
შენს სახეს ბურავს ფერები თალხი,
მიამბე რამე იმ ცხოვრებისა,
როცა კაცურად ცხოვრობდა ხალხი.

თუ დამიჯერებ, დამყაბულდები,
და ააჟღერებ სიმებს ქნარების,
გზა გასავლელიც შეგვიმოკლდება,
დარდს წაიღებენ ნიავ-ქარები.

უფროსი:

— ველარც მოვთქვამთ და ველარცა ვტირით,
მკერდში ჩაგვადნა გული გულადებს,
მაგრამ რაკი გსურს დატკბობა ლირით,
დამიყუჩდი და მომაყურადე.

მიმოვიფანტეთ, დავცალთითოვდით,
მომავლის გემიც ზღვაში ინთქმება,
მრავალი გმინავს, კვნესის ციმბირში,
ზოგი სულს ღაფავს სახლში, იქნება.
ჩვენი დარდი და ჩვენი წუხილი
სიტყვებით ვერც კი გამოითქმება...

მღელვარებისგან მიშრება ყელი,
რაკიღა თხრობა დავიწყე ახლით,
გიამბობ, გეტყვი, თუმც არის ძნელი,
მოხუცმა როგორ დატოვა სახლი.

გაყრა გადიქცა უმძიმეს ჟამად,
მიწას დაემხნენ, ქცეულს ავბედად,

თვალთაგან სისხლი სდიოდათ ღვარად,
გული დაეჭრათ ნაფლეთ-ნაფლეთად.

„ო, ჩვენო მთებო, ჩვენო ქვეყანავ,“ —
ამოიგმინა უფროსმა ხალხმა, —
„ცხოვრება არსად გვინდა შენს გარდა,“ —
ატირდა ყველა, აზვირთდა ტალღად.

„ტკბობით წარმოვთქვამთ მარად შენს სახელს,
სამშობლოს, ქცეულს ჩვენთვის ედემად,
ღმერთს შევავედრებთ შენს ილბალს და ბედს,
ვიდრე ჩვენს მოდგმას სული ედგმება.

სიცოცხლეც ჩვენი შენი იქნება,
შენს მტვერს გავიხდით ჩვენთვის საფიცარს,
შენთან ვიქნებით სულით, ფიქრებით,
თუ დაგჭირდება, მკერდით დაგიცავთ.“

მოკლედ მოგითხრობ, თავს არ შეგაწყენ,
დღე გაგვითენდა მწარე და კრული,
მუხანათ-მტარვალს დარჩა ქვეყანა,
ხოლო ჩვენ ოდენ შემოგვრჩა სული.

მოგვდევდა მტერი, გვდევნიდა ფლიდი,
მტარვალი მკაცრი და ულმობელი.
უღვთოდ, ღმერთის რომ არ ჰქონდათ რიდი,
გვყრიდნენ გემებში დაუნდობელნი.

გადავსებული დაიძრა გემი,
დასადგომიც კი არ იყო არსად,
ზოგი უწყალოდ გასრისეს ფეხით,
ზოგი ცვიოდა წყალში ანაზდად.

შვილს ვერ აგნებდა საბრალო დედა,
ზღვის წყალს ერთვოდა ცრემლი ღვარებად,
ზოგი, გართხმული იმ ცოდვილ გემბანს,
თავის ნატანჯ სულს ღმერთს აბარებდა.

ერთ დღესაც ნაპირს მიადგა გემი,
ვიღაცამ ყველა ნავში ჩაგვყარა,
მერე კი ცხელ-ცხელ ქვიშაზე გვემით,
დაგვყარეს ასე, ღვთის ანაბარა.

ვერც ენა იტყვის, ვერც ვერვინ დაწერს,
რა ტანჯვაში და ცეცხლში ჩაგვყარეს
და მივაბარეთ ასობით ასე
შიშველ-ტიტველი ქვიშის სამარეს.

შიმშილს სიშიშვლეც ემატებოდა,
ვინ იწუხებდა თავს ჩვენი რჩენით.
ვინ გვაღირსებდა პურს გაჭირვებულთ,
ბალახი იყო საჭმელი ჩვენი.

დღისით მზე გვწვავდა, მზის სიცხოველე,
ღამით სიცივის ვხდებოდით მსხვერპლნი,
რიჟრაჟზე უკვე გზას მივიკვლევდით,
მშიერ-მწყურვალნი და ფეხშიშველნი.

ღნაოდნენ ჩვილნი და დაოსებულთ,
თურქებსა ეჩრიდით შიშით შეძრულნი,
ზოგი ნაშიერს ქუჩას ანდობდა,
ზოგსაც შიმშილით სძვრებოდა სული.

ო, ჩემო ძმაო, ჩემო უმცროსო,
მე განმიახლდა ტკივილი ისევ,

როგორც ჭრილობას ჩემი სულისას
შენი ფრჩხილებით შეეხე, მყისვე.

რა დაასრულა სიტყვა მოხუცმა,
ჩაჰკიდა თავი, შებურა ნისლმა,
ცრემლის მაგიერ თვალთაგან უცბად
წვიმის ღვარებად იფეთქა სისხლმა.

ავადმყოფი და ავადმყოფის მნახველი

ავადმყოფის მნახველი:
როგორ ძალიან გამხდარხარ, ოსმან,
რა არის შენი ტანჯვის მიზეზი?
გიყურებ, ვწუხვარ, ასე რომ გხედავ,
მეცოდები და გული მიკვნესის.

არ შეგრჩენია ფერი და ხორცი,
გიახლოვდება ჟამი სასრულის,
ძალ-ღონე თითქმის გამოველია,
ლანდილა დარჩი ოდენ წარსულის.

ხომ არ შეკრთი ან ხომ არ შეშინდი,
ვწუხვარ, რომ შენთვის მწუხრი დამდგარა,
ცხოვრობდი კარგი, უბადლო კაცი,
ყველა გიცნობდა დიდი, პატარა.

ყველა გიცნობდა, ყველგან გიცნობდნენ,
ცასავით ქუხდა შენი სახელი,
შენს ძლიერებას და სიმამაცეს,
აქებდა ყველა შენი მნახველი.

წამოდექ ცოტა, გამხნევდე იქნებ,
გატყობ მომავლის ნისლში დაცურავ,
შიში, სიმხდალე შენ არ შეგშვენის,
სიკვდილსაც უნდა დახვდე კაცურად!

ავადმყოფი:
ჩემო შვილო და ჩემო გაზრდილო,
მომიახლოვდი, მოდი აქ დაჯექ,
ღრმა არის ჩემი ტანჯვის სათავე,
ჯერ მომისმინე, მერე განმსაჯე.

ნეტავი ერთხელ, ჰო, ერთხელ მაინც
გაგეგო, დღემდე რისთვის ვგოდებდი,
შეგეძლოს ჩემთვის გულში ჩახედვა,
მაშინ ნამდვილად შემიცოდებდი.

რა დაემართა ჩემს სახლ-კარს, ეზოს,
სად, სად არიან ჩემი შვილები?
ჩემი თვალით რომ შეხედო ამას,
შენ ჩემზე მწარედ დაიტირებდი.

რა საჭიროა ფუჭი სიტყვები,
ჯობს, მომისმინო, დამიგდო ყური,
ჯობს, გითხრა, რაიც სულს მაწევს ლოდად,
ჯობს, რომ გაგიხსნა კარები გულის.

შენ მართალი ხარ, ჩემი სახელი,
ცის ქუხილივით ისმოდა ყველგან,
ჩემი ძალა კი ქვეყნიერებას
აზანზარებდა, ვითარცა დელგმა.

ჩამაგონებდა დღემუდამ ღმერთი:
სიკეთე, მხოლოდ სიკეთე თესე,

ეს ხმა მესმოდა და მეც მუდამჟამ
ვიცავდი ადათს, ვიცავდი წესებს.

მაგრამ ვერ ვხედავ ჩემს შთამომავალს,
ღირსეულს, კაცურს, სიკეთის მთესველს,
გულ-გვამი მეწვის, დარდით აღარ ვარ,
მწარე ფიქრებმა ასე დამგესლეს.

დროს ატარებენ ჰარამხანებში,
იქ ათენებენ, იქ აღამებენ,
სიცოცხლის წუთებს უქმად ყოფნაში,
სიცილ-თამაშში ახურდავებენ.

მთელი ქონება, ავლა-დიდება,
გაუნიავდათ, წაიღო ქარმა,
შენ რა გგონია, ნაღვლობენ რამეს,
შენ რა გგონია, შეიპყრო დარდმა?

დამღუპველ გზაზე დამდგარა ყველა,
მომავლის ფიქრით თავს არ იკლავენ,
ოჯახში ნათქვამს და ნათათბირალს,
გარეთ სჯიან და გარეთ კილავენ.

და სახედარიც რომ ნახონ სადმე,
თუკი ჰკიდია ოქროს ზოდები,
უცვლიან სახელს, უცვლიან სახეს
ურცხვად ამკობენ ქება-დიდებით.

აწ სხვა ჭირს გეტყვი, მათ თვალთმაქცობა,
სჩვევიათ, ხშირად ტყუიან ურცხვად,
ჰო, დამიჯერე, ხომ გჯერა ჩემი,
მართლაც ასეა, ვწუხვარ კი თუმცა.

ვითომცდა სახლი ექცევათ თავზე,
მოგაჩვენებენ თავებს მწუხარედ,
მუხლებზე ხელებს იტყაპუნებენ,
აღვარღვარებენ ცრემლებს მდუღარეს.

ნუ ერწმუნები, ნუ დაუჯერებ,
ცრუ ტყუილებს ხომ არ ითაკილებს,
კარგი საქმისთვის ღმერთს არ უქნიათ
სამუცლაოდ კი ილესენ კბილებს.

შეგხვდება ტკბილი ღიმილ-სიცილით,
ვით მეგობარი, კარგი მოყვარე,
იფიქრებ შენთვის: „დღემდე ასეთი
არა მყოლია მართლა მოგვარე.“
შიგნით — გულშავი, ხელში გიდნება,
ჩუმად ძაღლივით კი იკბინება.

რა გავაგრძელო, რა შორს მივდივარ,
ბედი უკუღმა დაუტრიალდათ.
ჭერი უეცრად თავზე დაექცათ
და ნაშიერიც სხვაგან გაექცათ.

თვითონ თევზებსაც და ლიფსიტებსაც,
ასე მოსდგამთ და ასე სჩვევიათ,
ისევე, როგორც ჩემი ვაჟები,
ერთურთის ხორცით იკვებებიან.

დამალპა ხორცი, დამადნა ძვლები
და სუნი ამდის ახლა ცხედრისა.
ხვალე გავხდები არჩივი ალბათ
ყვავ-ყორნისა თუ ტურა-მგელისა.

ციდან არწივნი, ქორნი შავ-შავნი
დამყაშყაშებენ, არც კი ფრთხებიან.
ლამის ცოცხალი დამძიძგნონ, დამხრან,
მითვალთვალებენ, მელოდებიან.

ხომ მიხვდი ახლა, ჩემო გაზრდილო,
რა ტკივილი და ცეცხლი მდებია.
ვხედავ, უპე გაქვს სავსე ცრემლებით
და ხელსახოციც დაგსველებია.

აკვნის სიმღერა

დაიძინე მშვიდად, წყნარად,
სანამ გულში არ გაქვს დარდი,
ლუკმას გაჭმევ მხოლოდ ალალს,
ჩემი მკერდის სისხლით გაგზრდი.

მიუსაფარს, ცხრა მთას იქით,
არც კი გესმის, სად ვართ ახლა.
სიკეთის წილ, ბალღამს ვიმკით,
ზეცა გვივის ბინად, სახლად.

იქ დარჩენილ ჩვენს ძმას და დას,
მეფე მიწას ალოკინებს,
ჩვენს ქვეყანას, ჩვენს რჯულს, ადათს
ალბათ ძალით ათმობინებს.

ქვეყნისათვის, რწმენისათვის,
უნდა ძლიერ ბევრს ითმენდე.
უნდა დადო მათთვის თავი,

სიკვდილს ჯილდოდ მიითვლიდე.

თურქის გულზე არ გაცვალო
შენი გული მთიელისა,
გწამდეს, ძარღვში გიჩქეფს სისხლი
ნაღდი კავკასიელისა!

ჩემს მეგობარს

ჩემო კარგო, ძვირფასო,
ძმად გიგულვე, ძმობილად,
გულმა ყოფნა უშენოდ
ვერც კი გაიცნობილა.

ლუკმას ძმურად ვიყოფდით,
არც-რა დამნანებია,
შენზე ძლიერ, მერწმუნე,
თავიც არ მყვარებია.

ჩვენი გზები გაიყო,
შენ მაღლა ხარ ასული.
აღარც ძმობა გახსოვს და
გეშინია წარსულის.

გაქრა ძმობის დულაბი,
სიყვარულიც გამქრალა,
დარდისგან გამოვცალე
წუთისოფლის სამსალა.

მე კვლავ ისე მიყვარხარ,
მაგიერს კი არ ვითხოვ.

გული ჩემი შენთან არს,
სული ჩემი კვლავ გიხმობს.

მიეხვდი, რატომ გამირბი,
მიეხვდი, რატომ მცილდები;
მე ბედისგან ვიჩაგვრი,
შენ ბედისგან ბრწყინდები!

შენ მაღლა ხარ, დაბლა მყოფთ
თავს გვიყადრი აღარა,
შენ ზემოთ ხარ და ჩვენი
გზები ამან გაყარა.

ფიქრობ, „რაში მჭირდება,
საით ის და საით მე,
მუჰაჯირმა, დევნილმა,
ვაჲ, თუ მთხოვოს რაიმე.“

მე სულ სხვა მაქვს სურვილი, —
არ ვარ შენი მეწილე;
რაც მებადა, სულიც კი
ჩემს ქვეყანას შევწირე.

ვაჲ, რომ ცუდად გიცვნივარ,
ვერ მიწოდებ უბადრუკს,
ჩემი ცელი და ცული
მაშოვნინებს ლუკმაპურს.

ᲕᲘᲚᲐᲪᲐᲡ

შინაგანი მშვენება
გაიხადე ხატებად,
სილამაზე ბუჩქნარზეც
იკინძება ვარდებად.

მაგრამ მალე ფერს იცვლის,
ჭკნება, ხმება, ხუნდება.
ქარი მიფანტ-მოფანტავს
ყვითელ-ყვითელ გუნდებად.

ხეც გვიყვარს და ხვიარაც,
როს შეჰხარის ცის ტატნობს,
ყვავილის შტოც, კრიალა,
ხატავს არე-შიდამოს.

მთავარია, რომ სულით
სჯობდე იმ სხვა ლამაზებს,
შენს გონებას, შენს ჭკუას,
შენს ადათ-წესს ვაფასებ.

თუმც არ გიცნობ და მაინც
სულით ლამაზს გამსგავსებ.
. . .
. . .
რა სიძნელე არ შეგხვდა,
რა ტანჯვის ხარ მნახველი,
გშვენის სუფთა სინდისი
და უმწიკვლო სახელი.

სიწყნარე

ვიჯექ ოთახში მარტო,
ჭექა აკრთობდა ზეცას.
გულს რად მისერავ, დარდო,
თავს რად მიმძიმებ ნეტავ?

ქვეყანა იწყებს დგანდგარს
ქარ-წვიმითა და ავდრით,
ვისმენ ზათქსა და ზანზარს,
ძალი წამერთვა დარდით!

გულს, გამოხრულს და გამდნარს,
სულს, გადავსებულს დარდით,
სინათლეც არსით აჩნდა,
დახშულს სიბნელის ფარდით.

ოი, სოფელო, ვხედავ,
არ გვაკლებ ავდარს, სიცხეს,
ხან უკუნს მიგვაწყვეტავ,
ხან მზეზე მიგვაფიცხებ.

ზოგჯერ გვიღიმი, გვართობ,
ტკბილად გვიმღერი ნანას,
ხან კი ღალატით გვასობ
მკერდში
ალესილ დანას.

ვერ შემაშინებ, გვემულს,
მეც მაქვს იმედის ფარი, —
დიდი ხანია ჩემს სულს
ღმერთმა გაუხსნა კარი!

ო, ღმერთო ჩემო!

ო, ღმერთო ჩემო, ძალთა მპყრობელო,
დაუსაბამო, ფლობ ქვეს და ზესა,
ყველა არსების სულთა მფლობელო,
ენა დუმდება წინაშე შენსა.

სამყარო იწვა ბნელ უკუნეთში,
მხოლოდ შენ ქმნიდი, შენ ანათებდი,
ვინ გაგიბედავს დაგიდგეს გვერდში,
მეშვიდე ცაზე იწვოდი ერთი.

წყალობით დიდით, ნათელი ძალით
შეჰქმენ სამყარო, თითქმის არაფრით;
ზოგს სილამაზე უბოძე მაღლით,
ზოგს კი ჩაჰბერე სული მარადი.

ბედნიერება, შენგან წვეული,
მხოლოდ წამისად გვიხარებს დღესა,
ერთ დღეს სიკვდილი მოვა, წყეული,
ყველას წარგვავლენს წინაშე შენსა.

ქართული ხეთაგურთები

ანდერძი

ო, მომიტევეთ, ჩემი სიმღერა
ტირილს თუ მოჰგავს ახლა,
ზოგმა წუხილით სავსემ იმღერა,
ზოგმა იმღერა ლაღად.

მე კი როდისმე ხალხს და ქვეყანას
თუ გადავუხდი ჩემს ვალს,
შევძლებ ამ მწარე გოდებისა და
ქვითინის მღერით შეცვლას.

ნანინა

დედის ხელები გარწევენ,
მთვარე ლიცლიცებს აკვანთან,
გაიზარდე და იხარე,
ნანა, ნანინა, ნანა და...

გიმღერებ ლამაზ სიმღერას,
დედის იმედო ხვალისა,
შეგეწირები თეთრ ბატკნად,
გიმღერებ ნანა, ნანისა.

ცხოვრება თვით ჯოჯოხეთად
შავ ტყეში, შრომით დამაშვრალს,
დაატყდა შენსა მამასა.
იძინე, გეტყვი ნანასა.

გაიზრდები და ეს ტანჯვა
შენც გზად გაგყვება თანაო,
დიდხანს იცოცხლე, იხარე,
ნანა, ნანინა, ნანაო.

ფეხზე ჩაიცვამ ქალამანს,
თოვლქვეშ მოძებნი ბალახსო,
მშიერ-მწყურვალსაც გიმღერებ
ნანინა, ნანა, ნანასო.

შეშას მომიტან წვალებით,
ფიქრებს გაგიმხელ თანაო:
გიყვარდეს გული დედისა,
ნანა, ნანინა, ნანაო.

გიყვარდეს ჩვენი სამშობლო,
ეს მიწა, ეს ქვეყანაო,
არ დაიღალო, არ შედრკე,
ნანა, ნანინა, ნანაო.

მოთქმა

ცრემლფრქვევით ტიროდე, სამშობლოს მთა-ველო,
სჯობდა, რომ მენახე ქცეული ფერფლად!
ზვავმა დაგიტანოთ ერის მოთავენო,-
ხალხს რომ არ შესწირავთ სიცოცხლეს მსხვერპლად!...

ერთს თქვენგანს შეესმას სამშობლოს ჩივილი,
გულს სევდა ხალხისა ერთს მაინც ჩასწვდეს;
წამიერ ათრთოლდეს სახალხო ტკივილით
და ცრემლის წვეთები თვალთაგან დასცდეს!...

მასხარად იგდებენ წმინდა სალოცავებს,
ხელ-ფეხზე გვადებენ ჟანგიან ბორკილს;
წაგვართვეს მთები და უწყალოდ გვხოცავენ,
დიდსა თუ პატარას სულს გვხდიან როზგით.

მომხდურმა დაგვქსაქსა, მოვწყდით ჩვენს ქვეყანას;
ასეღა დაფანტავს ნადირი ნახირს,
ჰე, მწყემსო კეთილო, ერთმანეთს შეგვყარე!
სადა ხარ! სადა ხარ! — უსმინე ძახილს...

დიდების ძებნაში ვკვდებით უსახელოდ,
ზეცა გვებინდება არყოფნის თალხით
ჰეჰეი, გვიშველეთ! ისმინეთ ძახილი!...
კლდეებს აზანზარებს მუდარა ხალხის...

ირემი და ზღარბი

ულრანში, მკერდიდან სისხლჩამომდინარი,
მწევრისგან დევნილი ირემი გარბის...
გზას გადაულობავს კამკამა მდინარე,
ეცემა... მოესმის სიტყვები ზღარბის:

— ვაი, ჩვენ! დაჭრილხარ... წყეულმა სიათამ
ძარღვში გაგიყინა მდუღარე სისხლი,
ჩვენს კეთილშობილ გვარს ასე მტრობს ნიადაგ,
კვნესოდეს ცოდვილი პატრონი მისი!..

ქორბუდამ შეავლო ულონო თვალები:
— კეთილშობილებას გვიქებდნენ ძველად,
თუ გამოგვრევია დღეს შენისთანებიც,
მართლა დასახოცი ვყოფილვართ ყველა!

ჰეი, ვასთირჯი, მოგვხედე!

მამამ პატარა დამტოვა,
არ მახსოვს დედის ალერსი...
ჰა, უპატრონოს დამთოვა,
მარტო ვარ უცხო მხარეში.

დავტოვე ჩვენი ხეობა,
ის ჩვენი მწვანე ტყეები,
გზებს მივახარჯე მხნეობა
და გაზაფხულის დღეები.

ბოლოს ვთქვი: სამშობლო არის
წამალი ყველა ტკივილთა —
წავალ და მშობელ ოსეთში
დაღლილ ძვლებს მაინც მივიტან!

გული გახეთქვას ლამობდა,
ცრემლი მდიოდა მღელვარე, —
როცა ვეღირსე და თვალი
მოვკარი მშობელ მწვერვალებს...

დავბრუნდი, აღარ დავდივარ
უცხოთა გზებზე ყარიბად,
მაგრამ ვახ, ხალხო მშობელო,
ღარიბს დამიხვდი ღარიბად!

დამიხვდა უგზო ქედები
და იგივ მიწა მცირედი,
რა ვქნათ, რა ვხნათ და რა ვთესოთ,
საით ვეძებოთ იმედი!

სამშობლოს კაცი ცოტაა,
ცოტაა კაცი კაცური,
არ ჩანს ცისკარი მომავლის,
ბნელში დანთქმულა წარსულიც.

და მაინც სადღაც მივდივართ,
ბრმად მივსდევთ ბედის ფრიალოს...
ჰეი, ვასთირჯი, მოგვხედე,
უგზოდ როდემდე ვიაროთ!

* * *

მე მიყვარს იგი... ჩემს ლამაზ გრძნობებს
ალბათ ვერ აღწერს სიმი მკვნესარიც,
ბედნიერებას ცრუსა და მდორეს
როდი ვთავაზობ საჭრფოს თქვენსავით.

როგორც სრულყოფა ზენაარ ძალთა,
დიდი სიკეთის, დიდი განცდების,
მე მიყვარს იგი, მე მიყვარს მართლაც
მთელის გულით და მთელის არსებით.

მიყვარს ვით ტახტი ნათელი აზრის,
როგორც სინათლე, როგორც ოცნება,
როგორც ტაძარი მტრედივით ნაზი,
როგორც რწმენა და პატიოსნება.

მე მიყვარს იგი, ამრიგად, ასე
და სანაცვალოს არც ვთხოვ არავის,
მე როგორც მონა ვლოცულობ მასზე,
ის არის ჩემი ტკბილი ზღაპარი.

ვარ ბედნიერი და მუდამ მზად ვარ
ამ სიყვარულის წმინდა კანდელით,
შევიდე გულცივ ბრბოში და ლაღად
ვთქვა ჩემი სულის დიდი სათქმელი.

მაგრამ ხანდახან თუ ოდნავ ვდარდობ,
თუ არ აშრება ცრემლი ამ თვალებს,
ამის მიზეზი მე ვიცი მარტო,
მე ვიცი მხოლოდ და ეს მაწვალებს.

მე ვშიშობ, რადგან ცხოვრება ავი,
როგორც ჩვენ, ლაფში ჩაითრევს მასაც,
იგი ხომ წყნარი ფერია არის
და მიმნდობია წმინდანის მსგავსად.

მე ვშიშობ და ჩემს გულისთქმას ვამხელ,
თუმც ახლა იგი ბავშვია, ბავშვი,
როცა ცხოვრება დაუგებს მახეს,
ვაი, თუ უცებ შემძულდეს მაშინ...

* * *

თუ ჩვენი ხშირი შეხვედრა, ტურფავ,
შენ მიგაჩნია გართობად მხოლოდ,
მაშინ, ო, მაშინ, დამტოვო უნდა,
თორემ წუხილი მომიღებს ბოლოს.

არ მინდა ვიყო ტანჯული, მძრწოლი,
თუმც არც ის ვიცი, რა არის ლხენა,
მე გადამღალა ცხოვრებამ ბრძოლით,
ახლა სიმშვიდეს ნუ მირღვევ შენა.

და რადგან სევდა მიპყრობს და მახრჩობს,
მაგ ცრუ ალერსით მეხვევი ოდეს,
მე გთხოვ, დამინდო, ლამაზო ბავშვო,
ნულარ აღვიძებ მთვლემარე გრძნობებს.

* * *

ამაოდ შევხვდით ერთმანეთს, კარგო,
არ შეგვძლებია ერთი გზით დევნა,
ბედი ჩემი და ნაღველი ჩემი
მჯერა, არასდროს იქცევა შენად.

გაზაფხულს სულ სხვა ჰანგები ჰქმნიან,
შემოდგომას კი სულ სხვა სიჭრელით
ერთს უფენია ვარდი და ია,
ერთს ცხოვრება აქვს სავსე იჭვებით.

გაზაფხულია სიმღერა, ბრძოლა,
მაღალი ცა და სინათლე ჭარბი,

შემოდგომაა ტირილი, ძრწოლა,
შემოდგომაა ლოდინი, დარდი.

როგორც ამ ორ დროს ვერ ნახავ ერთად,
ჩვენც ვერ გვნახავენ ვერასდროს სხვები,
შემთხვევით შეეხვდით და აი, ხედავ,
კვლავ სცილდებიან ერთმანეთს გზები.

ზამთარი

ქარბუქიანი ზამთარი — ჩვენი დარდი და გოდება.
სიკვდილზე უფრო საზარი დღე-ღამის უთანხმოება.

ჩვენი პატარა სახლები, განწირულები მარადის,
წამი და... როგორც სიკვდილი, ზვავი სოფელზე გადადის.

ხალხი საწყალი, წრიალა, სულ მუდამ დარდის მომცველი.
მშიერი, მაგრამ ნიადაგ მამა-უფალზე მლოცველი.

მერცხალი

უწყინარო მერცხალო,
სულ არა გაქვს შიში,
შენი ტკბილი სიმღერით
კვლავაც ვიმკით შიმშილს.

იჭიკჭიკე მარადჟამს,
იგალობე მუდამ,
ბატონი რომ არა გყავს —
გვიხაროდეს უნდა!

ფიქრები

არ ვეცემი სულით,
მაინც ფეხზე ვდგები.
თუ მოვკვდები, ცრემლებს
დამაფრქვევენ დები.

ძლივს ვაჩნივარ მიწას,
ჩუმი, როგორც ჩრდილი,
ვერ ვარ მამაჩემის
ღირსეული შვილი.

მეზობლების ლანძღვა,
მეგობრების წყენა....
ხალხში ვზივარ მუნჯად,
ვერ ვაბრუნებ ენას.

ყურს არ მიგდებს ბალღიც,
არვინ მიდგას გვერდით,
ბრძოლის ველზე ვუხმობ,
არ მომყვება ერთიც.
ვერ ვემსხვერპლე მამულს,
თუმც არ ვიკრეფ გულხელს...
დავატარებ ასე
მიწის მძიმე უღელს.

გაზაფხული

ატირდა თოვლი, ყინული ტყდება,
ჰა, ლილო-ჭრილოც გამოჩნდა ჭრელი,
ჩრდილოეთიდან მეწყერი წყდება,
უკვე ამწვანდა სამხრეთით ველი.

ტყე იფთოლება შეუმჩნეველად,
დათბა, იღვიძებს ხის ქვეშ ბალახი,
გუთნეულები გავიდნენ ველად,
ორღობეებში დადგა ტალახი.

ყმაწვილს დაუდგა წამი ნანატრი:
ჭრელი პეპელის დაჭერა ართობს,
ამ გაზაფხულის თუკი გაქვს ხათრი,
გაუშვი, მანაც გაინავარდოს!

თოხიტარა

როცა ზამთრის ქარაშოტი
დაუბერავს თავნება,
სად მიფრინავს თოხიტარა,
საით მიეჩქარება?

დაი სად ჰყავს თოხიტარას,
დედა საით მიელის?
ნეტავ, ცაში დავფრინავდე
ლაღად, ვით ეს ფრინველი!

ახალი წლის ღამე

ნეტავ, როდის გაიღება
თქვენი სახლის კარები,
რომ გიმღეროთ: „ხაძარონთა,[1]
მე თქვენ გენაცვალებით!“

შენ გამოხვალ, რომ ღიმილი
უხვად გამოიმეტო,
მხოლოდ ერთხელ შემოგხედავ,
გულის მზევ და იმედო!

გაილიმებ, გაიხარებ,
მარტოდმარტო ვიქნებით,
„ვინ ხარ?“ — მკითხავ და ღიმილით
ჩემსკენ გადმოიხრები, —

მაშინ ხელში აგიტაცებ,
თვალებს შემოგაშუქებ
და შეგძახებ: „მე ისა ვარ,
ვინც სიცოცხლეს გაჩუქებს!“

* * *

მე თქვენ გაგიგეთ... საყვედური გაუბედავი,
ხანდახან ცივი დუმილი და სულთადგმის ჟამი...
მოჩვენებითი განრისხება გულის ნეტარის,
ან შემოხედვა — განბანილი ცრემლების ნამით...

რატომ დამალოს ამ ცრემლების მიზეზი დიდი
დაღონებულმა გულმა ჩემმა დუმილის მიღმა?

---

[1] ხაძარონთა — მასპინძლებო..

თვით ჯოჯოხეთზე უფრო მწარედ თქვენ გიყვართ იგი,
თვით სამოთხეზე უფრო ტკბილად თქვენ იგი გიყვართ;

მაგრამ ჯერ კიდევ გეშინიათ — გულისხმას მგოსნის
შეუხმატკბილოთ, შეუთანხმოთ გულისხმა თქვენი,
თქვენ გეშინიათ დაუნდობელ უვიცთა ბრბოსი,
თქვენ გეშინიათ მითქმა-მოთქმის და მწარე ენის...

რად შევაწუხო სინიდისი, რა ვუთხრა იმედს?
ჩემი ცხოვრება — მოკლებული ყოველგვარ ლხენას,
ჩემი წამების იდუმალი ამბავი მძიმე,
როგორც გოგონას, გახარებთ და გაშინებთ თქვენა.

გსურთ შემოხვიდეთ ჩემი სულის ვიწრო ბინაში,
რომ მოუსმინოთ ამ დაღლილი გულის საუბარს...
თქვენ უძლური ხართ უმძიმესი ტანჯვის წინაშე,
მგოსნის სიხარულს მიაჩნიხართ არარაობად.

ვიცი

მიმაბარებთ მიწას,
დამიტირებთ ხათრით...
„შეუნდოსო“ იტყვით
ჩემი მისამართით.

ალბათ, რამეს დაკლავთ,
ზურგს შეაქცევთ მარხვას,
გაძღებით და ჯამში
ჩემს ლანდს დაინახავთ.

ერთ დღეს ცრემლით ივლით,
მერე ვიცი, სწრაფად
გადაუვლის თრიმლი
მიტოვებულ საფლავს.

გადამწყვეტ წუთს

უნებლიედ ვიცრუე, მინდა შენ ეს უწყოდე,
წამიერი ხუმრობა შენ სიმართლე გეგონა,
გატაცებას უგონოს სიყვარული ვუწოდე,
რაკი ვნებით მთრთოლვარე გრძნობა თრობამ შეჰკონა.

მომაშორეს ნათესავთ და მეგობრებს გულისას,
გადმომხვეწეს წამებით ამ შორეულ მხარეში,
გავურბივარ სურვილებს, იმედს დაჩაგრულისას
და სამშობლოს ნატვრით ვარ მარად სიმწუხარეში.

დღესა სცვლიდა დღე ბნელი, როგორც ავი სენი და
შემოდგომის ღამეში მაჯლაჯუნა საზარი,
თითქოს გაჰქრა ყოველი, არვინ არა მშველიდა;
არც ნუგეშით, არც ცრემლით, არც ღიმილის ლამპარით.

რისთვის? რომ არ გელოდი, რატომ გადამეყარე?
მოსვენება წამართვი, სულში ჩამწვდი თვალითა,
შენმა ტრფობამ ნათელმა და ალერსმა მგზნებარემ,
ამიჩქროლა გული მე, მწვანე ვნების ალითა...

შეგიყვარე შენ ერთი, აგირჩიე ყველაში,
თანაგრძნობით დამიპყრო შენმა მშვენირებამ...
მაგრამ შენ ჩემს გრძნობაში, როგორც ბორკილთ ჟღერაში,
მოსვენებას ვერ ჰპოვებ და ვერც ბედნიერებას...

არ ვარ ღირსი, სიყვარულს ახლა ველარ ავყვები,
მე სამშობლო მეძახის მხედრულ სულისკვეთებით,
სანამ მის მტრებს ულმობლად არ შევმუსრავ სავსებით,
მანამდის ჩვენ ერთმანეთს ვერსად ველარ შევხვდებით.

კაცივით

დილით ადრე თუ ადგები,
მართლაც კაცი გქვია მაშინ.
ყოველ დილით თავის ნებით
ხელ-პირს იბანს კარგი ბავშვი.
შენც ამ საქმეს რომ მორჩები,
სჯობს ზეციერს შეევედრო:
— შეისმინე სიტყვა ჩემი,
გამინათე სახლის ერდო!
თუ ხორბლის პურს მოგცემს ღმერთი,
ხომ კარგია, თუ არა და
ქერის ხმიადს მიაძეხი
და სკოლისკენ გასწი მარდად!
და თუ იქაც, ბიჭი გამრჯე
გულს დაუდებ შრომას, სწავლას,
გჯეროდეს, რომ გაიმარჯვებ,
შენი საქმე სულ წინ წავა.
მუდამ გწამდეს მასწავლებლის
სიტყვა, რაგინდ იყოს მკაცრიც.
დღეს კაცივით თუ იქნები,
ხვალ გახდები მართლაც კაცი!

ვის — რა!..

ყველაფერს თავის წესი აქვს,
ყველაფერს — თავისი რიგი:
მომკა ხამს, — თუ რამე თესია!
მხცოვანს ყმაწვილისგან — რიდი!
ქურქი — თუ ვინმეს სცივა!
საქონელს — ჩალა და თივა!
ყანას — ბარაქა და ხვავი!

ცვარი და მზის სხივი — ყვავილს!
უნებლიე შეცდომებს — პატიება!
მიცვალებულებს — დატირება!
კარგ ყმას — უბადლო სიხარული!
კარგ გულს — უზადო სიყვარული!
სიკეთეს — შემჩნევა დ დანახვა!
ჩხუბის ამტეხს — ცხვირ-პირის დანაყვა!
მას შემდეგ, რაც გაჩნდა შეგნება —
ყველაფერს, რაც ხდება ირგვლივ, —
ჰქონია და მუდამ ექნება
თავისი წესი და რიგი.

ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐ

ზაფრანის ფერი დაიდო
ღვიამაც, მატიტელამაც,
ღრუბლებში გამოიხედა
სხივმა მწირმა და ელამმა:
არც მკიან,
აღარც თიბავენ.
ცხვარს კრეჭენ,
ხორბალს არჩევენ,
საცაა მოვა ზამთარი,
მდინარეს მოასარკევებს.
კალთააავსილი მთა-ბარი
პირუტყვით, ჭირნახულითა,
მშრომელს უბრუნებს ნაოფლარს,
ღვთის წყალობით და გულითა.
საოცარია ეს მხარე —
მთანი, ბალახნი რძიანა,
მე ვიცი, რასაც შევხარი,
თვალი რამ ამიწყლიანა.

ჯიხვი

ჯიხვი ამაყად კლდეზე დამდგარა,
ცაზე ხატია მაღალრქიანი.
ბეწვზე ყინული ელავს ანკარა
და მეწამული სხივის ციალი.

ელავს მწვერვალი, ჰქრიან სიონი,
ქედს გაეფინა ღრუბლის ნაჭერი.
ნისლში იღრჩობა კავკასიონი,
დგანან კლდეები და რბის ჩანჩქერი.

და ნორჩი ჯიხვი დგას მწვერვალებთან,
იტაცებს ბინდის ორომტრიალი;
უმზერს ამ შორეთს და იმსჭვალება
პირველი სევდით, პირველ ტრფიალით.

ობლების დედა

ყორანს ფრთები აეშალა:
სადღაც, ალბათ, გდია ლეში,
დაქრის მხოლოდ ქარიშხალი
შავ კლდეების სიბნელეში.

სიდუხჭირით დაქანცული
გაუნაბავს სული აულს,
ძლივსღა ებრძვის ცეცხლის შუქი
შავი ღამის დანაშაულს.

სოფლის ძილში ჩუმად ისმის
გატანჯული გულის ძგერა,

და უკუნეთ ბნელს ანათებს
მხოლოდ ერთადერთი კერა.

ო, ნუ გიკვირს, ღარიბ ქოხში
მუდამ ასე ფხიზლობს დარდი,
ობოლ კერას დასტრიალებს
შავკაბიან ქალის ლანდი.

ცეცხლზე ქვაბი დგას და მზერით
დაჰკარგვიათ ბავშვებს ძილი,
ალსაც არ სურს გაანათოს
ტანი, ჩვრებით შემოსილი.
სიცივითა და შიმშილით
ასე მგელიც კი არ ჩივის,
როგორც გული უპატრონოდ
მიგდებული მგლის არჩივის!

— ნუ, ნუ ტირით, გენაცვალეთ, —
აიმედებს შვილებს დედა: —
ქვაბში ცერცვი იხარშება,
ღმერთმა არც ჩვენ გაგვიმეტა!..

თოვლით სველი ფიჩხის კვამლი
თითქოს ერთვის სიმწუხარეს, —
და წვეთ-წვეთად დედაკაცი
მდუღარეში ცრემლს ღვრის მწარეს...

ვერა, კვნესა ვერ ჩაახშო
და აღმოხდა: — არ გრძნობთ განა.
თქვენი მამა, პატარებო,
თოვლის ზვავმა დაიტანა!

გიღალატათ, გიღალატათ,
ხუთივენი დარჩით ობლად,
ვაი ჩემს გულს, ჩემი გულიც
მან მოთხარა დაუნდობლად!

გვითხრას, რისთვის მიგვატოვა,
რად გაექცა მძიმე უღელს,
ქარიშხალით ჩამქრალ თვალებს
კვლავ უფსკრულში ვინ გაუხელს!

ვინღა იცის, დედამიწის
გულში იქნებ უფრო თბილა,
დაე, ჩვენც თან ჩაგვიტანოს, —
მოგვცეს თავის გვერდით ბინა!

და წვეთ-წვეთად დედაკაცი
მდუღარეში ცრემლს ღვრის მწარეს, —
თოვლით სველი ფიჩხის კვამლი
თითქოს ერთვის სიმწუხარეს!..

იმედივით ალმიმქრალი
თვლემს ობლების ჩუმი კერა,
მიეძინა უკვე უმცროსს,
ისმის ჩვილი გულის ძგერა.

კუნძებივით ყრია ყველა
ირგვლივ ტოტებდალეწილი,
მშიერსა და გაყინულებს
მოერევათ მალე ძილი.

და ძილშიაც ისმის: — რაა,
გადმოიღე ქვაბი ჩქარა...

ცრემლს მალულად იწმენდს დედა,
გული ასად გაებზარა.

ქვაბში „ცერცვი“ იხარშება,
თითქოს წყალიც კი ჩურჩულებს,
ირგვლივ უკვე სძინავთ ობლებს,
ჩიტებივით მიყუჟულებს...

ისე ღრმაა, ისე მძიმე
ცრემლით სავსე მათი ძილი,
რომ სიზმარში აღარ ახსოვთ
არც ყინვა და არც შიმშილი!
საცოდავი დედა ობლებს
თავს ევლება თანაბარად —
ზოგს დაუდო სასთუმალი,
ზოგს ძონძები წააფარა.

დაჯდა იქვე და უცქერის
მოდარაჯე მისი თვალი,
აკვამლებულ ცეცხლით ისევ
ცერცვს თუ როგორ ხარშავს ალი.

შუაღამეც გადავიდა
და ვახშამი მაინც არ ჩანს,
დედა თურმე ცერცვის ნაცვლად
ქვაბში რიყის კენჭებს ხარშავს.

თურმე ვახშმის მოლოდინით
შიმშილს ასე გაუმკლავდა...
მაგრამ ერთი მოტყუებით
ვინ იყო, რომ შიმშილს ჰკლავდა?!

მიცვალებულის საფლავთან

(მ. ზ. ყიფიანის ხსოვნას)

მშვიდობით იყავ! აწ წარსულია
შენი ლამაზი გულის ნაღველი,
ცამ მიიზიდოს შენი სული და
ჩვენ ჩავიბაროთ შენი სახელი.

შენ რომ მოყვასზე დარდით დაბერდი,
მაგრამ არ გატყდი — შავად დაფერფლილ
ღამის წყვდიადშიც გზას მოიკვლევდი
მხოლოდ სიმართლით, მხოლოდ სიკეთით.

შენ შეიყვარე ჩვენი ოსეთი
და მასზე ფიქრით გულს იოსებდი,
ჩვენ რა პატივი უნდა მოგაგოთ,
მკვდარი რა წესით პატიოსნდები?

შენ არ ამოხვალ ჩვენი გულიდან,
შენს სახელს შვილებს გადავაბარებთ,
მაგრამ დღეს ჩვენ შენს ცხედარს ვუვლით და
ტკივილით ვუმზერთ ღია სამარეს.

მეგობრის კუბოსთან

მ. ზ. ყიფიანის გარდაცვალების გამო

მშვიდობით! ჩვენზე მოგეხსნა ზრუნვა,
სწორი გზა განვლე, იყავ მართალი,
შენი სახელი აქ უკვდავია,
იქ დაგადგება სხივი ნათელი!

ყრმობიდან — ვიდრე ღრმა სიბერემდე,
იყავ ხალხისთვის დაუცხრომელი;
როგორც ლამპარი, ბნელს გვინათებდი
შენ, მეგობარი თანამგრძნობელი.

დედასებრ ჩვენი მხარე შეიტკბე,
შენს გულში ჰქონდა მაშვრალს ალაგი;
ჩვენ რა პატივით გადაგიხადოთ,
რით დავაფასოთ შენი ამაგი?

მამები ბავშვებს ანდერძს გადავცემთ:
გულში ატარონ შენი სახელი,
ჩვენ კი, ვაი, რომ შენს შემდეგ დაგვრჩა
მწუხარება და მწარე ნაღველი!

მ. ზ. ყიფიანის გარდაცვალებაზე

მოკვდა... ეს სიტყვა უსასო, ცივი,
ჟღერს უსასრულო ღრმა მწუხარებით
და დღეს კავკასო, შენს გლოვა-ჩივილს
ბანს აძლევს მთები ზარ-მქუხარებით.

კავკასო, შენი ხალხთა ოჯახი
დასტირის მას, ვინც შენს ფიქრებს ჰფლობდა;
ვინც მოკრძალებულ ქართველის სახით
ნერგავდა კეთილს და ბოროტს ჰგმობდა.

ბევრი კი იყო განა მასავით
ქოხებში ნთებულ ცოდნის ვარსკვლავად;
რომ ვყვარებოდით მისებრ ძმასავით
და მტერთ შებმოდა ჩვენს დასაცავად?

არა! მაშ, მხარევ, იგი ღირსია,
ახსოვდეს მარად შთამომავლობას...
ჩემო კავკასო! მაგ ტირილშიაც
ვხედავ მომავალს, შენს დიად მყობადს!

ფატიმა

(კავკასიური მოთხრობა)

მიძღვნა

ახ, რა უსაზღვრო სიხარულით, რარიგ სიამით,
ნაზო გოგონავ, გაგაფრენდი შორს მზაკვრულ წრიდან,
იდუმალ გრძნობით შემოგხვევდი მე ხელებს წამით, —
არ მოგაკლებდი მგოსნის გულის სიყვარულს წმინდას.

მყის ბავშვურ სმენას დაგიტკბობდი სათუთი ქნარით,
ოქროს სიმები მოგალხენდნენ, ნორჩს, მოკისკასეს,
მკერდზე მგოსნისა მილულავდი თვალს, მშვიდი, წყნარი,
ყოვლად უბიწოს გიმღერებდი, ხალისით სავსე.

ეჰ, ძალიან ბევრს მე შევთხზავდი სიმღერებს მაშინ,
ვუძღვნიდი ქებას ლაღ ბუნებას, მშვენებით სრულსა,
მარადისს ტრფობას, აღტაცებას, განცდილს შრომაში,
ელვარე დარებს ნეტარებით გაბრწყინებულსა.

1

დიდ ნაიბის საყონაღო
მასპინძელი უხვი არი.
ჩეჩნეთიდან, ყაბარდოდან
მუდამ მოდის აქ სტუმარი.

მოუსვენარ მთების მკვიდრნი
რომ ცხოვრობენ სულ განგაშში,
თავისუფალ დროს აქ ლხენით
გარს უსხედან სუფრას გაშლილს.

ძველ ადათის წესზე ზრდილნი,
კავკასიის მთების შვილნი,
ივიწყებენ შურს და მტრობას, —
თუნდ მოსისხლე იყვნენ მტრები.

წვეულნი, თუ შემთხვევითნი,
ერთდებიან აქ სტუმრები.
უსხდებიან სუფრას მარად
უფროსობის წესის გვარად,

მთების აზატ ცხოვრებაზე
ოცნებობენ წმინდა გრძნობით;
სვამენ სადღეგრძელოებს და
საუბრობენ დიდიხნობით...

აქ ყონაღი ძმის სწორია,
მათ ვერავინ ახლებს ხელსა,
ელის ხალხის შეჩვენება
ამ ადათის დამრღვეველსა.

ვინაც იყოს: თუნდ აბრაგი,
თუნდ ლტოლვილი გულმწუხარი,
თუნდ ბებერი უსინათლო, —
ღია არის მათთვის კარი.

აქ ყოველ წელს, დღეობებზე,
ნახავთ ჩერქეზ ლამაზ ქალებს,
შეკრებილნი საცეკვაოდ,
იტაცებენ ეშხით თვალებს.

ბევრი ვაჟი ახალგაზრდა
იქ უნახავთ მოხიბლული,

მკაცრ შეხედვით ქალს ანაზდად
დაუჭრია მათი გული.
მაგრამ იყო შემთხვევები,
არა ერთი, — უამრავი,
რომ მთიელ ქალს ჭაბუკის წინ
დაუხრია მორცხვად თავი...
გამარჯვებებს დაჩვეული,
თუმც ნაიბი ბებერია,
მას სიკვდლი კი ვერ აფრთხობს, —
მწუხარება მოერია.

ჭაბუკივით უდარდელი,
დარი იყო თუ ავდარი,
ის რომ ჰქროდა, მარდი ცხენით, —
განა დიდი ხანი არი?
თოფით ხელში, ჭიუხებში,
ამაყი და გულმაგარი
ნადირობდა მოუსვენრად, —
განა დიდი ხანი არი?

ან მოსისხლეს, როგორც ჩრდილი
სდევდა ღამით... და მას დილით
თან მოჰქონდა ნაპარტახი,
მტრის ხანჯალი და ფაფახი...
მფარველობდა მას ალაჰი...

ნუ ვუმღერებთ ჩვენ იქ ტრფობას,
ნურც სახელზე ვიწყებთ ბჭობას,
სადაც შურის კანონს ისევ
აქვს წყურვილი სისხლის ღვრისა...
მაგრამ, ვაი მოხუც ჯიგიტს,
რა ნაღველს გრძნობს, რა რიგ წვალობს,

თუ დაკარგულ შვილისათვის
ვერ იძიებს შურს საბრალო:
დაუკარგავს მას იმედი,
მოსვენება და სიამე...
ნაღვლიანად მომღერალსა,
მეგობრად ყავს ბნელი ღამე;
როგორც ქურდი, მიდის მალვით,
საფლავისკენ... როგორ კრძალვით
მეგობართა უცქერს კრებს,
ხალხი როგორ ეჯავრება!..
ნაიბს დიდი აწევს დარდი —
პირმშო შვილი, ჩინი თვალის,
მას უყვარდა ჯამბულათი,
მაგრამ... მაინც ახსოვს ვალი.
დღეს ნაიბი მოვალეა,
დაივიწყოს დრო, წარსული,
რადგან მოხუცს აღსაზრდელად,
საპატრონოდ ჰყავს ასული:
თვალწარმტაცი ფატიმასი
მამობილი იგი არის,
იმას უვლის, ვით საუნჯეს,
იმას ეტრფის და შეჰხარის.
— „შვილო, ხედავ, რომ ჭაღარით
შევერცხლილა ჩემი თავი —
შესაძლოა, მე სულ მალე
დამეყაროს მიწა შავი...
როცა მოკვდა დედაშენი
და შენ დარჩი ობლად, ჩვილი,
ჩემს ოჯახში მოგიყვანე
აღსაზრდელად, როგორც შვილი...
მაშინ ალაჰს მივეც აღთქმა,
რომ აღგზრდიდი შვილის ტოლად

და ჩვენი მხრის თავადებში
გაგატანდი რჩეულს ცოლად.

როგორც ვარდი გაზაფხულზე
მიმალულად ჰყვავის მთებში
და ამშვენებს მთლად გარემოს,
ისე შლიდი კვირტს ჩემს ხელში,
იზრდებოდი და ჰყვაოდი...
და მსმენელნი შენი მქები,
მიმოდიან მაჭანკლები
სახელგანთქმულ თავადების...
ნუთუ მათში არვინ არის,
შვილო, შენთვის სასურველი? —
ისინი მე მთხოვენ შენს ხელს; —
მე არჩევანს შენსას ველი.
ო, ფატიმა, ჰქრიან წელნი,
შეგფერს უკვე შენ დედობა...
ღვთის კანონზე უარისთვის
არ მოგველის ჩვენ შენდობა...
ცოდვა არის, გადათელო
ადათები ძველთაძველი...
თუ პასუხი დღესაც არ ვთქვით,
შებრალებას ნულარ ველით.
ო, ფატიმა, ნუ მაწვალებ,
აღარა აქვს ჩემს გულს აჯა!
იგი ჯამბულათისათვის
საკმარისად დაისაჯა...
ჯამბულათიც, რაც დაობლდა,
მე იმედად თქვენ გიცქერდით,
მე თქვენ გზრდიდით... რა მხვდა ჯილდოდ,
განაწამებს შავი ბედით:
უკვე ხუთი წელი გადის!
აღარ მომდის მისგან ცნობა,

ვხედავ, შენაც არ გაქვს ჩემი
სიბრალული, თანაგრძნობა!
ო, ფატიმა, ჩემო კარგო,
ნუთუ სტირი, გდის ცრემლები?
მე ხომ შენ არ გემუქრები, —
მაღონებენ შენი წლები...“
— მამავ, ტყვილად ნულარ ვკარგავთ
სიტყვებს და დროს! ვიცი კარგად,
ჩვენ არ ძალგვიძს ბრძოლა მეტი...
რა ვქნათ... იყავ გადამწყვეტი —
ღმერთიც, ხალხიც გაპატიებს —
გამათხოვე ვინც გსურს, მასზე,
სიტყვის თქმაც კი ზედმეტია
აქ ჩემს ბედნიერებაზე...
— „ო, ასულო, მოხუც მამას
შენ ჰკლავ! ვფიცავ ამ ჭაღარას.
ვფიცავ ალაჰს, სხვა რამ ფიქრი
დამრჩენია აწ აღარა —
მსურს შენ იყო ბედნიერი...
ადათის და მამის ნება
და არც ჩემი არჩევანი,
არც ერთი არ მენანება,
დავთმობ, რა წამს განმიცხადებ
შენს ხვაშიადს, გულისნადებს!
ეს იქნება, შვილო, ჯილდო
წამებაში განვლილ წლების,
შავბედი რომ დამცინოდა —
სთქვი მართალი, გეხვეწები!“
— მამავ! გახსოვს ჩეჩნეთიდან
მაცნე ჩვენთან რომ მოვიდა?
მოაჭენა ღამით ცხენი
და უამბო ხალხს ამ ხევის,

მან ამბავი, საზარელი,
გიაურთა შემოსევის?..
ახალგაზრდა და მოხუცი
გაეშურა სულაკს ხელად,
გახსოვს, მე და ჯამბულათი
გემუდარეთ გულფიცხელად,
რომ გაგეშვა ისიც ომში.
ვით ღელავდა, გახსოვს, ლაღი?
სისხლისმღვრელი ომისათვის
შენი ვაჟი იყო ბალღი...
გამოგტაცა მაინც ნება...
ეჰ, უგნური! მასთან ერთად
მეც გადავყევ ბავშვურ ფიქრებს —
მაგრამ, ალბათ, გვქონდა ბედად!
მხედართ შორის ყველას სჯობდა
ის მხედარი უწვერული,
ომს კი არა, — ლაღ ცხოვრებას
ის ეტრფოდა წრფელი გულით.
მაშინ იმას მე ვუყვარდი...
მაპატიე აღსარება...
ხუთი წელი ტყუილ ცდაში
უკვე გადის, უკვლოდ ქრება.
ვით უსიზმრო ღამეები,
რომ შუქიც კი არსად ჩნდება,
მაინც, ხშირად, მე იმედით
მწარე იჭვი მეფანტება,
ველი... მაგრამ უღირს ქალის
რაა ფიცი, ან ოცნება!
რომ იმისთვის შენ გათელო
ადათების წმინდა ნება...
ალბათ, იყო ბედი ჩვენი,
რომ დავკარგეთ ერთმანეთი,

დავიღუპეთ ორთავენი...
ეჰ, დიდობდეს დიდი ღმერთი!
აჰა, მამავ, მორჩილი ვარ,
უბედური ჩემი ბედის,
აღარ მინდა გაწვე ბარგად,
აღარ მინდა გტანჯო მეტი –
მე ქედს ვიხრი ადათის წინ,
ვტეხ ყმაწვილურ ფიცს, ოცნებას.
დავივიწყებ მე ჯამბულათს,
და მივყვები... – დამრთავ ნებას?
იბრაჰიმსა...“
– „რა სთქვი, შვილო?“
– „ღმერთმა მარგო მე ის ბედად!“
– „მაგრამ ის ხომ არარაა,
ღატაკია ის ხომ მეტად?
რას ჩადიხარ?..“
– „მამავ, მას აქვს
დიდი ხნიდან ჩემი ტრფობა“.
– „ის თავადიც რომ არ არის?“
– სულ ერთია... ჩემი გრძნობა
იმას ირჩევს. მამავ, გწამდეს –
შრომა ოფლში განბანილი
და გამთბარი სიყვარულით
ჩემთვის არის უფრო ტკბილი...
მამავ, შენ ხომ უგნურ ასულს
მოუსმინე აღსარება,
აწ განსაჯე იგი მკაცრად,
როგორც იყოს შენი ნება;
ახლავ მიეც მას სასჯელი!..
მოხუცი კი თვალზე ჩქარა
ხელს იფარებს... და პასუხად
მხოლოდ ცრემლი გადმოღვარა.

2

გრილა... მთიდან, შუაღამის
ნელი სიო მოჰქრის ცივი,
მგზავრებს ცეცხლი დაუნთიათ,
საბარგულთა მოჩანს მწკრივი,
წყლის ნაპირას ვხედავთ ხარებს...
აი, ვილაც მღერის წყნარად,
ხეობაში სიმღერის ხმა
მოწყენილად ისმის მარად...
ვილაცა თვლემს და ამთქნარებს...
ასეთ ღამით რა კარგია
ცისქვეშ მინდვრად წამოწოლა,
უნებურად თვალი ღია
მოლივლივე ვარსკვლავებს თვლის,
ბინდბუნდშია ღამე წყნარი,
ფიქრს მოარულს დაუცხრომლად
უკვირს სიბრძნე ზენაარის...
რარიგ გვატკბობს სიაზატე!
თუნდ უმწეო ფიქრთა ჯარი —
გვსურს შევიცნოთ ჩვენ ბუნება,
გადავლახოთ ცის საზღვარი!
მაგრამ ჩვენ არ ძალგვიძს იგი!..
ჩანან ლანდნი ურმებს იქით...
ერთი ცეცხლთან არის ცდაში,
მზარეულობს... ამავ ხანში
კოცონს ირგვლივ შემოუსხდნენ
რიგრიგობით ჩერქეზები.
ორი ვაჟი მერიქიფობს,
თანახმად ძველ ადათების.
უფროსობის წესის დაცვით
მათ თასები დააქვთ წრეში
და ღაჟღაჟა სახეები

ჩანან ცეცხლის სინათლეში...
ღარიბული შეჭამანდი
და ზედ მხოლოდ ქერის მჭადი.
მაგრამ მოეწონებოდა
ის ვახშამი ღარიბული, —
ვინც აფასებს მძიმე შრომას
და მშრომელიც უყვარს გულით.
ჩვენ კი გვიყვარს, ო, მკითხველო,
ფუფუნება, ყოფნა მშვიდად
და ვახშამი ამნაირი
არ გვიტაცებს ისე დიდად.
მაგრამ ჩუმად! ჭაბუკ ჩერქეზს
ესმის, — ვიღაც ახლოს დადის...
— „მადლი ღვთისა, ამ თქვენს სუფრას,
და გწყალობდეთ თქვენ მაჰმადი!“
და ჩერქეზებს მიესალმა
უცხო მგზავრი, სიტყვით ტკბილით...
წამოუდგნენ:
— იყავ ჩვენი
სტუმარი, ღვთის მოგზავნილი.
თუ მასპინძლად შენ გვიკადრე,
ღარიბ სუფრას ნუ გვიძრახავ,
კარგ ამბებსაც მოგვიყევი,
სად ყოფილხარ, რა გინახავს?..
— „ვიყო ზეცის მახარობლად, —
როგორ ძალმიძს ლეკს საწყალსა,
საიქიოს საიდუმლო,
რომ ვცნო, — მე ვინ მომცემს ძალსა.
მე სხვის კარზე ვიზრდებოდი
უდედმამოდ დარჩენილი
და მიმაჩნდა მშობელ დედად
ბებერი კბილჩაცვენილი.

ის და ქოხი დანგრეული,
სადილ-ვახშმად ციცი მჭადი.
ჩეჩქზე წოლა ხან — ზღაპრები
და ბავშვობა ჩემი გადის.
ვიზრდებოდი, — დედაბერი
მავალებდა, შთენილს ობლად,
ვყოფილიყავ მოლხენის დროს
თავადების გამართობლად.
ხან ვმღეროდი, ხან ვცეკვავდი
და დედაბერს ნასუფრალით
მე ვარჩენდი... ამ ყოფაში
სიყმაწვილის გაქრა კვალი.
რა ხანია დედაბერი
მოკვდა, — მეც ვარ ხანდაზმული.
ის დიდიხნის წინათ გახლდათ,
რომ დავტოვე მე აული.
და მას შემდეგ ვხეტიალობ,
კომბლით ხელში, მთად და ველად,
ვმღერი ყველგან, ყველასათვის,
ტკბილი სალმით მხვდება ყველა...
ერთ დროს დუღდა ჩემში ძალა
და მომავალს მხნედ, გულმაგრად
ვჭვრეტდი, — მსურდა საქმე, ბრძოლა,
ახლოს ვიყავ ბედთან... მაგრამ
გავხდი ავად... გამეღვიძა
უცხო ხალხში, უცხო მხარეს.
ბრძოლისათვის უძლურს, ბედშავს,
იქ სიცილი დამაყარეს...
მე სიცოცხლე მექცა ტვირთად,
სიცოცხლე კი მსურდა... ღმერთი
ხედავს!.. მაგრამ თან დამდევდა
ყველგან ციხე და ბნელეთი.

მაწამებელ, ფიქრთა სწრაფვა
დამეკიწყა, მსურდა მაშინ
და მორჩილი ვიყავ ხვედრის,
ვით მცირედი ნავი ზღვაში,
ზეფირის ფრთებს ემონება, —
არც ცრემლი, არც დანანება,
არც ალერსი, არც სალამი,
არც ხალისი, თუნდ ერთ წამით,
ჩემთვის უკვე აღარ ჩანდა.
დღე დღეს სდევდა ბუნდად, ლანდად
და უფსკრულის პირზე მდგარმა,
უცებ უკან მოვიხედე, —
გადავწყვიტე, დავუბრუნდე
ჩემს მშობლიურ მთებს და ქედებს.
მე ვთქვი: მიჯობს სადმე ჩავკვდე,
გავიყინო ბედდამწვარი,
ვინემ ხუნდის ჩხარაჩხური
კვლავ მესმოდეს შესაზარი...
რომ იცოდეთ, რა გადამხდა,
გავუძელი რამდენ ჭირსა,
მზის შუქს როგორ გავურბოდი,
როგორ მეშინოდა დღისა!
სად ზღვასა ჰგავს ველი ვრცელი,
დის მდინარე ზანტად, დუნედ,
იქ უსაზღვრო არის სევდა,
წამი უდრის საუკუნეს...
გრძნობ, გელევა ბედშავს გული,
და მუხლებიც გისუსტდება, —
ხედავ, შუა გზასაც არ ხარ,
წინ კი გზები არ თავდება!
განაწამებს გულის სიღრმით
აღმოგხდება კვნესა მწველი,

გამოუთქმელ ჩუმ ვედრებით,
ძალმიხდილი სიკვდილს ელი.
მაგრამ სიზმრად: ისევ მთები
თვალწარმტაცი ჩემი მხარის, —
ვით დაჭრილი ვეფხი, უცებ
გავიღვიძებ, ისევ ვდგები;
სანამ გული არ წამივა,
მივქრი უცნობ ბილიკებით...
მეგობრებო, მოგაწყინეთ,
მაპატიეთ მწირს, საწყალსა, —
ხშირად გრძნობის სიჭარბისგან
ჩამოსცვივა ცრემლი თვალსა;
მაპატიეთ, რომ ვახშამი
მე ცრემლებით დავამწუხრე, —
ვფიცავ, არის სასწაული,
რომ ვიხილე კვლავ ეს კუთხე".
ყურს უგდებდნენ უცხო მგზავრსა,
სუფრის ირგვლივ ისხდნენ წყნარად,
მაგრამ ვინ და რა კაცია? —
მართალს ვერვინ ვერ მიმხვდარა.
— „ვხედავ, ჩემი მორთულობა —
სთქვა, — გაკვირვებთ თქვენ უცილოდ.
რა ვქნა! ჩემდა უნებურად,
იგი არის სასაცილო.
თქვენს წინ ხედავთ: მწყემსს მომღერალს,
ერთ მოხეტეს, საწყალ არიფს,
კეკლუცების სათაყვანოს,
სიტყვით მდიდარს, ჭკუით ღარიბს.
დღეს მივდივარ მე აულში,
ღელის პირას არის ისა,
მსურს დღეობის მოლოცვა და
თან გართობაც ნაიბისა.

ალბათ, უკვე ის მემდურის...“
მაგრამ ყველას დუმილი ფლობს:
— რაა მისი ის ნაიბი?
რა საქმე აქვს, — ხალხი ფიქრობს, —
დღემდე რატომ ვერ გაიგო,
რომ ნაიბი წევს საფლავში
და ან რატომ ბრწყინავს ნეტა
ცრემლი უცხო მგზავრის თვალში?
— „ნუთუ, — მგზავრი ამბობს ღელვით, —
ჩემმა კითხვამ დაგაბნიათ?
რატომ დუმხართ? შესაძლოა...
ნაიბი ხომ უკვე ფრიად
მოხუცი და სუსტი იყო!..
იქნებ...“
მაშინ მიაჩერებს
თვალებს ბევრი მას ჩერქეზი:
— „ვაჟო, ვფიცავ ჩემს თეთრ წვერებს,
არ ხარ ჩვენი მთების შვილი,
თორემ შენი მოყოლილი
ამბავი გულს მოხვდებოდა,
დაატკბობდა ის ჩვენს სმენას...
სულერთია, — მაინც იქნებ
შორი გზიდან მოხვალ შენა,
რომ გადასცე მოხუც ნაიბს
მისალმება ჯამბულათის.
გვიანღაა... აწ მოხუცი
ამა ქვეყნად აღარ დადის“.
საპასუხოდ მოგზაურსა
წამს აღმოხდა მწარე კვნესა:
ყველა ფიქრობს: რა კაცია?
ნეტა რად ღვრის ცრემლებს ცხელსა?
და ბებერმა კვლავ მიმართ:

თუ გწამს წინასწარმეტყველი,
— „თუ გწამს ძმობა და ადათი,
გვითხარ ვინ ხარ?“
— „ჯამბულათი!“

3

სოფლის ბოლოს, ქოხის წინა,
დედა ჩერქეზს პაწაწინას
ართობს ხვევნით და თამაშით,
ხან დაიჭერს, ხანაც ბავშვი
გაექცევა და ხითხითებს...
ჰა, დაეცა... მაგრამ დედა
ხელს დასტაცებს ცელქ ბიჭუნას
და ჩაჰკოცნის ზედი-ზედა.
ბავშვი წივის ლხენით მეტით...
მას უთუოდ სწყალობს ბედი,
ვისაც ხვევნა ახსოვს დედის...
მაგრამ რად კრთის? რად ვერ შედის
იმ ეზოში ჯამბულათი?
რად ვერ აღებს ჭიშკრის კარებს?
როგორც ქურდი, სულმდაბალი,
თავის მსხვერპლს რომ უთვალთვალებს.
წინ წავიდეს, არ აქვს ღონე,
უკან წასვლაც ეძრახება,
სად წავიდეს? და ჯამბულათს
ბრაზი გულზე ეჯახება...
— „ნუთუ მურდალ მონის ლეკვთან
არ მოსწყინდა მას ცერცეტი? —
და მიარტყა ჭიშკარს მუშტი,
მოთმინება არ სურს მეტი.
იმ ბრახუნზე შეკრთა ბალღი,
მიდის დედა ჭიშკრისაკენ...

და „სტუმარი ღვთის არისო“ —
ამ სიტყვებით კარებს აღებს.
შემოიჭრა საჩქაროდ ის
და წარუდგა დიასახლისს
კადნიერად, — ფართე ქუდით,
ხელში კომბლით, მხარზე გუდით,
უცნაური ის ყონაღი.
ცეცხლებრ მწველი სტუმრის მზერა
აკრთობს ქალსა და ღაწვები
მას გაუხდა ელვის ფერად...
მორცხვად თავს ხრის... და ლამაზი
ღიმი ტუჩზე გაეყინა...
ის იბნევა... გული უძგერს
იდუმალი განცდის წინა, —
მაგრამ მალე სძლია ღელვა:
— „თქვენ უთუოდ — ეტყვის ქალი —
გაივლიდით ბევრ გასაჭირს,
შორი გზიდან მომავალი...
მაგრამ ქოხი იბრაჰიმის
სტუმრისათვის ღია არის, —
გთხოვთ, მიგვიღოთ მასპინძლადა,
შემობრძანდით, ვით სტუმარი“.
ქალმა თითქოს თავის თავი
დაიუფლა, დადგა მხნედა,
მაგრამ მაინც მწყემსს ჯერ თვალში
გაბედულად ვერ შეხედა.
გადის წამი... და გონებამ
უკვე სულ სხვა აგრძნობინა,
ვინემ გულმა მას უაზრა —
მას ყონაღი ედგა წინა,
მშიერი და მოქანცული...
მწყემსის სადა ტანსაცმელი,

მიხვრა-მოხვრა, მისი მზერა,
ამტკიცებდა, რომ მთიელი
იყო იგი.
— „მასპინძლური
სალმისათვის გმადლობ დიდად!
მე ამ სალამს და შეხვედრას
შევინახავ გულში წმინდად.
გმადლობ... ბევრჯერ შევხვედრივარ
ლამაზ ქალის თვალთა ელვებს,
მაგრამ შენი შეხვედრა მე
სხვა გრძნობებით გულს მიღელვებს, —
ვიწვი ძმური სიყვარულით...
შენს ტკბილ ხმას ვერ დავივიწყებ;
აწ მე სადაც უნდა ვიყო,
მუდამ შენზე ლოცვას ვიწყებ...
ჰა, ხომ ხედავ, ვარ უბრალო —
მწყემსი, აბა, რა იქნება...
კარგად ვიცი, ჩემი თქმული,
როგორც თოვლი, გაგიქრება,
როგორც ფიცი სიყმაწვილის,
არ დატოვებს იგი კვალსა,
ან რა უშავს... აპატიე
სითავხედე მწყემსს საწყალსა.
სასაცილოდ მიაჩნიათ
შენებრ ტურფებს სიყვარული,
ჰაემანი — მოსაწყენად
და გართობად — ღელვა გულის.
თქვენი ნაკლი, ჰა, რა არი!
აპატიე, რომ სტუმარი
გულახდილი არის მეტად, —
მუდამ ასე არ ვარ მე მთლად...
ცხვრებს ფარეხში ვერ შერეკავ

უსაქმური ლაპარაკით,
ცხადი არის, მაგრამ აქ კი...
როცა მორცხვ ქალს ჩემ წინ ვხედავ,
რომ ივიწყებს ყრმობის ამბებს,
თავისუფალს უფრთხის ლხენას,
რომ ყურს უგდებს მარტოოდენ
ბალღის წივილს და ქმრის ენას,
სადაც გმობენ, ღალატობენ
წმინდა ფიცს და წმინდა აღთქმას, —
მე ვერ შევძლებ გაჩუმებას,
მე ვერ შევძლებ მართლის არ თქმას!..
ხედავ, მწყემსი არ ღონდება, —
თუ გაშლიან მისთვის სუფრას,
და ყანწებიც აივსება, —
ის მოილხენს კიდევ უფრო...“
— „თუ სტუმარი გულით ხარობს,
ცოტაც ყოფნის, წყლითაც თვრება
და მასპინძლის ძრახვა მისგან
არასოდეს იკადრება.
ამიტომაც გთხოვთ, მობრძანდეთ,
ღია არის თქვენთვის კარი!“
— „მეც ამ სიტყვას მოველოდი,
აი, ეს კი საქმე არი!
ნათქვამია: ვერ გააძღობს
ბულბულს სიტყვა მოქარგული,
მაგრამ ახლა გლოცავ და ღმერთს,
შენ გწყალობდეს, მე ვთხოვ გულით.
მე ვიცნობდი შენს მეუღლეს, —
ჭურდობაში გვჯობდა ყველას,
ბავშვობისას ერთად ვხტოდით,
სიფრთხილისთვის ჩუმჩუმელას
ვეძახოდით...

შენ კი გიცნობ
განაგონით, ისე, ცოტა...
და ეს ბავშვიც თქვენი არის?“
— დიახ!
— „ეს კი არ ვიცოდი!..
არ ვიცოდი და ახლა კი
მსურს დავსაჯო ავაზაკი...“
ო, მკითხველო, საკვირველი
არის ხშირად ბავშვის ქცევა, —
ის მაშინვე იგრძნობს, თუ მას
კაცი წრფელად არ ექცევა.
ჯამბულათსაც სურდა ახლა
მიფერება თვალთმაქცურად,
მაგრამ ბავშვი ატირდა და
დედის კალთას მიაშურა.
დიდება ღმერთს და მასპინძელს!
და წასვლის დროც არის აწი,
მაგრამ სტუმარს, გზად მიმავალს
შესთავაზეს კიდევ ყანწი,
— „მე დავთვრები!“
— „გზა მშვიდობის!“
ადღეგრძელე იბრაჰიმი...
— „ბარემ ერთად გადღეგრძელებთ
შენ რა გქვია...“
— „მე — ფატიმა“.
— „ერთ ფატიმას მეც ვიცნობდი,
იყო ტურფა ქალიშვილი
და ოჯახში დიდ თავადის
როგორც სისხლით მკვიდრი შვილი,
თავისუფლად, უდარდელად,
იზრდებოდა ნება-ნება
და ხალხში მის სიტურფეზე

ითხზვებოდა ბევრი ქება...
მოხუცი მას, როგორც ასულს
ზრდიდა... მაგრამ ჭაბუკ თავადს,
ბავშვობიდან მასთან შეზრდილს
შეუყვარდა იგი თავად.
მაგრამ მიჯნურს ბედმა უმტრო,
ჯანყი მოხდა ერთხელ მთაში
და თავადი ახალგაზრდა
ტყვედ ჩავარდა ერთ ბრძოლაში...
სჯობდა, ბარემ მომკვდარიყო
ომებსა და გასაჭირში".
— „მითხარ! განა ის გადარჩა? —"
შეეკითხა ქალი შიშით.
— „ფიქრობდნენ, რომ დაიღუპა
და მოხუცი გატყდა სულით;
თან გადაჰყვა ახალ თავზარს,
როცა ტურფა იმ ასულმა
დარხეულ ხმებს დაუჯერა,
გადათელა ადათები
და ფარულად გაჰყვა მონას!"
— „კმარა, ამას კვლავ მოჰყვები!..
ახალგაზრდა თავადზე თქვი,
დაათავე ის ამბავი!"
— „გრძელი არის იგი მეტად,
რატომ მოგაბეზრო თავი...
ტყვეობაში, ბორკილშეყრილს,
როს ტანჯავდა ციხე ბნელი,
ერთი ფიქრი აღონებდა, —
თვალწინ ედგა საყვარელი...
როგორც იქნა, შინ დაბრუნდა
მთაში, მთების ნაშიერი
და მივიდა ძველ სატრფოსთან

ავადმყოფი და მშიერი.
მაგრამ ქალის გულცივ მზერას
ახლა შეხვდა ის თავადი“...
— „სთქვი სახელი იმ თავადის!“
— „იმას ერქვა ჯამბულათი“.
— „მწყემსო, მე სულ ავირიე...
ზღაპარია ეს... ზღაპარი?
მე ვიცი, რომ ის მკვდარია...“
— „არა, იგი შენ წინ არი!“

4

მყუდროება სუფევს ქოხში...
შუაღამე. ბუუტავს კვარი.
ხან ინათებს, ხან ჩაქრება,
იბრაჰიმი არსად არი...
მშვიდად, წყნარად სძინავს ბავშვსა,
თვით ფატიმას არ სურს ძილი.
გადაწყვიტა ქმარს უცადოს,
ზის მდუმარე, მოწყენილი...
უცებ შეკრთა... მას მოესმა:
კაკუნი და ნაბიჯის ხმა...
ფიქრობს, მოვიდაო ქმარი,
აღარ არის ეს სიზმარი
მაგრამ ხედავს, ვით აჩრდილი,
წარსდგა მის წინ ჯამბულათი.
— ეს შენა ხარ?
— „დავიბენი...
ღამე არის მუხანათი.
დანგრეულა ყველგან გზები,
ქარბუქია... ნიაღვარი...
აქ მოსვლამდე განვიცადე
გასაჭირი მრავალგვარი...

მაგრამ მორჩა. მადლი უფალს!..
დროა უკვე მოემზადო,
ცხენები მყავს... ჩვენ გავიქცეთ
და დაწევა შემდეგ სცადონ".
— რა თქვი?
— „აბა, ნუ ხარ მფრთხალი,
მე დავიწყე უკვე ბრძოლა
მურდალ მონის წინააღმდეგ...
ზედმეტია შიში, თრთოლვა..."
— შენგან ასე ჩემს შერცხვენას
არ ველოდი, ვფიცავ ზენას...
— „არ გიყვარვარ?"
— გიცქერ ვით ძმას
ღვთის განგებით დაბრუნებულს...
— „მეტად არა?"
— ეს არ კმარა?
— „ო, ფატიმა, ახსოვს შენს გულს
ჩვენი ფიცი და აღთქმები?"
— წარსულს უკვე ადევს ლოდი,
მას ნუ ეძებ, აღარ არი!
— „მოღალატევ!.."
— მე გელოდი...
დიდხანს... განა ადვილია?
თვით შენ გკითხავ სამართალსა,
როცა დროა გათხოვების
და ყველანი ჰკიცხვენ ქალსა?
მე ხელს მთხოვდნენ, ვით წყალობას
თავადები, უზდენები, —
ვერ ხვდებოდნენ თანაგრძნობას
და მჭორავდნენ ავ ენებით...
მე მიმძიმდა არჩევანი.
დაიჯერე, გწამდეს შენ ეს...

ბედნიერი მაინც ვარ დღეს...
როცა ფიცი დავარღვიე,
ერთგულების აღთქმა მსურდა.
ვცხოვრობ შრომით... სად შრომაა,
დანაშაულს იქ რა უნდა!..
ვით ძმას, ჩემი არჩევანის
შეგფეროდა გეთქვა ქება, –
შენ ბნელ ღამეს ამხანაგობ,
ჯამბულათ, არ გეკადრება!
რა ტანჯვა არ გამივლია
და შენ, გულქვავ, როგორ ბედავ
დამირღვიო დღეს სიწმინდე...
მე მყავს ქმარი, მე ვარ დედა!
– „ცოლი მურდალ მონისა და
დედა ლეკვის...“
– ეჰ, თავადო!
სირცხვილია...
– „რაც მოგივა...
დააბრალე აწ თავს მარტო!..“

* * *

მყუდროება სუფევს ქოხში,
კვლავ ანათებს კვარი კერას
ხან ინათებს, ხან ჩაქრება...
იბრაჰიმი არ ჩანს ჯერაც...
დილის სუნთქვა ფანტავს ჩრდილებს,
წითლდებიან მთის მწვერვალნი,
გაფერმკრთალდნენ ვარსკვლავები,
აჟღურტულდნენ ნელ-ნელ წყალნი.
ურმის ჭრიალს მოჰკრა ყური...
ჩაიარა... კვლავ დუმილი
და ფატიმა, ის საწყალი

ელოდება, არ აქვს ძილი.
თრთის და აბა, ვინ მიხვდება
რა ზრუნვათა ხუნდი ადევს,
მის მოღლილ ფიქრს და გონებას
რა აწამებს, რა ადარდებს.
რა სევდით და სიყვარულით
ბავშვისადმი უცემს გული,
რა სურს, უთხრას პაწაწინას...
მაგრამ არა... იმას სძინავს.
და ვერ აფრთხობს მის ზმანებას
ჩუმი ცრემლი და ვაება,
როცა დედა დასცქერს პირმშოს
და სათუთად თავს ევლება...
— ო, იძინე! არსად არის
ძილზე უფრო კარგი მცველი...
მაგრამ სიყრმე გაიარს და
დრო დადგება უფრო ძნელი.
და როდესაც გაიზრდები,
გაეცნობი კარგს და ავსა,
იგრძნობ, დედა რა-რიგ შფოთით
გევლებოდა პირმშოს თავსა.
მანამდე კი შენს ოცნებას
დე, ნუ არღვევს ნურაფერი! —
ეს სამყარო არ ღირს იმად,
რომ გდიოდეს ცრემლთა ჩქერი!
მაგრამ... თითქოს კარი ისევ
გამოიღო ანაზდად და
ჩაბნელებულ დერეფანში,
დგას ჩერქეზი ახალგაზრდა.
ის არ მოჩანს... მხრიდან ნაბადს
იხდის იგი ფრთხილად, რიდით.
— „რად აწამებ ასე შენს თავს

ო, ფატიმა?!.
— შენ გიცდიდი!..
— „დავგვიანდი იქნებ, და შენ
თეთრად უნდა გაათენო?
აბა, ამით მე რას მარგებ...“
— შენ დაბრუნდი... ო, გამჩენო!..
— „ეჰ, ფატიმა, ტირი? რატომ?
ჩვენს პატარას უჭირს რამე?“
— „არა, იგი კარგად არის...
მე ვბოდავდი მთელი ღამე...
დილამდე ვერ მივაღწევდი...
ახლა მოვრჩი... შენ გიცქერი
და დავმშვიდდი... დაიღალე?
შენ დასველდი?.. ხარ მშიერი?..
არა უშავს... მე მოგართმევ
შენ ხაბიზგინს, მსუყეს, ჩქარა...
— „მე კი ბაღდადს ფერადფერსა
ვუფეშქაშებ ჩემს მშიშარას“...
— ახ, იბრაჰიმ, შენ უბრალოდ
რატომ ხარჯავ ნაამაგარს...
— დაიხურე... დაგშვენდება...
ვერ იპოვი ჩვენში ამგვარს.
— ცოტა ჭამე!
— ვარ მაძღარი!
სხვა ახალი, თქვი, რა არი?
თითქოს მალავ, მიგრძნობს გული...
— ძმა დაბრუნდა!
— ძმა რომელი?
— ჯამბულათი... დაკარგული.

5

გაელვიძა მეფურ ყაზბეგს,
მიესალმა სხივებს მზისას.

და ჭალებიც იცილებენ
სამოსს ბინდის და ნისლისას...
მთები ზანტად გამოდიან
ღრუბლებიდან... იღვიძებს ტყეც
და ტრფიალით ფრინველთ გუნდნი
შეჰხარიან მშვენიერ დღეს.
ღვიძავთ უკვე მშვიდ ჩერქეზებს...
ჩანს აული ხევის თავში,
ისმის ცხენთა თქარათქური,
ხმა გართობის და განგაში...
მორბის ჯოგი... სახლებიდან
ლურჯი კვამლი ნელა-ნელა
ეფინება ციცაბოებს, —
გაელვიძა უკვე ყველას.
გაიფანტა ღამის ჩრდილი,
მიატოვა ყველამ ძილი,
უკვე შრომა გააჩაღეს,
ზეიმი აქვს ირგვლივ სოფელს
და სულდგმული, ყველა არსი
მზეს შეხარის — ცხოველმყოფელს.
იქ, შეითან გორაკს იქით,
საცალფეხო გზა სავლელი,
ჭიუხებს და ლოდებს შორის,
იკლაკნება როგორც გველი.
შინ ბრუნდება ხშირად ამ გზით
დაქანცული მონადირე,
ულრან ტყეში რომ დასდევდა
დაფეთებულ შველს და ირემს;
ხელთა — გუდით და ნაჯახით,
მძიმე ფიქრში, მძიმე ხვნეშით,
დაღვრემილი და ნაჯაფი
ხე-ტყის მუშა დადის ტყეში;

ხანაც მწყემსი, კომბლიანი,
მოდის ამ გზით, მოაქვს ხელით,
კარავიდან სოფლისაკენ,
კარგი თაფლი, კარგი ყველი...
და ახლა კი ამ აღმართში,
ტანჯვით, ფორთხვით, როგორც ბავშვი,
ჯამბულათი ადიოდა.
რისთვის? რატომ? რა უნდოდა?
რას დაეძებს ნეტავ ისა,
რად აფეთებს თვალებს იგი,
ვით დევნილი მხეცი ტყისა?
რად ჩამოსდის ოფლი ღვარად?..
საკინძგახსნილს, უჩანს მხარზე
მამა-პაპის განძი მთელი:
თოფი ოქროს ზარნიშითა,
და დამბაჩა მეტად გრძელი,
თან ხანჯალი, მოჭედილი,
მზის სხივებზე ბრწყინავს, ელავს...
ჩაბალახი გადუგდია,
სახე მოწმობს ფარულ ღელვას...
ქვეყანა კი რა-რიგ ხარობს,
რა-რიგ არის მომხიბლავი...
ჩქეფს სილაღე და სიამე
და დოვლათის მთელი ხვავი...
უფსკრულიდან ჩანჩქერის ხმა
შეუწყვეტლად ისმის ნელი
სათამაშოს ჰგავს აული, —
ჯოგიც მსგავსად ჭიანჭველის
მოჩანს ველზე... მწყემსი ზანტად
ჯოგს მიჰყვება მოქანცული...
აჰა, მღერის, მას ბანს აძლევს
ყოველ მხრიდან მთების სული...

* * *

„ალაჰ! ყოვლისშემძლევ,
ალაჰ, ყველგან მყოფო,
დიდაარს სახელი შენი!
სავსეა სასწაულით
მიწა და ზეცა სრული —
შენს სიბრძნეს ვუგალობთ ლხენით...
მთები, ტრამალები,
მდინარე, ჭალები,
ტყეები, ზღვები და ტბები
საწყისიდან ბოლომდე;
შენს ქებას ამბობენ,
ჰიმნად აჰკინძეს ხმები...“

* * *

მაგრამ აი, უფსკრულის პირს
იმ ბილიკმა მოუარა, —
გასრიალდა ვითა გველი
და ჩირგვებში გაქრა ჩქარა;
კვლავ გამოჩნდა ბალახებში
როგორც კუდი... და მის წინა
გამჭვირვალე ცივი ზვირთით
ნაკადული ჩქეფს და ბრწყინავს;
თითქოს ზვირთთან დაიხარა,
თითქოს შხეფი მოხვდა წყალის, —
შემდეგ ქვებზე გადახტა და
დააჩნია ხრეშზე კვალი, —
ისევ უკან მოიხედა,
კვლავ სიცელქით წინ გასწია,
ჩაურბინა მინდორს, ჩირგვებს,
კლდის ძირამდე მიაღწია;
ცად მიბჯენილ კლდის კალთებთან

ის დროდადრო ჩანდა მკრთალად
და შემდეგ კი ულრან ტყეში
უგზო-უკვლოდ მიიმალა.

6

რა სიამეს გრძნობს აქ კაცი!
გსურს წამოწვე, გინდა ძილი,
როგორ გიპყრობს ჩუმი თრთოლა,
გულს აწვება ღელვა ტკბილი.
სამყაროა აქ ზღაპრების
და ჯადოსნურ ოცნებათა,
ირგვლივ ხეებს ასწლოვანებს,
ტანი ცისკენ აღუმართავთ.
აი, ცაცხვი! — ნეკერჩხალი
ჩასჩურჩულებს იმას ფრთხილად
და გულთეთრა ჭადრისაკენ
კრძალვით იშვერს ხელებს თხილი.
უყვარს, მაგრამ შესადარი
ხომ არაა! — სად ჭადარი,
მეფე ტყისა, ტურფად შლილი
და სად გონჯი ჯუჯა თხილი!

აი, ძველი მუხა! — მასზე
ხალხში დადის ლეგენდები,
აქ ყოველი მონადირე
მის ჩრდილებქვეშ შეჩერდება,
რომ ნამაზი შეასრულოს, —
უცვლელია მათი ჩვევა;
აქვე მოაქვთ ნანადირი,
აქვე უყვართ ღამისთევა.
ღამით კოცონს აანთებენ,
აქვთ სიმღერა და კამათი

და მთვლემარე უღრანი ტყე
დიდხანს არის მოწმე მათი.
მაგრამ მარტო მონადირეს
კი არ ალხენს მუხის ჩრდილი,
ხე-ტყის მუშაც იქ ისვენებს
ნაჯაფარი და დაღლილი.
აი, ახლაც ორი მუშა
ამ მუხისკენ მიდის ნელა;
ისვენებენ გაშლილ ჩრდილში,
ცულებს იქვე ყრიან ხელად...
— არა, ჩვენ ის გვჯობნის დიდად,
შრომობს უფრო მუყაითად... —
— რატომ გიკვირს, რომ ბევრს შრომობს?
ფატიმა რომ ჩემი ცოლი
იყოს, მაშინ იბრაჰიმის
ვიქნებოდი, ვფიცავ, ტოლი;
თავს ვიქებდი მონურ შრომით...
მასაც რომ ის არ რგებოდა,
ხალხის თვალში, როგორც მე ვარ,
უბადრუკად დარჩებოდა.
სიზანტეს და სიღარიბეს
დააღწია თავი ახლა,
იგი ქალის სიყვარულმა,
ქალის ეშხმა აამაღლა.
ამაღლდა და თავს გვაწონებს
ახლა იგი მისებრ მონებს.
— ეჰ, გრცხვენოდეს, ამხანაგო!
უაზროა შენი წყენა.
სიღარიბეს დავაღწევდით
თავს, ვით იგი — მეც და შენაც;
ქალი დიდი თავადისა
იბრაჰიმის გახდა ცოლი,

არა მიტომ, რომ მთელ ხევში
იბრაჰიმს არ ყავდა ტოლი,
რომ შეეძლოს მისებრ შრომა,
მუყაითად, ბეჯითადა!
ვით მე და შენ, იბრაჰიმიც
ხომ ბოსელში დაიბადა?..
მაგრამ მისებრ სიაზატე
იტაცებდა არავისა
და აზატიც ჩვენზე ადრე,
თავის შრომით, გახდა ისა.
ჯილდოც ერგო შესაფერი,
ის ფატიმამ გაახარა,
არ მიხედა ხალხის ჭორებს,
გლეხი კაცი შეიყვარა.
არც შემცდარა, — იმათ დღემდე
ბედნიერი უდგათ დარი,
მგზავრს თვალს სტაცებს მათი სახლი,
მთაკორტოხზე გადამდგარი
და სტუმართა მოყვარული
ღია არის მათი კარი.
ყანწით ლუდი, ხაბიზგინი
მათ ოჯახში მუდამ არი.
ყოფა ჩვენი შეიცვალა:
ზოგი ტირის, ზოგი მღერის, —
ჩვენ ნუ განვსჯით, ღვთის ნებაა...
თუნდ თავადთა ნაშიერის,
რაა ყოფა ჯამბულათის?..
მოჯირითე, მონავარდე,
სიამაყე იყო ხალხის, —
გიაურთა ტყვედ ჩავარდა,
გამოიქცა... დღეს ჩვენია,
მაგრამ რაღა დარჩენია?

პარტახივით დგას აული...
კოშკი არის დანგრეული...
ნაიბს წაჰყვა თან დიდება
ხმლის, თოფისა, ცხენთა დოღის
და თავადებს ჯერ კვლავ უჭირთ
მუშაობა, ქნევა თოხის,
ეს გართობაც უჭირთ ფრიად,
ყმებიც აღარ შერჩენიათ
და შიმშილსო, — ხალხი ამბობს, —
მამიდა არ დაერქმევა; —
ჯამბულათიც დაწანწალობს,
აქეთ-იქით დაეთრევა;
ფლანგავს მამის დანატოვარს...
ცოდვაა, თან დასაცინი!
არ სურს გვიცნოს ჩვენ ტოლებად,
კვლავ დიდკაცობს, ჩვეულ ჟინით.
მთელი წლობით აულებში,
თოფით მხარზე, დადის ცხენით
თავგზას უბნევს ხალხსაც მისი
მოგონება მოსაწყენი.
ძლივს იტანენ, არვის უნდა
მასთან ყოფნა, მასლაათი;
ფეშქაშს მაინც ართმევს ძალით...
ასეთია ჯამბულათი.
ვშიშობ, საწყალ იბრაჰიმსა
დააწვება ჭირად ისა.
იბრაჰიმ თუ შეინახავს,
სხვა ვინა ჰყავს ამ არეში? —
და ნაიბი სირცხვილისგან
შეირყევა სამარეში.
მაგრამ ეს ვინ არი?.. არა...
ნუთუ მაცდენს ჩემი თვალი,

ვიღაც ჩანდა... დაგვინახა
და უეცრად გაქრა კვალი...
— არა, ალბათ, ჭადრის ჩრდილებს
არხევს ქარი ნება-ნება...
უკვე დროა, ეჰ, ბებერო,
ავდგეთ, კმარა დასვენება!
ძვლებს დაზელვა მოუხდება...“

* * *

ულრან ტყეში მუშას ოფლით
დაუსველდა ახალუხი,
დაიღალა და მინელდა
მისი ცულის ჩახაჩუხი.
მას თანდათან მკერდს აწვება
მძიმე ოხვრა... ვინ მიხვდება.
რამდენი დრო და რა ძალა
იბრაჰიმმა აქ დაყარა!
მაგრამ მაინც მის აულში
ბევრი ცხოვრობს მასზე კარგად.
რატომ ასე ულმობელი
არის ნეტა მისი ბედი?
ბავშვობიდან რომ ჩაგრავდა,
ახრევინა მუდამ ქედი.
დარჩენილი ტიალ ობლად,
მდიდართ ბავშვთა გამართობლად
მსახურებდა...
მშიერ-ტიტვლად,
იზრდებოდა ცივ ბოსელში,
მებატონის ნახირს სდევდა,
ნაგავს წმენდდა ნიჩბით ხელში.
სულ უბრალო შეცდომისთვის
ბევრჯერ იყო განალახი

და... სულ ბოლოს, თავისუფალს
მისცეს თოკი და ნაჯახი.
მუშაობდა დღით და ღამით,
აიშენა მან ჯარგვალი, —
შეიყვარა, სავალალოდ,
დიდ თავადის ტურფა ქალი...
ოცნებასთან გიჟურ ბრძოლით
ტანჯვად ექცა ყოფნა სრული,
განიზრახა თვითმკვლელობა,
ისე იყო დაისრული.
დღე დღეს სდევდა უხალისოდ.
რისთვის?.. რადა?.. არ იცოდა.
და თავადის ქალმა უცებ
ხელი თვითვე გაუწოდა.
კარს მიადგა უცებ ბედი,
რომ არავის არ ეგონა.
შეიყვარა ტურფა ქალმა,
წამებისგან იხსნა მონა.
კვლავ გამხნევდა... მთელი გულით
იგრძნო შვება, სიხარული...
ჯან-ღონე აქვს, ღმერთს დიდება,
სიღარიბეც მოსცილდება,
მხოლოდ საქმე წარიმართოს...
დღეს დილიდან ტყეში, მარტო,
შეშას აპობს მხნე, გამრჯელი,
არ ისვენებს მისი ხელი.
აქ რა უნდა სიზარმაცეს...
მაგრამ, კმარა! — ევლება ტყეს
ოქროს ქობა, — მოდის ჩრდილი
დროც მოვიდა და დაღლილი
ოფლს სახეზე იწმენდს კალთით
და თავისთვის სთქვა მღიმარემ:

— „არა უშავს, საქონელი
დაუჯდება ვაჭარს ბარემ.
ახლა მმართებს მე სიჩქარე...“
მან გაიდო მხარზე ცული
და ბილიკით გაემართა,
ახლოს ნახა ნაკადული,
დაეწაფა წყაროს მარდად,
შეისუნთქა ლაღად ერთი,
მის შავ წვერზე აბრჭყვიალდა
მარგალიტის მსგავსი წვეთი...
ცას მიაპყრო მან თვალები,
თოვლიანი მწვერვალები
შეხაროდნენ სხივებს მზისა,
დრო დგებოდა ნამაზისა.
ახალუხი გაიხადა
და ხელ-პირის ბანა იწყო —
„ღმერთი ყველგან გახსოვდესო!“ —
ეს კანონი მისთვის იყო.
როცა სადმე ამგზავრებდა,
ცოლი ხშირად აბარებდა:
ღვთით ელოდე კარგს და ავსო,
გაუფრთხილდი ყველგან თავსო,
— „შევანელო შრომა, რომ სხვას
ვინმეს შენზე უკეთ ეცვას?..
არა, თუმცა ბევრჯერ მთხოვა...“
და მის სახეს თითქოს გლოვა
დაეტყოო, მაგრამ ტუჩზე
კვლავ ღიმილი გაჩნდა წამით...
გაეცინა... ჩუ! ბუჩქებში
უეცარი ისმის ჩქამი...
— ეს კურდღელი იყო, ალბათ!
ეჰ, გადარჩი, შენი ბედი,

რომ თოფი თან აღარა მაქვს
და ცოცხალი წამიხვედი“.
კვლავ სიწყნარე იდუმალი...
გაეღიმა... შესვა წყალი...
— „ალბათ, დარდობს და მიმელის,
ეშინია მას სიბნელის.
შიში იპყრობს გაურკვევი,
რაც დაბრუნდა ჯამბულათი..
ეშინია თითქოს სისხლის,
ეშინია მას ხიფათის...
მეორდება ჩქამი ისევ...
სჭექა თოფმა... ხევში მყისვე
შორს გაისმა ხმა მქუხარი,
შეარყია არემარე;
დიდხანს, დიდხანს არ დამცხრალა
კლდეთა შორის მისი ძალა...

* * *

„იქნებ მტრედი საყვარელთან
ისწრაფოდა ლალი ფრენით?“
რომ მოესმა გასროლის ხმა,
გაიფიქრა მწყემსმა წყენით:
გადახედა შემდეგ ტყესა
და სიმღერა ააკვნესა:
„ახალგაზრდა მტრედი
მარტოდ სევდიანობს,
თავის სატრფოს ელის,
კვნესის, რომ გვიანობს...
მოფრინდი, ძვირფასო,
გადმოლახე ველი!
შენზე სევდიანობს
შენი საყვარელი...

ვაი, რომ არ ესმის
მას მუდარა სხვისა,
რადგან თვით აღარ გრძნობს
მწუხარებას ისა,
ნულარ ელი, კარგო,
იგი აღარ მოვა!
სატრფო განგმირული
შენ გამოგეთხოვა...“

7

მთის მწვერვალი დაისის მზემ
ოქროსფერად ააბზინა
სახლებიდან ადის კვამლი,
ჯოგიც ზანტად მიდის შინა;
მთელ ხეობას მოსავს ჩრდილი
საღამოა წყნარი, გრილი.
კისკისებენ ქალიშვილნი,
დაჰხარიან მჩქეფარ წყაროს,
თუმც გაავსეს მათ დოქები,
სახლში წასვლას არვინ ჩქარობს.
არ აქვს ბოლო მათ ლაღობას,
სიმღერებს და პაექრობას,
დე, ილაღონ! — დუხჭირ ყოფას
გამოსტაცონ წუთით შვება,
დე, მდინარის ზვირთებს მაინც
ამცნონ სევდა და ოცნება.
ცრემლი ზვირთებს შეერევა
და ჩაიტანს მალე ზღვაში,
და სიმღერაც ხომ ყრუვდება
ჩქარ მდინარის მშფოთვარ ხმაში...
გაიარა ვიღაცამ და...
შეეშალათ ქალებს ხელი,

მაგრამ მაინც დროა უკვე,
დღეს გართობა ჰქონდათ გრძელი...
და ფატიმა?.. ნეტა რატომ,
მდინარესთან დარჩა მარტო?..
თოვლიანი მთაგრეხილიც
გაფერმკრთალდა, იპყრობს ჩრდილი;
მწვანე ტყიდან ჰქრის ნიავი,
ოხრავს, კვნესის ნაკადული,
სიბნელეა, არავინ ჩანს,
ფატიმა, სულგანაბული
ზის და თითქოს ტალღებს ითვლის,
თვალს მდიანრეს არ აშორებს,
მაგრამ იმათ ვინ აღრიცხავს,
ტალღა ტალღას მიაგორებს...
ნუთუ მღერის?.. ჩუმად მღერის
და რარიგად ხვდება გულსა,
რამდენ ტანჯვას ის ამჟღავნებს,
ფარულ ცრემლებს, სიყვარულსა!

* * *

„დაისის მზე ჩაიძირა,
დედამიწამ დაიძინა,
ღამის სიზმრებმაც დაიწყეს ფრენა...
საყვარელო, სევდით ეკვდები,
მოდი, მე შენ გელოდები —
ისწრაფე, ცრემლი შემიშრო შენა.

ო, ძვირფასო, ისევ გრძნობით,
თავით მკერდზე მიგეყრდნობი
და შენ გიმღერებ სიმღერებს ძველსა...

მოგიყვები ჩემს მოთხრობას,

ჩემს კაეშანს და ჩემს ტრფობას,
ისევ გაკოცებ, შემოგხვევ ხელსა...“

ზვირთებს შორის, ნაზ სიმღერის
კვლავ ისმოდა ბგერა ტკბილი,
რომ უეცრად ფატიმას წინ
აღიმართა, ვით აჩრდილი,
პირზე მზაკვრულ ღიმილითა,
ჯამბულათი აღრეული.
დაუბნელდა ქალს გონება,
წინათგრძნობით უთრთის გული, —
ვით ჭკუიდან შერყეული,
აღგზნებული, გიჟი, ანცი,
ხრამისაკენ გაექანა...
გზას ულობავს მას ვაჟკაცი.
— გზა!..
ვაჟს ღვარძლით გაეცინა
— რა გსურს ჩემგან?.. —
— „შენ ხარ ჩემი...“
— უბედურო, დაგვიანდი
და ფატიმა მოკვდა შენი...
ჩემს შერცხვენას რატომ ცდილობ?..
ტანჯვა შემხვდა განა მცირე,
სიყმაწვილის ოცნებები
განა მე არ დავიტირე?
რატომ ასე ულმობელად
სულს მიმწარებ, მტანჯავ შენა?..
მიხვდი, იბრაჰიმისათვის
ვარ ნამუსი, ბედი, ლხენა.
— „გაქრა ყველა, როგორც წყევა,
ყველაფერი გაცამტვერდა...“
და გაშალა მან მკლავები...

ქალი შეკრთა... ეცა ელდა...
— გამეცალე! გასაქელად
მე არ მოგცემ სინდისს დედის,
სიბრალული რადგან მეტი
აღარა გაქვს...
და ნაბიჯი
უკან წარსდგა, დაიხარა,
ქვა აიღო დასარტყმელად...
ვაჟმა უთხრა:
— „მომკალ, მაგრამ
გევედრები, მომცე ნება,
გითხრა ჩემი აღსარება...
ვერ მაშინებს მე სიკვდილი,
მაკრთობს შენი სიძულვილი...
ღმერთმა იცის, ო, ფატიმა,
თუ რა-რიგად გეტრფის გული.
შენ რომ არა — ეს ცხოვრება
იქნებოდა ტანჯვა-სრული, —
ბილწი როგორც საპატიმრო,
გაიხსენე, ო, ფატიმა,
რაც მე და შენ გავიყარეთ,
არ ვიყავი მე მწუხარე?..
ბორკილებში, მათრახის ქვეშ
გავძელ, მეყო ძალა, ღონე, —
შევებრძოლე დაბრკოლებებს, —
შენს სიყვარულს დავემონე.
შენ კი... ნუთუ მე ამგვარი
შენგან შემფერს საჩუქარი?
მომკალ ბარემ... მე ყოველთვის
სიცოცხლე ხომ მსურდა შენთვის...
აღარ გახსოვს? როცა ზეცას
შეამკობდა ოქროს მთვარე,

მყუდრო ღამის სახურავქვეშ
იძინებდა არემარე, –
შენ ჩქარობდი ჩემთან იმ დროს...“
– ჩუმად, ჩუმად... წყეულ იყოს!
ბედი ჩვენი ვით შევცვალოთ!..
– „არა, არა! მთლად უკვალოდ
ო, ფატიმა, ნუთუ შენში
იმ ღამეთა გაჰქრა ლხენა?..“
ფერწასული იდგა ქალი,
ვერ დაეძრა საწყალს ენა
და ხავერდის დიდრონ თვალებს
მოსდიოდა ცრემლი ღვარად.
– „ღმერთო! ნუთუ სასაცილოდ
ბედის ხელში ვრჩებით მარად?
ნუთუ მართლა გადაწყვიტე
სამუდამოდ მოცილება?..
– ჰო... მშვიდობით...
– მაშ, შეჩერდი!
შენ დაკარგე ეს უფლება,
შენ ჩემი ხარ ახლა, მტრედო...“
– შორს, შეშლილო!.. ქცევა მტრული
არ შეგრჩება, პასუხს აგებ...
– „გადავიხდი სიყვარულით...“
– ყურანს ვფიცავ, იბრაჰიმი
არ შეგარჩენს!..
– „მეეჭვება...
ის აღარ გყავს...“
– რა თქვი შენა?..
– „გეტყვი, იყოს შენი ნება.
დასამალი რა მაქვს ნეტა!
მე მიყვარდა სულზე მეტად,
ვისიც გახდა ის უფალი,

სულ შემთხვევით... და მოვკალი...“
ეს სიტყვები თქვა თუ არა...
უცებ შედრკა ხმა სამარის,
წამსვე თავი ძირს დახარა, —
და პასუხად, მთლად მიმქრალი,
შემოესმა კვნესა ქალის
— „ფატიმაო!“ — მანც შესძახა
ისიც შეკრთა, აცახცახდა,
ვით შროშანამ მოცელილმა
ქალმა თავი ძირს დახარა...
მაგრამ უსწრო ჯამბულათმა,
მიიწვინა მკერდზე ჩქარა.

* * *

მძინარ სოფელს დაჰყურებდა
მედიდური ოქროს მთვარე,
მთის ნიავის მსუბუქ ფრთებით
აგრილებდა არემარეს;
ქვის ღირღალში მოქცეული;
კლდე რომ ჰქონდა წინ საძგერად,
ღრიალებდა მთის ნაკადი,
იღვრებოდა ძირს ჩანჩქერად...
მის ნაპირას, ძმის მკლავებში,
უსიცოცხლო, როგორც ლეში,
ის ფატიმა იწვა ჩვენი.
ჯამბულათი გულნატკენი
უცქერს... რაღას შველის... არა,
შეიშმუშნა... არ მომკვდარა!..
გაეღვიძა... როგორ კდემით
ის უცქერის, მშვიდი, წყნარი,
ზეცის ლაჟვარდს, სადაც მწყობრად
მარად ბრწყინავს მნათობთ ჯარი...

— სად ვარ? — შიშით თქვა ფატიმამ,
გადაისვა ხელი შუბლზე
და წამოდგა...
— როგორ მოხდა?
რად ვწოლილვარ ხრამის ზღურბლზე?!
ან რატომ არ გადავვარდი?..
არ გინახავთ განა ისა?..
მოიკითხა სიტყვით წყნარით.
მაგრამ მთვარის შუქის კრთომამ
წამს აუხსნა მას შეცდომა —
ფიქრობდა, რომ მეგობარ ქალს
მომღიმარეს იქ ნახავდა
და მის წინ კი მამაკაცი
იდგა — ნაცნობს არა ჰგავდა.
დააკვირდა თანდათანა..
— ვინ ხარ?.. აქ რამ მოგიყვანა?..
— „შინ წავიდეთ, აბა, ჩქარა!.. —
ძალმიხდილ ქალს დაამთქნარა...
— როგორ ცივა... მოქრის მთიდან
კვლავ სინესტე ცივ სამარის.
ნაკადული ისევ ტირის,
ვერ დაძლია სიმწუხარე;
კვლავ ცრემლი სდის, მაგრამ ნაკადს
დაამშვიდებს სიღრმე ზღვისა,
აქ კი... აქ ხომ არვის ესმის
გასაჭირი, სევდა სხვისა...
მეც ჯამბულათს სწორედ ასე
დავტიროდი ცრემლით ცხელით...
ვშიშობ...
— „ნუ კრთი, შენ ხარ ძმასთან...
— გამეცალე! შენ ხარ მკვლელი!..
ქალი დაჭრილ ნადირივით,

გადაიჭრა ულრან ტყეში...
კვლავ გაისმა მისი კვნესა
სადღაც შორს, შორს... სიბნელეში...
შერყეული, უკვე ხელი,
ხარხარებდა: — „მკვლელი, მკვლელი!..“

დასასრული

ჩემო მკითხველო, მოსაწყენი გრძელი მოთხრობით,
მე შენი სმენა რომ დავღალე, ნუ გამიწყრები...
მერწმუნე, მიყვარს კავკასია ძლიერი გრძნობით,
დიდი ხანია მწყურის ვნახო იმისი მთები.
ჯიყავ ახლახან... გზად გამვლელმა მივაპყარ თვალი
ოდგილებს, სადაც ხეტიალი მიყვარდა წინათ...
კერავინ მიცნო... აულს სახე დღეს აქვს ახალი, —
მიწურის ნაცვლად, ახალ სახლთა ფანჯრები ბრწყინავს;
შიგნით შპალერი და ღუმელი, სარკეც პრიალა
ჰკიდია, ნაცვლად თოფის, ფარის, ხანჯლის და ხმლისა;
მხოლოდ უცვლელად აულს თავზე ადგია კვალად
ველური ხავსით შემოსილი ქიმი დიდ კლდისა;
კვლავ ამაყად სდუმს და დაჰყურებს ის მოღრუბლულად
აულსა. ახალ ხიდს და გაჭიმულ შარა-გზას მთაში,
ტანისამოსიც და ენაც კი იცვლება სრულად, —
მადლობა ღმერთსა, ჩვენი ფული არის ბრუნვაში,
სკოლებიც არის... ერთ ქოხიდან, ვხედავდი კარგად,
გამოხტა ბიჭი, ხელთ ეჭირა წიგნი, რვეული,
იმ ფეხშიშველას დაეწია სხვა ჭრელპერანგა
და იმათ შემდეგ გამოცვივდა კვლავ ათეული.
ვიღაცა ქალი მე შევნიშნე ახლოს იმავ დროს,
ჩამოძონძილი მიდიოდა და ფეხშიშველა,
უკან მისდევდა ღრიანცელით, მას ბავშვების ბრბო,

ქვებსა და ტალახს იმ საბრალოს უშენდა ყველა...
მხოლოდ ხანდახან ქალი ბავშვებს თუ შეუტევდა,
უპასუხებდა სასაცილო ლანძღვა-მუქარით;
— „დამაცა, ცელქო, დავბრუნდები სახლში ისევ და
ობოლს, უმამოს, აგატირებ ცრემლით მდუღარით...“
— ვინ არის იგი? ხალხისაგან რად გარბის ველად? —
მე უნებლიეთ შევეკითხე იქ მდგარ მედუქნეს.
— „მეც ახალი ვარ ამ სოფელში, — ვიცი მხოლოდ ეს:
შეშლილი არის... და ფატიმა ჰქვია სახელად.
ჰყავდა ბიჭუნა, — დაიჯერებ? — მასწავლებელი
რომ არ შესწროდა, თავის პირმშოს ახრჩობდა ხელით.
ეჰ, კიდევ კარგი, ერთ ინჟინერს საწყალი ბავშვი
შეჰბრალებია, ის პატრონობს, ის ზრდის სკოლაში..
შემდეგ ეს ქალი მარტოდ დარჩა, ველარ ჩერდება,
როგორც თვით ხედავ, დაძრწის იგი მოუსვენარად,
ღამით, ვით ლანდი, მდინარესთან დაეხეტება
და ერთ სიმღერას აჩემებულს ის მღერის მარად:
— „დაისის მზე ჩაიძირა,
დედამიწამც დაიძინა,
ღამის სიზმრებმაც დაიწყეს ფრენა...
საყვარელო, სევდით ვკვდები,
მოდი, მე შენ გელოდები! —
ისწრაფე ცრემლი შემიშრო შენა!..“

1889 წ. 16 მარტი.

ანდო ყუბუყთი

საღამო ოსურ სოფელში

დადუმდა არე, არც ხმა, არც ლოცვა,
მთელი ქვეყანა მოიცვა ბინდმა,
ანთებულა და ლურჯ ცაზე მოჩანს
ვარსკვლავი, როგორც სანთელი წმინდა.
ერთ კერიასთან მიმსხდარან ერთად
დიდი, პატარა, ოჯახი მთელი.
გულებს უთბობდათ ყველაზე მეტად
მამა-პაპათა საქმენი ქველი.
აიღო ერთმა ხელში ფანდირი
და ხემი, გლუვად ნაფენი სანთლით,
გმირ წინაპრებზე ნელა, წყნარი ხმით
იწყო სიმღერა აღსავსე ნაღვლით.
იგი მღეროდა გმირ წინაპრებზე,
სევდა ეფინათ ვაჟებს სახეზე,
იგი მღეროდა გმირ წინაპრებზე,
დევგმირ ვაჟკაცთა გმირულ ამბებზე.
ჩაფიქრდა ყველა, აიკვნენ სევდით,
დამძიმდა სული უიღბლო ბედით.
ზოგჯერ სიცილიც კი ისმის, მაგრამ
ყველას სავსე აქვს თვალები ცრემლით.
ღამეც ძლიერობს, დგას შუაღამე,
სიწყნარის ფარდა ახურავთ სახლებს.
შორით მდინარე ქვითინებს მწარედ
და მთვარიანში აქანებს ტალღებს.

სეკო გაფლიანი

მყინვარწვერს

დინჯად დგახარ მთათა შორის,
იმზირები არწივივით,
პირველად შენ მოგადგება
მთვარის შუქი და მზის სხივი.

ღრუბლებში ხარ გახვეული,
გრიგალ-ქარებს უსმენ წყნარად,
ბებერ მკერდზე ქარიშხალი
გეხეთქება წარამარა.

დღისით ლოცავ ხალხის გარჯას
და სიცოცხლეს ახალ-ახალს,
ღამით, როგორც ჩირაღდანი,
კავკასიის ქედზე დგახარ.

და ანათებ მთათა მეფე,
შენ, მშვენება ჩვენი მხარის,
ზვიადსა და უკარებელს
გიმღერით და შემოგხარით!

ჩემს ოსეთსაც გადმოხედე,
მის შვილებს და წმინდა სოფლებს,
შენს ფერდებზე, შენს საოცარ
კალთებზე რომ ბინადრობენ!

წვიმისა და სეტყვისაგან
დაიცავი ჩვენი მხარე
და იმედის შუქი ქვეყნის
სანუგეშოდ გადმოღვარე!

ავდარი

რა მოღუშული დღეა –
მინდვრად ვერ ხარობს ვარდი...
ცაზე ღრუბლების ტყეა –
სული მევსება დარდით...
ჩაბნელებულა სივრცე –
აღარ მოჩანან მთები...
დღესაც ღრუბლები ისევ,
დღესაც ქუხილის ხმები.
გრიალებს, ბორგავს, ანგრევს
გაავებულა ქარი...
ბოლო არ უჩანს ავდარს –
წუხს მთა და ოხრავს ბარი;
ნისლი ებურვის ჭალებს,
დღე საშინელი გვიდგას
სულში ჩამოწვა ღამე –
მზე არ გვინათებს ციდან.
სცვივა ფოთლები ხეებს,
კვლავ ქარი დაქრის მხოლოდ...
ნუთუ ამ უჟმურ დღეებს
არ მოეღება ბოლო?...
რა მოღუშული დღეა,
მზე არ გვიგზავნის სხივსა...
ცაზე ღრუბლების ტყეა,
ცა ჩამოსტირის მიწას.

მაინც მომავალს ვეტრფი,
გული მაქვს რწმენით სავსე:
დრო დადგება და...
ჩვენთვის
მზე გაბრწყინდება ცაზე.

გაიფანტება ჯანღი,
ამღერდებიან მთებიც
შვებას იპოვის ხალხი –
თავისუფალი ძმები.

ხედავთ?!
მზე ღრუბლებს ებრძვის,
შუქი იფეთქებს ცაში
გაიმართება წელში
ჩვენი ოსეთიც მაშინ
გაჩირაღნდება სივრცე
ცხოველმყოფელი სხივით...
დღედაღამ ქარი ისევ
არ იზუზუნებს ცივი...

ოფლით მონაგარ ლუკმას
ვერავინ დაგვაყვედრის...
დაგვავიწყდება სულ მთლად
ჩვენი წარსულის ხვედრი...
ნათელ მომავალს ვეტრფი,
გული მაქვს რწმენით სავსე...
მალე,
სულ მალე ჩვენთვის
მზე გაბრწყინდება ცაზე.

იმედი

გული რწმენით და იმედებით
გიძგერდეს მკერდში,
იმედს და რწმენას თუ დაჰკარგავ —
გული ვერ ხარობს...
ოდეს დრო-ჟამი წელში მოგხრის,
იპოვე შენში
ახალგაზრდული მგზნებარების
მჩქეფარე წყარო.

ობოლი

დაეკარგა დედა
ციკანს,
დარჩა კენტად.
დარდისაგან დნება,
დარდისაგან კვდება.

კიკინებს და ტირის
უნდა დედის რძე და
საწყალს,
ღონემიხდილს,
ლამის სული სძვრება.

ადვილად თუ ძნელად
იწყო ნელა ძოვა.
მოინდომა ველად
კუნტრუში და ხტომა.

მოძოვს ბალახს, ნეკერს,
წყალს აყოლებს, ცელქობს,
მზეს ღიმილით შესცქერს
ხმაკიკინა ბეკო.

თიბვა

მთიბავები მღერიან, —
ისმის მათი ხმებია, —
ბალახები რიგრიგად
ცელის წელზე წვებიან.

ხალხი შრომობს, ხალისობს
მთათა ფერდობიდანო.
ბულულებით აივსო
მთელი არე-მიდამო.

თივა გროვა-გროვად
მოჩანს ნაწვერალზეც.
ამოზრდილა ზოგან
დიდი ზვინი მთაზეც.

ზოგი თიბავს ბალახს,
ზოგიც ფოცხავს მარჯვედ.
მიუყვება აღმართს
ცხვარი, თხათა არვე.

შორს გაფრინდა ძერა
მოწყენილი მზერით.
შიშით სული სძვრება
ბუჩქში ძვრება მწყერი.

ნატვრა

საკნის სარკმლიდან პატიმარი გასცქერდა ზეცას,
სადღაც შორეთში ღრუბლის ფილა ჩანდა ეული,
თავი ჩაჰკიდა, აუდუღდა გლახ გული ბეჩავს
და დასკდა ცრემლი უპეთაგან ჩამორღვეული.

ცის კამარაზე მისდენიდა თეთრ ღრუბელს ქარი,
იხიზნებოდნენ იო-წიოდ ხევით ნისლები,
თვალს აყოლებდა ცრემლჩადენით სარკმელთან მდგარი —
აწღა, ვინ იცის, იქნებ სახლშიც ვეღარ მიმსვლელი.

— ახმე! — პატიმარს შეუთრთოლდა გული მკვნესარი —
ღრუბლად ვექციე ნეტავი ღმერთს, ახლავ, ამ წამში,
გადავეფრინე, რომ მენახა ძმა, ნათესავი,
დედა მენახა, თავს გავყოფდი მერე ბაწარში.

ყელგადაგდებით შორს მიჰქროდა ცაში ღრუბელი,
არა უწყოდა, ვინ სად იყვნენ ტყვენი, მძევლები.
იდგა სარკმელთან კაცი ყოვლგნით დაუმხრობელი
და დამჭკნარ სახეს ურეცხავდა მლაშე ცრემლები.

ჩანჩქერი

მაღალ გზებზე,
კლდიდან კლდეზე,
მოვალ გულანამღერი,
სულ პატარა,
თვალკამკამა,
მოვიჩქარი ჩანჩქერი..

ჩემი გულით,
გასარკულით
და ზვირთებით ცივ-ცივით,
მოვცქრიალებ,
მოვჩხრიალებ,
მოვკისკისებ ციმციმით.
როგორც ქარი,
ვარ მე ჩქარი,
თუმცა განა დიდი ვარ.
სწრაფად, ფრენით,
მივიმღერი,
მდინარისკენ მივდივარ.

ანაფრენი,
ანამღერი,
მოვდივარ და ვთამაშობ;
ჩემი ბრწყინვა
ველარც ყინვამ,
ველარც გვალვამ დააშრო.

ცის ქუხილი,
ზღვის დულილი,
მიყვარს, მიყვარს ძალიან,

მოსირმული ნაკადულიც
ჩემი მეგობარია.

მაღალ მთებზე,
კლდიდან კლდეზე,
მივალ გულანამღერი,
სულ პატარა,
თვალკამკამა,
მოვიმღერი ჩანჩქერი.

ქალიშვილის სიმღერა

სიყმაწვილის და სინორჩის
დროო, რა სწრაფად ჩაივლი,
მიმჭკნარ-მიმხმარა მინდორში
ჩემი სიცოცხლის ყვავილი.

აღარვის არ ეხარბება,
ჩემი შავ-შავი წარბები.
არც არვის არ ენაღვლება,
ცრემლი გულიდან ნადენი.

ნეტავი ნატვრა მანატრა,
ეს ნატვრა ამიხდინაო,
ვიქცე იმ რაშად, ზღაპრულად,
ცხრა მთა რომ გადიფრინაო.

რომ ამეხდინა ზღაპარი,
მელახა ზღვა და კლდეები.
მეპოვა ოქროს სადარი
ის სიყმაწვილის დღეები.

სიყმაწვილის და სინორჩის
დროო, რა სწრაფად ჩაივლი,
მიმჭკნარ-მიმხმარა მინდორში
ჩემი სიცოცხლის ყვავილი.

ძირასგა

ამოშუშხუნებ მიწიდან,
ძირასგა, ზეცის ნაწვიმო.
დალიეთ, მგზავრნო, ვის გინდათ,
სიცოცხლე გაიხანგრძლივოთ.
ვფიცავარ, მირცხის მირცხიდან
მსგავსიც ვერარა დალიოთ.
დალიეთ, ძმანო, ვის გინდათ,
გაგიათკეცდეთ ჯანიო.
მაღალ მთას ხატავს არწივი,
ველს ატკბობს სტვენა მწყემსისა,
მთის მკერდს უხდება ნაწვიმი,
ცას — ღრუბელთ ქულა თეთრისა.
შემოსჯარვიან მყინვარნი
ხეობებს, ყინულნაღვენთნი.
ჯიხვნი რქებგანაბზინავნი
იმზირებიან დაღვრემით.
ველად თოვლს და მზეს ნერგებით
სიცოცხლე უხარებიათ.
მოუჩითიათ კორდები,
ყვავილნი უყვავებიათ.
მდინარის ხმაურ-გრგვინვაში,
ხმაც აღარ ისმის როჭოსი.
ვერ ვწვდი ოცნებებს და მაინც
ვერ მნახავთ ბოლმა მოწოლილს.
ამოშუშხუნებ მიწიდან,
ძირასგა, ზეცის ნაწვიმო.
დალიეთ, მგზავრნო, ვის გინდათ,
სიცოცხლე გაიხანგრძლივოთ.

გამიხსენე

შენს უნებურად, სამშობლო შენი,
თუ მიატოვო, მზის სხივთა მფენი,
გამიხსენე...

შებინდებისას, თუ გზად მავალი
დაღლილი, წყნარი „ჰარი ჰარალით"
უმღერდე შენს ცხენს –
მგზავრი ალალი,
გამიხსენე...

თუ ბადრი მთვარე აღსავსე სევდით
დაგცქერდეს ზენით,
გამიხსენე...

თუ ვერ გზიდავს ქანცგამწყდარი,
შენი ცხენი, რაშის დარი,
თუ სიბნელე გზას გილახავს,
თუ სამარე გიფჩენს ხახას
გამიხსენე ...

თუ გზად სადმე დაგათენდეს,
დაღლილს, ილაჯგანაწყვეტებს,
გამიხსენე...

რასაც კაცი ცხადში სჩადის,
ელანდება ღამით თურმე.

თუ დაიგე ქვეშ ნაბადი,
წუთით თვალი თუ მილულე,
გამიხსენე...

თუ შეგხვდა გზად, სად არ ელი,
მოსისხარი ანუ მტერი,
გამიხსენე...

იბრძოდე თუ არ იბრძოდე,
მკერდზე სიმწრით ხელს იჭერდე,
სისხლის ტბორში გზას იკვლევდე,
გთხოვ, ვით მსხვერპლი
გამიხსენე.

მოდი, მო

შენი მოხდენილი თავი
არ მიანდო ბალიშს, არა,
ამ სალამოს, შევხვდეთ ერთურთს,
დავსხდეთ მალვით სადმე წყნარად.

მოდი, მო, ჩემო სინათლევ!

მთებში ჩარგულ ჩვენს მხარეს
მთვარე ადგა საუფლო,
წამიყვანოს ჩემს გოგოსთან
შავი ვაჟი საუბნოდ.

მას შევთხოვ, ჩემო სულო!
მოდი, მო, ჩემო სულო!

შეტყუპულა წყლის პირას
არყის ხუთი შოლტა ხე.

შენ რას უცდი, რას ზიხარ,
მოდი ჩემთან, მომნახე,
მიატოვე საწოლი,
დარდი გულზე ნაწოლი.

მოდი, მო, ჩემო მზეო!

ჭალაში მღერს ბულბული —
მგოსანს სტვენა უხდება,
შავი ბიჭის მინამღერს
ეს გოგო მიუხვდება,

მოდი, მოდი, ჩემო მზევ,
მოდი ჩემო გოგონავ!

მგალობელი ვით ვაჟი,
ტრფობის მახეს გაება,
ლამაზი საღამოა,
გელი, ჩემო ღვთაებავ.
ჩაგიხუტებს გოგონი,
შავგვრემანი ვაჟკაცი,

მოდი, მო, ანგელოზო!

ამ საღამოს ნუ ეწვევი
საწოლს შენთვის გაშლილსა.
შენი მოხდენილი თავი
არ მიანდო ბალიშსა.
კოცნა ნუ შეგაშინებს
შავგვრემანი ვაჟისა.
ოი, ჩემო დღეო!

მოდი, მო, ჩემო დღეო!

დალოცე

დამილოცე ეს ქვეყანა
დაგვიფარე შენი მადლით,
ჩვენს ქვეყანას მთას და მდელოს
შენ იცავდე, ცაო, მაღლით.

დღეგრძელობა ოსეთს ჩემსას,
წელი ჰქონდეს უხვ მოსავლის
მთას არვე არ დალეოდეს,
ბარში თივა და ხორბალი.

მზით გაათბე ჩვენი მთები,
შენი ნათლით გააბრწყინე,
ჩვენს მთებსა და ჩვენს მდელოებს
განსაცდელი ააცდინე.

დაგვილოცე ეს ქვეყანა,
დაგვიფარე შენი მადლით,
ჩვენს მთასა და ჩვენს მდელოებს
შენ აწვიმე ბედი მაღლით.

შევკაზმო ცხენი

წამოვდგები ადრე დილით,
ჩემს ბედაურს მოვახტები,
რომ დროულად გავყვე ბილიკს,
გადავლახო ღრე და მთები.
ქარზე სწრაფად გასწევს მთაში,
გამაქროლებს თავის მხედარს.
იქნებ, ბედი გვიცდის გზაში,

იქნებ, ვინმე შეგვხვდეს ბედად.
ყველგან სირცხვილს ამაშორებს,
დამიფარავს იქვე, იმ წამს.
ქარს მიახლის ხევს და გორებს
და ტორებით შესძრავს მიწას.
თუ მიაგნო ცხენმა მთაში
გზა სწორი და გზა სავალი,
ვერც მოასწროს თვალმა მაშინ,
ნახოს ნალთა ნაპერწკალი.
შევაჩერებ ბოლოს მერანს
ფანჯარასთან სადმე გვერდით,
სევდიანმა ქალის მზერამ
შემამჩნიოს, ნეტავ ერთი...
წამოვდგები ადრე დილით,
ჩემს ბედაურს მოვახტები.
რომ დროულად გავყვე ბილიკს,
გადავლახო ღრე და მთები.

ჩიტი

ჩიტო!
ჩიტო! —
ჩემი შიში
რატომ უნდა გქონდეს ვითომ?!
არ შეშინდე,
არ გაფრინდე —
ერთი რამე უნდა გკითხო:
შენი მზერა შემიყვარდა,
რა უზრუნველ ხმაზე გალობ...
რა კარგი ხარ,

ოდეს მარდად
ხშირ ფოთლებში დაფართხალობ.
რა ტკბილად და ლაღად მღერი,
დღესაც ისევ,
როგორც გუშინ
ცოტა მაინც სადარდელი
ნუთუ რამე არ გაქვს გულში?!
ახალისებ ბაღს და ეზოს,
მუდამ ხარობ,
მუდამ მღერი.
ახ, ნეტავი მეც შემეძლოს,
ვიყო შენებრ უდარდელი.

ცეკვაზე

უფროსები დარჩეულნი
ჩამომჯდარან ცალ მხარეზე,
ერთმანეთთან ჩახვეულნი
გულს სიმღერით ახარებენ.

მარცხნივ გოგო ჩამომჯდარა,
გარმონს უკრავს გამწარებით,
ჭაბუკების ჯიბრზე ქარმა
გაუწეწა ნაწნავები.

მაგიდაზე დაუწყვიათ
დაბრაწული ხაჭაპური,
გოგო მღერის მთელი გულით
ოქროს კალმით დახატული.

ის იქნება ალბათ გულქვა,
დავიჯერებ აბა როგორ!
დაივიწყოს ვაჟმა ტურფა,
დათმოს ბიჭმა კოხტა გოგო!

გარმონი კვლავ ხმას იმაღლებს,
გულში ჩაღვრილ სევდას აქრობს,
მოკვდი, ბიჭო, ქედმაღალო.
ყველას სჯობნის ჩემი საქმრო.

ნიკერი

(ივანე ჯანიერი)

გალობდა ბულბული

გალობდა ბულბული მდინარის ნაპირას,
იქ ადრე არყის ხე იდგა პაწაწინა.
„აქ გუშინ სიცივით თვით ქვაც კი ტყვრებოდა,
და დამზრალ მიწაზე სიცოცხლე ქრებოდა.
გუშინ აქ ვერსად ვერ ნახავდი ყვავილებს,
აქ გუშინ ლეშისთვის მგლის ხროვა დაძრწოდა.“

ვუსმენდი, ვუსმენდი გალობას ბულბულის,
მის მღერას ისმენდა უსულოც, სულდგმულიც:

„აქ გუშინ მოწყენით იჯდა მამაშენი,
მსუსხავი ქარი კი კალთას უთოშავდა,
ჭაღარა თმას და წვერს მას ქარი ვარცხნიდა,
ზედ ურცხვად აყრიდა ნათოვს და ნაწვიმარს,
ძველი ცხვრის დაკონკილ ტყავში გამოხვეულს.
ფეხთ ძველი ქალამნით, ჰო, ძველი ქალამნით,
გზას ძლივს მიიკვლევდა ყინვით გათანგული.“

ვუსმენდი, ვუსმენდი გალობას ბულბულის,
მის მღერას ისმენდა უსულოც, სულდგმულიც:

„აქ ახლა მზემ უკვე დაათბო მიდამო,
თრთვილსაც ველარ ნახავთ, მზის სხივით გაბრუვდა:
ბუნებამ ყვავილთა ხალიჩა დააგო,
სიცოცხლე დაბრუნდა, სიცოცხლე დაბრუნდა.„

ვუსმენდი, ვუსმენდი გალობას ბულბულის,
მის მღერას ისმენდა უსულოც, სულდგმულიც:

„მოდი, მოირბინე, ყვავილნი გელიან,
მოდი, აქ მზის სხივიც ცხარე და მწველია.
დაე, ეს მთა-ბარი სულ სიცილ-კისკისით
გაათბონ ბავშვებმა, ვით მიწა მზის სხივით.“

გალობდა ბულბული, წყლის პირას გალობდა,
ყველა სიხარულს და სილაღეს ნატრობდა.
აწმყოს და მომავლის დღეებს უმღეროდა,
ამ ქვეყნის მომავლის იმედის სვეროდა.

არწივი

ტეხდა ქარიშხლების რისხვას,
ლურჯი თოვლის მთებით,
თვალში ედგა ფერი ცისა,
ნისლებს ხევდა ფრთებით.

კლდის ქარაფზე დაჯდა ფრთხილად,
ცრემლს აფრქვევდა თვალთგან,
შორსმჭვრეტელს და შორითმზირალს
დალეწოდა ფრთა-ფრთა.

მაგრამ უცებ გადიდარა,
დღე იმოსა მწვანით,
ბრძოლის მერე სარდლის დარად
ჩაიმუხლა წამით.

ჩემს ოსეთსაც შორეთიდან
ასე წეწდნენ, ხევდნენ
მანაც მძიმე ბრძოლებიდან
მოაღწია დღემდე.

ისიც კლდეზე არწივივით
ზის და ზეცით ხარობს,
არ ყოფილხარ განწირული,
ჩემო საფიცარო.

ხიდი

გადაერკალა ხეობას
რკინის მაღალი ხიდი,
ვეფხვის ბრდღვინვით და მხნეობით
მის ქვეშ მდინარე მიდის.
და ამ შხუილშიც მშვიდი
თავისას ამბობს ხიდი:
„კაცთ მიტომ გადაგეხიდეთ
ვლოთ უხიფათოდ — რათა,
ერთურთთან საძმოდ მიხვიდეთ,
უფრო იმძლავროთ ძმათა“...
ამგვარ სიკეთის მთესველის
ხიდო, მანატრე ბედი,
მე შენს წინ, ვითარ შეგშვენის,
მსურს მოვიდრიკო ქედი.

* * *

მე ჩემი ფიქრების წრეში
წნელივით ვიწვი და ვფიქრობ,
ოცნება ოცნებით ფრთებს შლის
და მოუსვენრობა მიპყრობს.
სათქმელი ბევრი მაქვს ძალზე, —
რას იტყვი ხანმოკლე გზაზე?!
ყოველ დღე, ყოველ წუთს მიჰქრის
დრო, როგორც ფარფატა ფიფქი.

სიცოცხლე სიჩქარეს ითხოვს,
იჩქარე, მოასწრებ ვითომ?

არწივის სანავარდო

(ნაწყვეტი პოემიდან)

ოსურ ფანდირში იპოვა ხალხმა
თავისუფლების უფლება წმინდა,
ოსურ ფანდირში ოცნება ახდა,
ნატვრა უფსკრულზე გაიდო ხიდად.

ოსურ ფანდირში დაიძრა წყარო,
შვების, სიკეთის აჟღერდა ლარი, —
გულს, როგორც დარდით გალეწილ კალოს
ცამ გადმოხედა წყალობის თვალით.
აზრია ბრძოლის,
და, პირველ ყოვლის,
როგორ იქნება ამაყად არ ვთქვა,
იგი ნართების სულია თითქოს,
სული, რომელიც მომავალს ითხოვს.
ეს წიგნი
ხალხმა სალოცავ წიგნად
იქცია, ახდა ოცნება წმინდა, —
ერთხმად იქუხა ჩაგრულმა ხალხმა:
ძმობა გვმართებს და ერთობა გვინდა.

ანდერძი

ვიყავ მართალი, ჩემი სიმართლით
არ გამივლია არასდროს ცუდად, —
მე თქვენ მიყვარდით!
მე თქვენ მიყვარდით!
თქვენ ერთმანეთი გიყვარდეთ უნდა.

ვითარი ჩვენთაგანი

ქარიშხალი

I

ჩემი სიმღერის მძლავრო სათავევ,
აბობოქრება შენი მესურვა!
შენ დააწყვიტე დუმილს სადავე
და იქეც ჩემი სიტყვის მეგზურად!

როგორც სიცოცხლეს — დღიდან გაჩენის —
ვერ შეაჩერებს ფარ-მუზარადი...
შენც ვერაფერი ვერ შეგაჩერებს
და შენი სრბოლა არის მარადი.

მუდმივ წინსვლაა შენი მიზანი, —
ცხოვრება არ გწამს მხოლოდ ედემად,
და შენი ნაღდი მრწამსიც ის არის,
რომ მთებსაც დაშლის შენი წყვეტება!..

ძლევის ყიჟინა დასცე სამყაროს,
აი, რას ელტვი, რისთვის იჩქარი;
თუნდ წამითაც რომ ფრთები დაჰყარო,
ვინღა გიწოდოს შენ ქარიშხალი!

II

თითისოდენა ბიჭი ვიყავი,
სიზმრის საბანი თბილად მეხურა,
როცა სტუმარი განუკითხავი

თავზე დამემხე მძინარს მეხურად!
აცახცახებდა ხეებს ნაყუჩარს,
ჭკუიდან შლიდა შენი ქადილი,
მე კი ვერ შევძელ თვალის დახუჭვა
და ყურს გიგდებდი ცნობისწადილით.

ახლაც არ ვიცი იმის მიზეზი,
გული რა აზრს თუ გრძნობას დანებდა;
რა ძალა იყო ნეტავ ისეთი,
შენკენ რომ ასე მომაქანებდა?!

მე ახლაც ვისმენ შენი ნაყივლის,
მუქარისა თუ ცრემლის არადანს;
მეყალყებოდა თმა ულაყივით
და სიხარული ტანში მზარავდა.

III

მიყვარხარ ზოგჯერ, როგორც ქალწული,
ზოგჯერ — ვით ვაჟკაცს უყვარს ვაჟკაცი,
როცა ცით წვეთავს ჯანლის ნაწური
და მზის ჩაქრება ქვეყნად კაშკაში;

მოიღუშება როცა ბუნება,
ფრთებს ჩამოყრიან თეთრი ტყემლები,
უმანკო ყვავილთ როცა უნებურ
თვალთაგან დარდით სცვივათ ცრემლები;

მაშინ დარახტავ რაშებს უბელოს,
(ვით გკადრო პირში ქება, ძმობილო!)
რომ ფლითო ცაზე შავი ღრუბელი,
ქვეყნად ყოველი ააფოფინო...

მზე მაშინ მზეობს, შენ რომ გადივლი,
და იბადება არსი ხელახლა,
გამხარებელი ფრინველ-ნადირის,
ცხოვრების ფესვი ისევ შენა ხარ.

IV

შენს აუგს იტყვის მხოლოდ მკრეხელი,
შენ უკვდავ მახვილს მიწყივ ლესავდი,
ხარ იმედივით გაუტეხელი
და ულმობელი — სიმართლესავით!

ხმელ მუხას ძირკვავ, რომ ბეჩაობამ
არ დასცეს... ახალ ნერგებს ახარებ,
რომ არ გადიქცეს ზღვა მკვდარ ჭაობად,
აბრუნებ ტალღის მძლავრი აღალით...

ვერ მოინახოს შენთვის საგდული! —
ქვეყნის ამკლები ისევ შენა ხარ,
მთას და ბარს მსხვრევად, ნგრევად გადუვლი,
შენ ჰკლავ და ისევ შენ შობ ხელახლა.

რომ არ გექუხა ქვეყნის მეოტად,
უკვდავი სული არ შთაგებერა,
სამყარო მძორად გადიქცეოდა,
გამოჩნდებოდა უძლურ ბებერად.

V

შენა ხარ ჩემი ლექსის მეგუთნე,
ხარ მღელვარების ღმერთი არჯალი,
ჩემს ლექსებს მარად ისე ეკუთვნი,
ვით ჩაგებული ქარქაშს ხანჯალი.

ხან ვაჟკაცივით მყავხარ გულშიგან,
ხან — ქალწულივით მზეებრ ლამაზი.
ძმაო, ხომ ხედავ, ახლა უშიშრად
ქუჩებს ერთად რომ მივდევთ თამაშით.

ხან შიშველ მკერდზე მუშტს მცემ ბრაგუნით,
ხან ცივ ხელისგულს მისვამ ალერსით,
შენ ამომიგდე გული საგულით,
ცეცხლი წამკიდე უმხრუვალესი.

რის მოსვენება?! — ჩემი აფრებიც,
ვით შენი, ვერვინ გაავერანოს,
შემასხი შენი ფრთები საფრენად,
გაუხედნავო ჩემო მერანო!

VI

ცერექის რვალი[1] ვის შეურისხავს?! —
შენი სიმღერის შენ ხარ ბატონი;
ჩემს სიცოცხლეს და ფეთქვას გულისას
მე შენი ფრთების ძალას ვატოლებ.

როცა სიკვდილი მოვა რაყიფად,
რათა სიცოცხლის კერას გამყაროს,
ჰო, ქარიშხლებო, მაშინ აყეფდით
და გადათქერეთ მთელი სამყარო,

რომ სული ჩემი, სული საღმერთო,
ნაწილ და ნაწილ შერთოთ სივრცეებს,
რათა დაუმქრალ ცეცხლად აღვენთო
და თქვენს მძლავრ გუგუნს მარად ვისმენდე;

---

[1] ცერექის რვალი — ნართების ეპოსის მიხედვით, სახელგანთქმული გმირის ცერექის ჯაჭვის პერანგი, რომელიც ომის ხსენებაზე პატრონს ტანზე თავად მოეცმებოდა ხოლმე, მას ხმალი ვერ ჭრიდა და შიგ ისარი ვერ ატანდა.

რომ ვიყო შორი გზების მაცნე რამ,
თქვენით და თქვენით მუდამ განვახლდე;
ვიყო ხან ღრუბლად, ხანაც — ნამცვრევად
და ვიციმციმო მზის ქვეშ — ბალახზე...

თავსხმა

წვიმს... მწვერვალებზე თარეშობს ქარი,
ღრუბლის რაშს ცეცხლის უჩაღებს ფაფარს,
ცით შემზარავი მოისმის ზარი,
მთებში წყალი რბის, ქცეული ქაფად.

მუნჯი კლდეები კუთავენ, მეხი
სცემს და ატირებს მყინვარებს მთაში,
თეთრჩოხიანი ცახცახებს ვერხვი, —
შეშინებულა, ვით ჩვილი ბავშვი.

ცა მოიშორებს მეწამულ სარტყელს,
კვლავ დაგვიბრუნდა ზაფხული ხელად,
მუქარის ქარცეცხლს ღრუბელი ანთხევს
და ელვის თეთრი მათრახი ელავს.

ჩვენს ახალ, ლამაზ სახლში ვართ ახლა,
გავყურებ სარკმელს, ვითარცა იმედს,
დაკიდებული ნათურა მაღლა
მოაფენს ირგვლივ საამო სხივებს.

იწვიმოს... მზე ხომ იბრწყინებს კვლავაც,
როგორც ღრუბლების მფატრავი ელდა...
ასეთ თავსხმაშიც მავანს და მავანს
ნუ ეგონება, მახრჩობდეს სევდა!..

განთიადი

სანთლებად დნება მთვარე, კავკასიონის თავზე,
თამაშობს თერგის წყალში შუქმილეული სხივით —
ემშვიდობება, თითქოს უკანასკნელად დამზერს
და განთიადიც თავის მოახლოებას წივის...
მოახლოებას წივის, სივის ფერებით მრავლით,
სუნთქვა შეიკრა ყველამ — ტყემ, ჭალამ, ნისლმა, მთებმა.
თენდება! — მთვარე დნება, ღამეს გასვლია ყავლი,
ჩუ... ჩუმად... ჩუმად... ჩქამიც აღარ მოისმის არსით;
შენც შეანელე ცემა, ჩემო დამფრთხალო გულო,
სიცოცხლე იბადება, დილამ გატეხა ნავსი,
ზეცა განათდა, შუქი ათასფრად თაიგულობს.
კვირტი იშლება, ნიავს აუფრიალდა კაბა,
წყალ-ჭალა, ზეცის ნამი — სიკეთეს გადმოსთვლიან,
მზე ძილს დაუფრთხობს ჯერაც ბურუსმოუცველ მთა-ბარს
და გააგრძელებს ისევ ცხოვრება თავის ტრიალს.

ჰაი, გიდი!

მე რომ ამ გოგოს ვუყვარდე,
რას ვიზამდი?! — ჰაი, გიდი!
მთელს ქვეყანას მუხლის ჩოქვით
ერთ ღამეში დავივლიდი!

ცისარტყელას ჩამოვხსნიდი,
წელზე მოვახვევდი რიდით,
მე რომ ამ გოგოს ვუყვარდე...
ჰაი, გიდი!..

აყვავებულ ზეცის ფარჩას
ნაზ საკაბედ მოვუჭრიდი,
მე რომ ამ გოგოს ვუყვარდე,
ჰაი, გიდი!..

წვიმას დავითათბირებდი,
წვიმით ეზოს დავუგვიდი,
ოღონდ ამ გოგოს ვუყვარდე,
თავს გავწირავ, ჰაი, გიდი!..

ისეთ ლექსებს დავუწერდი,
ზეცის ტატნობს ჩამოვხრიდი,
მიწაზე არ ვატარებდი,
ზღვაზე გავიყვანდი ხიდით...

სანამ მზის ქვეშ იგოგებდა,
თმებზე ოქროს დავაცრიდი,
მოკვდებოდა... ჩემს ლექსებში
ვაცოცხლებდი, ჰაი, გიდი!..

* * *

ლ-ს

ნეფერტიტ, სანთლად ქცეულო ქალო,
ლანდად მიდიხარ მთვარიან ღამით,
მზემ მიგატოვა, შენ, მზისა რძალო,
თვალებში აღარ გიცინის ნამი.
შენი ყელიდან ახლა დამცხრალი
მთვარე ანათებს, ცრემლის დამდენი,
და მაინც უბრად კითხულობ ქალი: —
რა დავაშავე, ღმერთო, ამდენი!
ნუთუ ვერა გრძნობ, ო, დედამიწავ,

თუ სილამაზეს რამდენსა ჰკარგავ,
შენს მზეებს თუკი შენ არ დაიცავ,
ბაღად ქვეყანას რითღა მოქარგავ.
მას ხომ ოდესღაც შავი თმის ტევრით
დაჰქონდა ღამე ვარსკვლავიანი,
უყვარდა ხალხი და ბევრზე-ბევრი
სიკეთეც სთესა, ღვთივ, მადლიანი.
მისი უძირო, ნაზი თვალები,
იყო მიმცხრალი ალმური თონის,
ხოლო ღიმილი დაუძალები,
სიამეს ჰფენდა, ვით ალუთონი.
და თითქოს მესმის: — მე აქ რა მინდა,
რა დავაშავე განა ისეთი?
და მეჩვენება, რომ აკლდამიდან
ტურფა ასული დგება მისრეთის.
სინათლის მფრქვეველს ხელთ სალამური
ეპყრა, სიყვარულს იმით გალობდა,
ეხ, სიყვარულო, შენი ალმური
ვის სახეს ეცხოს ნეტავ წყალობად?
და უცებ შეწყდა სიმღერა ტკბილი,
ნილოსზე დარჩა უნიჩბოდ ნავი
და დაიძინა მარადი ძილით
მან, ვინც სიყვარულს შესწირა თავი.
დაიძინა და აღარცა ცდილობს,
კვლავ გამოვიდეს სიცოცხლის გზაზე
ჰოი, სამყაროვ, შე დალოცვილო,
როგორ დაჰკარგე ეს სილამაზე!
და ახლაც იგი ჩვენს შორის დადის,
ვით სიყვარულის დიდი მოძღვარი.
ადრე დამჭკნარი კოკორი ვარდის,
ჯერ გაუშლელი, ყინვით მომწვარი.

იმედი
(ნაწყვეტი პოემიდან „ბურღუსტანი“)

წვიმს, გულწითელა ლამაზ ფრთებს კეცავს,
აპრილის სიო ფანჯრებს ეხლება,
მარადისობის თვალია ზეცა,
ჩემში — სარკეში ის ირეკლება.

თვალებში ღამის ორი წვეთია,
შიგ ჩახატულან კითხვის ნიშნები,
სიმართლევ, ველარ გამიბედია,
ვიკითხო, სად ხარ და თუ მიშველი.

დრო წარმომიდგა თვალში ნელიად,
აღვივსე შიშით და ჟრუანტელით,
რა საშინელი სახილველია,
ცალ თვალში ღამე, ცალში ნათელი.

ხან ამატირებს, ხან ხელს მიმართავს,
მესმის უარი, ხანაც დასტური,
თვით უკვდავება წამოიმართა,
გენიალური და აბსტრაქტული.

ვინა ვარ? — მღილი, თანაც მდუმარი,
გიყურებ მაინც, თუ გაგიძელი...
თუმც ამა სოფლის მე ვარ სტუმარი,
დროებით მაინც ვარ მასპინძელი.

ხვალ მოვა ჩემი შთამომავალი
და გააგრძელებს სიცოცხლეს ჩემსას,
დამემსგავსება მერე მრავალი,
ჩემი სიმართლე ექნებათ ხემსად.

გარდავიცვლები, ღამის ქსოვილი
ჩამაქრობს, მაგრამ კვლავ ავინთები,
მე რომ მეხება, ასე სოველი,
შენც შეგეხება წვიმის თითები.

* * *

ჩემს ცხოვრებას — ძაფის გორგალს,
მიაგორებს დროის ქარი,
გავჭაღარდი, გული ბორგავს,
მოდი, მალე მომისწარი.

მაგრამ გული გათანგულა,
წამი მექცა საუკუნედ.
დამიბრუნე დაკარგული,
იქნებ გავცდე ამ უკუნეთს.

ჩავლილ წლების ფოთოლცვენას
და გაყინულ სხივის ციაგს,
დამიჯერე, რომ მოწყენას
სიმღერები შეგიცვლიან.

დღე მოკლდება ერთი წამით,
ბინდმა ზეცა გადამურა,
მაინც მოვალ, ვით ლერწამი,
ავმღერდები სალამურად.

ამათრთოლებს ქარი ლერწამს,
ისე როგორ ჩამიქროლებს.
ტანი თუ არ გადამერწა,
ჩემი ხმა ვერ გაიგონეთ.

მოედება მთელ ხეობას
ჩემი სალამურის კვნესა,
აჰყვებიან ჰანგს ხეები,
ტოტს გაზრდიან სააკვნესა.

მთაში წყარო მიჩუმდება,
მტერს თვალები დაევსება,
შეკრთებიან მიჯნურები,
თვალი ცრემლით აევსებათ.

მოვბრუნდები გარდაცვლილი,
სიკვდილმაც ვერ დამაბერა,
გაიყოლებს ცად არწივი
ჩემი ჰანგის აღმაფრენას.

* * *

გაქვავებულო გულო და გაყინულო გულო,
ხომ არ დაჰკარგე ვინმე, მეგობარს ხომ არ მარხავ?!
ბედნიერებას ნახავ, ღალატს გაუძელ, კრულო,
გაქვავებულო გულო, კვლავ მოწყენილი დახვალ.

ბედნიერი დღის ცეცხლი ხომ არ გადიქცა ნაცრად,
იქნებ მიზანი ვერ ცვლის, უმიზნოდ მიმქრალ დღესა?!
იმედი გქონდეს ხემსად, ნუ იმზირები მკაცრად,
დარდი — მცურავი ჭრელი, ნუთუ ყოველდღე გგესლავს?

გაქვავებულო გულო, შე, სიმარტოვის ტყვეო,
მოვა ზეიმის დღეო — ჟამი გპირდება მუდამ,
გესლიან სიტყვებს, გულო, გესვრიან როგორც ტყვიებს,
მაინც გადარჩი, გულო, გულო, შენ მაინც ბჟუტავ.

გაქვავებულო გულო, ცრუა საწუთრო მარად,
ბრუნავს ცხოვრების ჯარა, სიხარულს ახლავს გლოვა,
მზე ნაწვიმარზე ბრწყინავს, დიან სხივები ღვარად,
დამარცხებების კვალად გამარჯვებები მოვა.

აპრილის წვიმას მუდამ ჭექა-ქუხილი ახლავს,
ხოლო ზამთარში ქართა ბედაურები ჰქრიან,
არ შეეგუო ჭაობს, გზას მიაშურე ახალს
და გამოუღე კარი ქარტეხილების გრიალს.

ნუ იტყვი

ნუ იტყვი ხშირად — „ოსეთი მიყვარს“,
ტრფობა ისეც ჩანს, სიტყვის უთქმელად;
ფასი არა აქვს ცარიელ სიტყვას
და სიყვარულსაც მალვა უხდება.

მე გულში ხატად მაქვს დედის სახე,
ძილში თუ ცხადად მის ნათელს ვხედავ,
მიყვარხარ-მეთქი, არასდროს ვამხელ,
დამემოწმება მშობელი დედა.

ერთი ქალწულის მშვენებით ვდნები,
იგია ჩემი შვებაც, წვალებაც,
მიყვარხარ-მეთქი, არ ვეფიცები,
დამემოწმება ის შავთვალება.

ამ მთებში ჩემი სული ტრიალებს,
აქ მიდგას ფესვი უშორეს დროდან.
ძარღვებში მიდუღს თერგის გრიალი,
აქ ცხოვრობს ჩემი ძირძველი მოდგმა.

აქ მზის სხივები ოქროსდალალა
ჩემს სიყმაწვილეს ედგა გვირგვინად;
ჩემი ბავშვობის წლებმა ალალმა
ამ მთაგორებზე გადაირბინა...

ოსეთი, როგორც ბერი არწივი
მიფრინავს შორს და მე მისი ფრთა ვარ...
ჩვენ გრიგალები ერთად გვარწევენ,
ერთად მივყვებით დროჟამის სავალს.

არა, ოსეთზე სიტყვას ხმამაღალს
მიჯობს, რომ ტრფობა უხმოდ ვითმინო,
რომ მის მყინვარებს დავადნე ნამად,
რომ მის ბრიალა მზესთან ვიცინო...

ვინაა იგი, ვისი სახელიც
მშობლიურ ოსეთს ესახელება,
ვისაც მაღალი ჰქონდა ზრახვები
და კრძალვას იწვევს ვისი ხსენებაც?

მის ხსოვნას წმინდას დავუნთებ სანთლებს,
ლექსებს დავრეკავ ცაში ზარებად —
და ჩემი ჩანგი მის სადიდებელს
მარად იმღერებს დაუზარებლად.

მაგრამ მათ, ვისაც ბედი ოსეთის
არ ენაღვლება, არ უღირს ჩირად,
ვინც ცხვირს გვიბზუებს და შხამსა თესავს,
ვინც ჩვენია და სხვა ხატზე სწირავს,

ვინც მამაპაპურ ჩვენი ადათის
და ჩვენი ენის დამდგარა მზირად,

სიძულვილი და მტერობა მათი
თან გამაცილებს სამარის პირად...

ნუ იტყვი ხშირად – „ოსეთი მიყვარს“,
რაც უნდა დაგწვას ტრფიალის ალმა,
ფასი არა აქვს ცარიელ სიტყვას
და სიყვარულსაც უხდება მალვა.

მოოქროვილი საღამოები

როს შეღამების ნისლში მიცურავს
მზე ჩამავალი, სხივთა წკრიალით –
მისი სიმღერა გადამდის სულზე,
ჰანგი ლივლივა, ალერსიანი.
თითქოს ჯადოსნურ უკრავენ საკრავს,
თითქოს ციურნი გუნდნი მღერიან...
შეაკანკალებს წყაროს ლურჯ სარკეს –
წყლიდან ამოდის ჩემი ფერია...
ზმანება ქრება... მზედაწურული
გაოცებული დგანან გორები...
გავცქერი დაისს, მდაგავს სურვილი
ხილვის ხელახლა განმეორების.
სად გაქრა? ჩრდილი რატომ მოივლო?
ვდგავარ მდუმარე, გარინდებული.
საღამოებო, მოოქროვილო,
სად გაიტაცეთ ნეტა ეს გული?
ნაწვიმარ ველზე ნამი ბრჭყვიალებს,
მივალ, ყვავილებს უხმოდ შევხარი...
და უცებ თვალწინ შეიფრთხიალებს
ჩვენება, დიდხანს ნაცნებარი.

მიცურავს სოველ, მაღალ ბალახში,
რატომღაც მფრთხალი და ფერწასული,
ჩამოუშლია ოქროს დალალი,
მიდის, მშორდება ნატვრის ასული.
მაგრამ გულს ასე რატომ მოება?
მივდევ ჭვირვალი ნისლით შებურვილს.
მოოქროვილო საღამოებო,
სად გაიტაცეთ ნეტა ეს გული?
იგია ჩემი მზეც და მნათობიც,
კენარი ნაზი, ალვა რხეული,
აწ გაფრენილი ჩემი ბავშვობის
ტკბილ სიზმრებიდან გამოღწეული.
აჰყვება მისი მოქნილი წელი,
ოდნავ ნიავმაც რომ დაუბეროს,
მივა, ირხევა მსუბუქად ლელი,
შუქს იგი გმატებს, მწუხრის ღრუბელო.
მისი ცრემლია, რომ მოდის ნამად,
რომ მიაცილებს ბნელში საღამოს...
მაშ, ამ ფერების გრძნეული გამა
ვის ძალუძს ასე რომ შეახამოს?
ის არ ჩანს, მაგრამ თვალნათლივ ვხედავ,
ამ დაისს მისი შუქი მოედო...
სად გაიტაცეთ ეს გული ნეტავ,
მოოქროვილო საღამოებო?!

* * *

(ზ. ხ-ს)

ღამეა. ვფიქრობ შენზე.
ისე აყვავდა ზეცა,
თითქოს ნაწვიმარ ველზე
მზე ვერცხლის მძივებს თესავს.

აყვავებული ზეცა
იდუმალ ნატვრით მავსებს.
დალალს მაგონებს შენსას
ნისლი, გაკრული ცაზე.

გადაიყოლებს ქარი,
გადააწეწავს მთებზე...
რეკს გული, როგორც ზარი,
გული გულის სწორს ეძებს.

* * *

როგორც ნასროლი თევზი რიყეზე,
შენს წინ ვფართხალებ, მაღლით დამყურებ.
საკმარისია მცირე მიზეზი,
უმალვე რისხვას დავიმსახურებ.
ვინ შეურია თაფლში სამსალა,
ამ სასმელს ვისი ხელი არიგებს?
შენმა ტრფიალმა ისე დამძალა,
ჩემს უნებურად ვერც კი გავიგე.
არ წარგტაცებდი სიხარულს, მჯერა,
შენი ტკივილი ჩემად ვინატრე.
შენი თვალების მარადის ცქერა
შემოდიოდა სულში სინათლედ.
მაგრამ წყურვილი ვერ მოვიკალი,
მერეღა მივხვდი ბედის სიმრუდეს...
წარბი მწყაზარი, შუბლი ფიქალი,
მე ბედის რისხვად შემომიბრუნდნენ.
ახლა სიხარულს აღარსად ველი,
იმედი გულში დავასამარე...
არწივს თუ ზეცა არ ექნა ვრცელი,
როგორღა გაშლის ლაღად კამარებს?!

* * *

გაუხუნდა ფერი
დღეებს ნათელფრთიანს
და ღამეთა ფსკერზე
აწ ვარსკვლავნი კრთიან.

ღამის მეუფება
მოჰყვა შუქის წასვლას,
იგი გვეუფლება
დღის ნათელის ნაცვლად.

იგი განფენილა,
სად მნათობი ენთო,
შუქი დარჩენილა
ღამის სათარეშოდ.

დღე ქვედამხობილა,
ხმა სიმღერის მიწყდა.
ალისფერი დილა
ენატრება მიწას.

აწ წყვდიადის უკან
მზე არ ღვივის სხივად,
დღეთა გზები უკვე
ჯოჯოხეთში მივა...

ო, ვარსკვლავთა გზებზე
განფენილო ღამევ,
ჩემმა ანგელოზმა
ხომ არ გითხრა რამე...

სიხარული გულის
რომ დასრულდა უკვე,
გაქრა სიყვარული,
გაქრა სიჭაბუკე...

ყველა ვაზნა დავწვი,
განვერიდე ფიქრებს,
დარდიც მორჩეს აწი
და დავდუმდე იქნებ!

* * *

მდუმარებდა ცა და მიწა,
მდუმარება მგვრიდა შვებას, —
გულუბრყვილოს დამავიწყდა,
ცა საავდროდ მდუმარებდა.
წამოვიდა დელგმა ციდან,
თავს დამატყდა მეხთატეხა,
პრომეთეს რომ გულს აცლიდა,
ის არწივი მწიწკნის ეხლა.
გუშინ სატრფოს თვალთა მსგავსი
ცა ელვებით დაიბზარა,
გულს დამასო ბრჭყალი ბასრი,
ახლა გახსენებაც მზარავს.
ცოცხალმკვდარი დაბლა დამცა,
ლაღი სიყრმე დამიწუნა,
უნაპირო ცა წამართვა,
მზერა მიწას ჩამიბრუნა...
ახლა წვიმით განბანილი
დილა მზის სხივებში ხარობს,
ციდან ანგელოზი მიმზერს:

— არა გაქვს-რა საწუხარო...
შენ დაგინთებ წმინდა სანთლებს,
ამ ტკბილ წამებს არ გამყარო.
რომ გხედავდე სიკვდილამდე,
რომ ეგ კალთა დამაფარო!

საათი

მეტიკტიკები ხმით უცნაურით
და დღე და ღამე ასე არ ცხრება,
ო, კი არ მართობს ტკბილი ხმაურით,
ის ჯადოსნურად მეთვალთმაქცება.

სამარისაკენ, სამარისაკენ
მეპატიჟება მისი გალობა,
და მიწასავით მაყრის მზის წამებს
მარადისობის გარდუვალობა.

სიცოცხლე სიხარულია

ია, მოსული ადრიან,
სულს ვერ გაატანს დილამდე,
მზეო, იჩქარე, მადლია,
ამოდი, ამობრიალდი;
ზესკნელი მოაზინათე,
ბრალია, — ბნელი ზეითობს,
სარჩოდ მიბოძე სინათლე,
მარწყულე სხივთა მზერითა.
ვიდრე იმედად მეგულვი,
ქვეყნად ნათელის მომფენო,
სიცოცხლეს დახარბებული,
ვერ ვიცლი საიმსოფელოდ.

განა ქუხს, ხმაა გულისა
ქუხილივით რომ მქუხარებს,
წვიმად მდის გაზაფხულისა
ცრემლები არამწუხარეს.
ზაფხულში მთვარის სხივები
გარს მახვევია სიზმრებად,
შემოდგომური ხილვებით,
ჩემთვის სამყარო იზრდება.
ქარი მიმქრალ ცეცხლს მიღვივებს —
ზამთარში თავს რომ აიშვებს,
მინდა იქროლოს, იხვივლოს,
ფრთებად შეესხას ქარიშხლებს.
ეჰეი, სიცოცხლის დღეებო,
ოქროსფერ მნათის ნაღვენთო,
თქვენ გამო, საკვირველებო,
გულში ბავშვობა ამენთო.
მოვხუცდი, თქვენით მოვხუცდი
და იმ რწმენითღა ვსაზრდოობ —
განთიადს მაინც მოვუცდი,
სიკვდილმაც რომ. არ მადროოს.
თან გავიყოლებ ხატებას
ამ ზეცისა და ამ მთების
და არასოდეს გაქრება
ჩემთვის აისის ნათელი.

* * *

სიზმარი ვნახე:
ანგელოსივით
შემოშრიალდი სულში,
გიციმციმებდა ნათლით მოსილი
ყელი, თვალი და ტუჩი...

მთვარის შუქივით
თბილი და ლბილი
თმები გეფინა მკერდზე,
ვერ გავუსწორე
თვალი თმის ლივლივს,
ვერც დაძახება შევძელ!

ნეტა ვის ელი,
როცა მარტო ხარ,
ოცნებით ვისკენ ილტვი!...
ოქროს წვიმაში გაზრდილი რტო ხარ,
ანუ ყოფაგის კვირტი.

ტბის პირას იდგა
ლამაზი ძეწნა —
მე შენ მეგონე ერთხელ!...
მერე დაგკარგე,
მერე — გეძებდი
მინდორ-მინდორ და ხევ-ხევ!

რის კაბა გეცვა —
მზისა თუ მთვარის! —
მთლად გიბრწყინავდა სახე,
ვით წვიმის შემდეგ
მზიანი დარი,
ისე ნანატრად გნახე!

გაქრა ჩვენება,
ნათელი ჩაქრა,
ახლა მუდარა არ ჭრის.
ის ანგელოსი
თავის გზას გაჰყვა
და ბნელსა შიგან დავრჩი!

ო, ჰქმენ სიკეთე, მაღალო ღმერთო,
შენ ეგ რა ძვირი გიღირს:
ცხადში თუ არა,
სიზმარში,
ერთხელ
გამომეცხადოს იგი!

გაფეზი
(თეკლათინე გაგლოევი)

ჩემი ოსეთი

ოდესმე თუკი ცადაწვდენილი მთანი გინახავს —
ქვეყნის მშვენება — მოდარაჯე ჯარად იცანი!
ახედე წვანან მზის ემბაზში მთანი ინახით —
ხორბლისფერნი და ხატისფერნი და საფიცარნი---
გინახავს როსმე ხვნად გასული მარჯვე მთიელი,
ამ თვალჩაუწვდენ ხეობებში როგორ იელვებს
და შრომის ნაყოფს ყმაწვილივით როგორ შეჰხარის?
გინახავს მთათა ქარაფებზე ღრუბლის ფარები,
ან ერთმანეთის მაცქერალი მცირე სოფლები?
ხომ გეგონება მშვენიერი ტყუპისცალები —
ჭირსა და ლხინში ერთურთისგან განუყოფლები.
გინახავს, ხევ-ხევ წამოსული წყალი გორებად —
ტალღები სალ კლდეს აფთრებივით რომ ეცემიან?
მდინარე იგი უდარდელი ნუ გეგონება,
იგი სათანას, ჩვენი დედის წმინდა ცრემლია.
გინახავს მთებში მზე აფრად რომ მიექანება?
როდესაც ნამში მილივლივებს მწვანე სათიბი,
როცა დაძრწიან ცივ ზამთარში ცივი ქარები,
ოცნებობ ოდეს: „გაზაფხულო, მოდექ ნადიმით...“
გინახავს მთიდან გადმომსკდარი წყალი მოსხლეტით? —
ყანა მდელოსთან, ბაღი ტყესთან როგორ საუბრობს? —
ეს ჩემი უხვი სამშობლოა, ჩემი ოსეთი —
ქვეყნის მშვენება — მშვიდობის და ხვავის საუფლო...

ფიჯი

მე არ ვიცი:
სად ბზინავდი მზეზე...
მე არ ვიცი:
სად ილტვოდი ზეზე!...
სად რა გქონდა სადარდელი,
სად რა გქონდა სანატრელი,
არაფერი მე არ ვიცი შენზე!...
ვიცი: მოგჭრეს,
დაგხერხეს და დაგფიცრეს,
ახლა აქ ხარ —
ჩემი სახლი გქვია!...
არ ინაღვლო,
მაღალ წარსულს გაფიცებ,
მოყვრისათვის კარი გქონდეს ღია!...
ჩემო სახლო!
ისე ცხოვრობ, როგორც
ღია ცის ქვეშ
უბინაო კაცი!...
ნისლი მიდის
ხევ-ხევ,
სერ-სერ,
გორ-გორ,
შენს წინ ხარობს
ორი დიდი ცაცხვი.
ცოცხალს გავხარ
ფიქრითა და განცდით,
ისევ დგახარ,
განა მართლა მოგჭრეს!...
ვაჰმე, ზოგჯერ შენ არ გგვანან კაცნი, —
სხვისთვის სითბოს ვერ ვიმეტებთ!

სხვისთვის გულის კარებს ვკეტავთ! —
რა თქმა უნდა, — ზოგიერთნი-ზოგჯერ!...
შენ კი სტუმრის მოლოდინში დგახარ
და ამშვენებ სამოსახლო ბექობს.
ნეტა მართლა მოვიდოდეს ახლა
სტუმარი და ცაცხვის ძირში
ვჭექოთ ერთი, ჩვენ რომ ვიცით,
ძველებური „სივარადა“ ვჭექოთ!...

ઉપનિષદ

კაცი თუ ნადირი

გაზაფხულის მშვენიერი დღე იყო. მზე შუაგულ ცაზე ოქროსფრად ბრწყინავდა და მაცოცხლებელ სხივებს უხვად აბნევდა მიწას. ყოველ სულიერს დედასავით ეალერსებოდა. მწვანე ხავერდივით აბიბინებულ ბალახს ნიავი არწევდა და როჭოების სტვენა კლდიდან კლდეზე, ღრმა ხევებში მიმოჰქონდა. სუნთქვასავით უვლიდა მშვიდი ნიავი ხეებს და ფოთლები ნელი შრიალით ეხმიანებოდნენ. ფრინველთ გალობა ღრუბლის ქულებსაც კი ატკბობდა. ყოველი კვირტიდან სიცოცხლე იღიმებოდა. ბუნება ზეიმობდა.

ცხვრის თეთრ ფარას წინ თხების არვე მიუძღვოდა. მალე მთის ფერდობებს შეუყვნენ. ახალგაზრდა მწყემს ბიჭს — ახმათს ნაბადი წამოესხა, თოფი მკერდზე მიეხუტებინა და კლდეზე გვერდულად მიწოლილიყო. უხვბალახიანი საძოვარი, ჩრდილიანი დასასვენებელი ადგილი პირუტყვისათვის და გალაღებული ფარა მწყემსის გულს კმაყოფილებას გვრიდა.

კლდის შვერილიდან ჯიხვების გუნდი გამოჩნდა, წინ ბოტი მოაბიჯებდა, უკან მოსდევდნენ ფურჯიხვები ციკნებით, კლდეზე შექუჩდნენ. ბოტი შემაღლებულზე დადგა, დაუსტვინა. მეთაურის ძლიერების ნიშნად წინა ფეხებს ურტყამდა მიწას. ღვთის მიერ შექმნილ ამ მშვენიერ არსებათა ცქერა ვის არ გაახარებდა! მეც დიდხანს ვუმზერდი და ვტკბებოდი მათი ხილვით.

ამასობაში ჩემი თხებიც ავიდნენ იმ ადგილზე, მიუახლოვდნენ მათ. ჯიხვებმა ჯგუფად მოირბინეს და ერთმანეთში აირივნენ. არ ძალმიძს გადმოგცეთ, მათი სიხარული — ამ საუკუნოვან მახლობელ-ნათესავთა, ადამიანის ნებით ერთმანეთს

დაცილებულთა კმაყოფილი მხიარულება. მიუვალ მაღალ მთებსა და უღრან ტყეებში თავისუფლად მობინადრე ჯიხვები ახლა თავის საყვარელ ძმებს შეუერთდნენ. თუმც ვერ ლაპარაკობდნენ, სიტყვას ვერ ამბობდნენ, მაინც ნათლად ჩანდა, როგორ ესიყვარულებოდნენ, ეალერსებოდნენ ერთმანეთს, ტუჩებს ილოკავდნენ. უკანა ფეხებზე დგებოდნენ და რქებით ერთმანეთს ეხვეოდნენ. თხილისფრად აჭრელებული დიდი ბოტი იდგა კლდის შვერილზე და მაღლიდან დაჰყურებდა არემარეს, უსტვენდა და თავის საყვარელ თანამოძმეთ მტრის თვალისგან იცავდა, თვალყურს ადევნებდა გარემოს.

— ეჰ, — ვთქვი გულში, — ნეტავ ადამიანებსაც ასე უყვარდეთ ერთმანეთი, ასე იცავდეს ძლიერი სუსტს.

უცბად თოფის ქუხილი გაისმა და ბოტი კლდიდან გადმოეშვა, ხევის ვიწროებში მიწის ზვავს დაასკდა. ჯიხვები ჯგროდ აცვივდნენ კლდეზე. მეორე სროლაზე კიდევ ერთი ჯიხვი დაეცა და პირველის გვერდით გაიშოტა ნაზვავზე. გალმა კლდიდან მონადირემ სიმღერა დასჭექა: „მოგიცია, ავსათი,[1] კიდევაც მოგეცეს!“ ტყავის ქუდი ეხურა, ფეხთ არჭიები ეცვა, ლურჯი მოსასხამი მოესხა და მოსირმული ხირიმი ჩაებღუჯა მარჯვენით. კლდეზე ამაყად მოაბიჯებდა. მოსისხლე მტრის თვალით გავხედე, მოსისხლედ იქცა იგი ჩემთვის. „ნურც შეგრგებია, — ვთქვი, — რას გიშავებდნენ? რატომ დახოცე? რისთვის შეგშურდა მათთვის სალი კლდეები და მუჭა ბალახი?“

გადარჩენილი ჯიხვები ჩრდილოეთ მხრისკენ სირხის მთაზე აცვივდნენ. პირუტყვი ჩამოვრეკე დაბლა და კვლავ ქიმზე ჩამოვჯექი. ნაღვლიანი ფიქრები შემომაწვა გულზე. ამასობაში სირხის მთის მხრიდან ცის ქუხილივით კვლავ გაისმა თოფის ხმა და ხევები გააყრუა. ზორაანთ ძოცამ იმათ გარდა კიდევ სამი ჯიხვი მოკლა. ნუმც მოგმართვიათ ხელი,

---

[1] ავსათი — ნადირთა ღვთაება.

ჯიში და ჯილაგი ხომ არ უნდა გაწყვიტოთ, — ვდარდობდი ჩემთვის, — რას გიშავებენ, თივას უმზადებთ თუ მარილს აჭმევთ იმ მაღალ მთებში, რად არ მოეშვებით?

მზე დასალიერს დაეშვა. გამოესალმა ოქროსფერი სხივებით მთათა მწვერვალებს. ფერდაკარგული მკვდრის მზე თეთრთავა კლდეებს გამოემშვიდობა. მოვაქუჩე პირუტყვი, სოფელში ჩამოვრეკე. მთელი ღამე აღარ დამეძინა — ჯიხვების დახოცვის ამბავი არ მასვენებდა. აბა, მითხარით, რომელი უფრო მხეცია? კაცი თუ ნადირი?

მერცხალი

მზე საამოდ აცხუნებდა. გაზაფხული ძალაში შევიდა. მიწამ ამოისუნთქა. სულიერთათვის სასიცოცხლო ნექტარს ამზადებდა. ყველა შეინძრა, გამოიღვიძა, ფრინველებს მოსვენება აღარ ჰქონდათ, პირუტყვსა თუ ნადირს გაზაფხულის სურნელებამ ძალა შეჰმატა. ხალხი სამუშაოდ გაემზადა, მინდვრად გავიდა და რკინის გუთანმა ზოლებად გადააბრუნა მიწა. ბალახი, მცენარები მზისკენ, სინათლისკენ ისწრაფოდნენ. ჩიტები ბუდეებს იშენებდნენ, კოღო-ბუზებს ანადგურებდნენ.

ბედი რომ არ არსებობდეს, სახელიც არ ერქმეოდა. ბედნიერ კაცთან ყველა ბედს ეწევა, უბედურ კაცთან კი უბედურების მონაწილე ხდება. ერთმა საწყალმა, უბედურმა მერცხალმა ხუცესის სახლის კედელზე ბუდე გაიკეთა და ბარტყები დაჩეკა. ბარტყები ოდნავ შეიბუმბლნენ, მაგრამ ჯერ ფრენა არ შეეძლოთ. დედა მერცხალს განთიადიდან დაღამებამდე მოსვენება არ ჰქონდა, მოჰქონდა ბარტყებისათვის კოღო-ბუზი თუ ჭია-ღუა და თავს ქვეყნად ყველაზე ბედნიერად თვლიდა. ამიტომაც თავდაუზოგავად შრომობდა, რომ ბარტყები გამოეზარდა.

ამასობაში ხმა გავარდა, ღვთის მსახურთა უფროსი ჩამოდის საყდრის დასათვალიერებლადო. სოფლის ხუცესი ციბ-

რუტივით დატრიალდა. მანამდე საყდარი მტვრით და ნაგვით ჰქონდა სავსე, ახლა ისე დაასუფთავა, ალაგ-ალაგ ბზინვა დააწყებინა, თუმცა კუთხეებში მტვერი მაინც ბლომად იდო. თავისი საკუთარი სახლიც ჭუჭყით ყარდა. ისიც დაასუფთავა, დახვეტა. ცოლი სამშობლოში გაქცეოდა, რადგან ხშირად სცემდა. ახლა იმასაც შეურიგდა და შინ მოიყვანა. ერთი სიტყვით, ანგელოზად გადაიქცა. მაგრამ ადამიანს თუ ცუდი, ბოროტი გული აქვს, იმისი გადაკეთება არ იქნება. ამ კაცმა იმ საწყალ მერცხალსაც მოუნგრია ბუდე კედლიდან და ბარტყებიანად თხრილში მოისროლა. სოფლის ხალხიც გაემზადა ღვთის მსახურთა უფროსის დასახვედრად.

მე კი იმ საცოდავი მერცხლის ბარტყების დარდი მქონდა და მალ-მალ დავხედავდი ხოლმე. დედა მერცხალი მთელი დღე თავს დასტრიალებდა თხრილში ჩაყრილ ბარტყებს. ხან იქვე მდგარ ბლის ხეზე შემოჯდებოდა და საწყალობლად დასჭყიოდა შვილებს. ხან ცაში სიმწრით დაფრინავდა, ჩამოუქროლებდა ბარტყებს, ისევ გადაიკარგებოდა ცის უსასრულობაში. გამოჩნდებოდა, ისევ იმ კედელს მიეხლებოდა, სადაც ბუდე ჰქონდა მიშენებული, იქიდან ღრუბლებს შეერეოდა. მთელი დღე ასე წყვეტებაში დააღამა.

მთელ ღამეს მედარდებოდა ბარტყები. მეორე დილით წაველ, დავხედო-მეთქი. ვნახე... დედა მერცხალი ზედ დაკვდომოდა ბარტყებს.

მზე ამობრწყინდა და ხალხიც საყდართან მოგროვდა სტუმრის დასახვედრად. მოვიდა იგიც. დალოცა ხალხი. მათაც თავის დაკვრით მადლი მოახსენეს. მერე საყდარში შევიდნენ. არ მოეწონა საყდრის სისუფთავე უფროსს და უსაყვედურა ხუცესს. მერე ხალხს მოუბრუნდა და დამოძღვრა:

— გიყვარდეთ ერთმანეთი. ილოცეთ ღმერთი. გიყვარდეთ ღარიბი და არაფრის მქონე და უწილადეთ სარჩო. ნუ შეაწუხებთ თქვენს ცხენს, ხარს, მძიმე სამუშაოს ნუ შეასრულებინებთ. გიყვარდეთ ყოველი სულდგმული.

და კიდევ მრავალი რამ თქვა კარგი და სასიამოვნო. კვლავ დალოცა ხალხი და წავიდა. ვერავინ გაუბედა ეთქვა, ამ კაცმა საწყალ მერცხალს რატომ დაუნგრია ბუდე, რატომ დაღუპა თავისი ბარტყებიანად? ვერავინ მოახერხა ამისი თქმა, ვერც მე გავბედე.

სიზმარი

დილიდან საღამომდე გუთანს ვეკიდე. ისე დავიქანცე, განძრევის თავი აღარ მქონდა. საღამოს ბიჭებმა წვიანი გააკეთეს, დაღლილმა ისე გემრიელად ვივახშმე, სულ ოფლად გავიღვარე. მეხრეებმა ხარები ღამის საძოვარზე წაასხეს. მე კარავში თივაზე ნაბადი დავიგე, ზემოდან ტყაპუჭი დავიფარე და ისე ღრმად დამეძინა, მთა რომ ჩამოქცეულიყო, ვერ გამაღვიძებდა.

სიზმრად ერთ უცხო ქვეყანაში მოვხვდი. სულ ვაკე მინდორი იყო, თვალს ვერ გაუწვდენდი. მინდვრის შუაგულში გათლილი ქვის გალავანი აღმართულიყო. გალავნის წინ სახლი იდგა კლდეს მიშენებული, კარი ჩემკენ ჰქონდა დატანებული.

ისე მომწყურდა, ლამის სულსა ვღაფავდი. წყალი კი ირგვლივ არსად ჩანდა.

— მოდი, მივიდე იმ სახლში, — ვთქვი ჩემთვის, — იქნებ წყალი დამალევინონ.

შევაღე კარი და შევედი, მაგრამ უმალ ვინანე, წყურვილი სად გაქრა, ვეღარც გავიგე: სახლის შუაგულში მაგიდასთან ერთი კაცი იჯდა, საცრისხელა თვალები ჰქონდა, ცხვირი გრძელი, გუთნის სახელურზე უფრო მოკაკული. ისეთი შავი იყო, ეშმაკისფერი. ქუდზე მსხვილი ასოებით ეწერა: „ბელიერი“. თორმეტი კაცი ჯარისკაცებივით ადგნენ თავს.

ბელიერის ზურგს უკან კლდეში კაცი გაეტეოდა კიდეც, ისეთი ფანჯარა იყო, რკინით შეკრული. ფანჯრის იქიდან

ხმაური ისმოდა, ბუზებივით ზუზუნებდა ხალხი, რაღაც უცხო ენაზე ლაპარაკობდნენ. ბელიერი რაღაც ლურჯ ქაღალდებს ათვალიერებდა მაგიდაზე და დროდადრო ქაღალდებში ასეთ რამეს ამოიკითხავდა: „იეგულა — დიგულა, ყარა-ყუსთილ, მენტალაჩი, ხაცუ-მაცუ, გაბითი გაბო, ავგანანთა — ჭირჭირაგთა“ და მერე ქაღალდს რომელიმე იქ მდგომს გადასცემდა, ისიც ქაღალდს სადღაც გააქანებდა ხოლმე.

ძალიან მაინტერესებდა იმ ხალხის ამბის გაგება, მაგრამ ვერ ვბედავდი. ნაბიჯს წინ წავდგამდი თუ არა, ბელიერის შიშით თვალთ მიბნელდებოდა და გული მიმდიოდა. ისევ უკან ვიხევდი. ასე რამდენჯერმე უშედეგოდ ვცადე. მერე გავიმაგრე გული, უფრო ახლოს მივედი, მაგრამ რა ვთქვი, რა შევეკითხე, შიშით გადამავიწყდა. თითქოს ქვეყანა დაბნელდა და გონება დავკარგე.

ღმერთმა იცის, რამდენ ხანს ვეგდე გულწასული. როცა მოვსულიერდი, გალავანში მყოფ ხალხში აღმოვჩნდი. გამიკვირდა, აქ საიდან მოვხვდი-მეთქი. არც კარი ჰქონდა გალავანს, არც — ფანჯარა, თუ ზემოდან ჩამომიშვეს, გალავნის კედლები უსაშველოდ მაღალი იყო და ზემოდან შეუძლებელი იყო ჩამოსვლა.

ხალხი ხმაურობდა, ერთმანეთისა არაფერი ესმოდათ, მეც ვერაფერს ვუგებდი. მკვდრებივით უფერულები იყვნენ, გული გეტკინებოდათ მათ დანახვაზე. გალავნის კუთხეში ქვაზე ჩამოვჯექი და ფიქრებმა წამიღეს. ამდენ ხალხში ერთი ოსი კაცი როგორ არ ურევია-მეთქი, ვამბობდი გულში.

ამ ფიქრში ვიყავი, რომ ერთი კაცი მომიახლოვდა და მითხრა:

— შენ რაღას აკეთებ აქ, საიდან მოგიყვანა ღმერთმა?

მე ფეხზე წამოვდექი და ვუთხარი:

— არ ვიცი. ჩემმა ეშმაკებმა მომიყვანეს ალბათ, მაგრამ, ღვთის გულისათვის, მითხარი, ვინ არიან ესენი, ამ გალავანში საიდან მოიყარეს თავი?

მან ღრმად ამოიოხრა და მითხრა:

— ესენი ცხოვრების მაძიებელი ხალხია, ცხოვრების გზამ აქ მოიყვანა და წასასვლელი აღარსაით აქვთ. სანამ ცა არ დაიქუხებს, სანამ ჭიანჭველები არ ამოძრავდებიან ვერსაით ვერ წავლენ. როცა ცა დაიქუხებს, ჭიანჭველები ამოძრავდებიან, გალავანი დადნება, აქეთ-იქით გადაიქცევა, ეს ხალხი გათავისუფლდება, ცხოვრების გზა განათდება და მკვდრები გაცოცხლდებიან.

ამ ლაპარაკით ფანჯარასთან მივედით. ფანჯრიდან გრძელი, გაძვალტყავებული ხელი გადმოყო ვიღაცამ, წელში მწვდა გრძელი თითებით და ამიტაცა. მე კვლავ გონება დავკარგე.

ღმერთმა იცოდეს, რამდენ ხანს ვიყავი გონდაკარგული. გონს რომ მოვედი და მოვსულიერდი, ერთ ლამაზ ველზე აღმოვჩნდი. შუაზე დიდი მდინარე ჩაუდიოდა. ადგილ-ადგილ თითი-თითო ხე იდგა და ჩრდილს აყენებდა. პირუტყვის ჯოგები ხეებქვეშ ისვენებდნენ. თოვლივით თეთრად გამოიყურებოდნენ. შორიდან ისმოდა მეგუთნეთა სიმღერა, ხნავდნენ, ჩქარობდნენ.

ხის ჩრდილიდან გალავანს შიგნით რომ კაცი დამელაპარაკა, იმან დამიძახა:

— მოდი, შე კაი კაცო, ისადილე.

მივედი, მივესალმე, გვერდით მომისვა. ამ დროს მეგუთნეებიც მოვიდნენ და რიგრიგად დასხდნენ. ერთი მათგანი წამოდგა და დაიყვირა:

— ჰეი, ახალი ცხოვრების საკუჭნაოვ, რაც გაქვს და არა გაქვს, ყველაფერი წინ დაგვილაგე!

ხის ქვეშიდან ოქროს ვერძი გამოვიდა, რქა წააძრეს და ათასგვარი საჭმელ-სასმელი გადმოიღვარა, სუფრაზე ტევა აღარ იყო.

იპურმარილეს, სვეს და ჭამეს, როცა ჭამა-სმას მორჩნენ, რქა კვლავ ჩამოაცვეს და ვერძი ისევ ხის ძირს დაუბრუნდა.

ხალხი წამოიშალა და კვლავ ხვნა განაგრძეს. ერთ მხარეს ხნავდნენ, მეორე მხარეს თესავდნენ. ერთი რომ ბიბინებდა, მეორე თავთავს ისხამდა, მესამე უკვე გასათიბად იყო მზად. ძლიერ გამიკვირდა.

იმ კაცს ვკითხე: — ეს ხომ ის ხალხია, გალავანში რომ ვნახე. ვინ გამოუშვა, აქ როგორ მოვიდნენ, ერთმანეთის ენა რომ არ ესმოდათ, ახლა ერთ ენაზე რომ საუბრობენ, საკვირველი არაა?

მან მიპასუხა:

— ცამ დაიქუხა, ჭიანჭველები აფორიაქდნენ, გალავანი დაინგრა, ერთმანეთის ლაპარაკი გაიგეს და თავისუფალი ცხოვრების ველს ხნავენ.

ამასობაში მზეც გადაიწვერა და ამ კაცმა ხის კენწეროდან იყვირა:

— დასვენების დროა, გამოუშვით მუშა-საქონელი, ცოდონი არიან.

მაცნეს ხმამ გამომაღვიძა, წამოვიხედე და გათენებულიყო. ბიჭები გუთანში ხარებს აბამდნენ.

ბარემ მინდოდა კვლავ სამოთხის ველზე მომუშავეთათვის მეცქირა ჩემს სიზმარში, მაგრამ ხარები უკვე შეაბეს და გუთანი ბელტს ბელტზე აბრუნებდა.

ყუსოი

სულართების ოჯახში ყუსოი სულ პატარა მოხვდა, ალბათ, ერთი თვის იქნებოდა. ლეკვმა სახელიც თან მოიყოლა: ყურის წვერები წაჭრილი ჰქონდა და ბავშვებმა უმალ ყუსოი (ყურშა) შეარქვეს.

ყუსოი ლამაზი იყო, მბზინავი ბეწვი ჰქონდა და სულართებმა ძლიერ შეიყვარეს, უფრო მეტად კი ბიჭებმა — ათი წლის გაფომ და რვა წლის სოსლანმა. ბიჭები ლეკვს უვლიდნენ, რძეს ასმევდნენ და ეთამაშებოდნენ. ლეკვი ცოტა რომ მოიზარდა და სირბილი დაიწყო, სულ აღარ ეშვებოდნენ ბიჭები. როგორც კი სკოლიდან დაბრუნდებოდნენ, უმალ ეზოში გარბოდნენ ყუსოისთან. ისიც ძლიერ მიეჩვია ბავშვებს და კუდის ქუცინით ეგებებოდა.

მხიარულად, უდარდელად იზრდებოდა ლეკვი. ისე სწრაფად აიყარა ტანი, რომ ოჯახსაც უკვირდა და მეზობლებსაც.

გაიზარდა ყუსოი, დიდი ძაღლი დადგა, ღონიერი და უშიშარი. ძაღლები თუ ჯგროდ გამოენთებიან ვინმეს, მამაცები მაშინ არიან, მაგრამ ყუსოი მარტო გამოუხტებოდა ხოლმე ეზოდან, მეზობლების ძაღლებს სულ აქეთ-იქით იფრენდა.

სულართები ქალაქის განაპირას ცხოვრობდნენ და მათ სახლს ერთგული მცველი რომ გამოუჩნდა, ძლიერ უხაროდათ. გაფოს და სოსლანს კი ის ახარებდათ, რომ კარგი გამრთობი მეგობარი ჰყავდათ. წაიყვანდნენ ხოლმე მახლობელ მინდორზე და ერთად დარბოდნენ. ასწავლიდნენ უკანა ფეხებზე დგომას, რაიმე ნივთის მოტანას. ძლიერ გონიერი გამოდ-

გა ყუსოი, ყველაფერს ადვილად სწავლობდა და იმახსოვრებდა.

ოჯახში პატარა ბავშვიც ჰყავდათ, ათი თვისა. ისიც კი მიეჩვია ყუსოის, ოთხზე დაფორთხავდა ხოლმე მის წინ. ძაღლიც კუდის ქიცინით ეთამაშებოდა, არაფერს ავნებდა პატარას. ბავშვი პაწაწა ხელებით ძაღლს ცემას რომ დაუწყებდა, იგი სიამოვნებით წკმუტუნებდა. ძაღლს ესმოდა, ბავშვი ჯერ უგონო რომ იყო და არ უნდა გაბრაზებოდა.

საამო ცხოვრება ჰქონდა ყუსოის, არავინ უწყრებოდა, არავინ სცემდა, არც საჭმელი აკლდა — სადილის მონარჩენები, ძვლები, პურის ნატეხები მუდამ საკმაოდ ეწყო წინ. მაგრამ ისეთი დღეც გათენდა, როცა დიასახლისმა გოსამამ მრგვლად მოხარშული ქათამი მთლიანად დაუდგა და შეაჭამა ყუსოის.

ეს კი ასე მოხდა. ერთ საღამოს გოსამა ფანჯარასთან იდგა და ეზოში იყურებოდა. სახლის წინ ვიწრო ქუჩაში კი მისი პატარა ოთხზე დაფორთხავდა და ყუსოის ეთამაშებოდა, პაწაწა ხელებს ცხვირ-პირზე უტყაპუნებდა; ყუსოი წყნარად იწვა, დროდადრო მიდამოს თვალს მოავლებდა. გოსამა ღიმილთ უცქეროდა თავის საყვარელ პატარას და უცბად დედას ლამის გული საგულიდან ამოუვარდა, თვალთ დაუბნელდა: ყუსოიმ ბავშვს ზურგში კბილები ჩაავლო და კედლისკენ გამოაქანა. იმ ადგილზე კი, სადაც ბავშვი წამის წინ ეთამაშებოდა, დამფრთხალმა ცხენმა ეტლი ბრაგაბრუგით ჩაარბენინა და თავქვე დაეშვა.

გოსამას სიხარულის ცრემლები დასცვივდა ფანჯრის რაფაზე.

კარგია ასეთი ძაღლის ყოლა ოჯახში.

* * *

შემოდგომის პირზე ყუსოი ბავშვებს სიხარულით კი ეგებებოდა, მაგრამ მათთან თამაში აღარ იზიდავდა. ერთ მშვენიერ დღეს კი, ყუსოიმ ფარდულიდან გარეთ აღარც გამოიხედა. სოსლანმა იქ მიუტანა საჭმელი, მაგრამ ძაღლმა პირი არ დააკარა. ბიჭს შეეშინდა, ხომ არ კვდებაო ყუსოი და მეორე დღეს დილაადრიანად ფეხშიშველამ მიირბინა ფარდულში. ჯერ შიგნით არ შესულიყო, რომ ლეკვების წკმუტუნი მოესმა. მიხვდა ბიჭი, რაშიც იყო საქმე, ძაღლთან აღარ მისულა, უკანვე გამოიქცა და დედას ახარა:

— დედი, დედი, ყუსოის ლეკვები ჰყავს!

გოსამას არ გახარებია. არაფერი უპასუხა და იგრძნო ბიჭმა, ლეკვებზე დედისა და მისი აზრი ერთმანეთს არ ემთხვეოდა. დედამ რომ არაფერი უპასუხა, სოსლანი უკანვე ფარდულისკენ გამოიქცა. ახლოს მივიდა ძაღლთან. იგი თივაზე იწვა, მის მუცელთან კი სამი ლეკვი დაცოცავდა, თვალაუხელები. ყუსოი თავს წამოსწევდა ხოლმე, დახედავდა ლეკვებს, მოიხრებოდა წელში, ახლოს მიიხოხებდა ლეკვებს და ლოკავდა.

მეორე დილით ბიჭები ორივენი შევიდნენ ფარდულში. ლეკვები თივაზე დაბობღავდნენ. ყუსოი ხან წინ დაუდგებოდა ხოლმე შვილებს, ხან მოშორებით და ისე შეჰყურებდა. ბიჭებსაც მალ-მალე შეხედავდა, კუდს აქიცინებდა, უხაროდა. ესენი ხომ მისი მეგობრები იყვნენ. მას სწამდა — როგორც თვითონ უყვარდა თავისი ლეკვები, ბიჭებსაც ისე უნდა ყვარებოდათ ისინი.

გაფო ლეკვებთან ახლოს დაცუცქდა და თქვა:

— ორნი დედას გვანან, მესამე სხვანაირია, ნაცრისფერი იქნება.

— ლამაზი ძაღლები იქნებიან, — დაუდასტურა სოსლანმა.

კარგა ხანს უყურეს ბიჭებმა ლეკვებს, მერე შინ შევიდნენ ჩაის დასალევად. მამა მაგიდასთან იჯდა, დედა სუფრას შლიდა.

— ერთი დავიტოვოთ, — თქვა მამამ.

— არც ერთის დატოვება არაა საჭირო, ახლა ეგეც უნდა ვარჩინოთ. ყუსოი თვითონ კმარა, — უპასუხა დედამ.

ეს სიტყვები რომ მოისმინა სოსლანმა, გაუკვირდა, რაზე ლაპარაკობენ, აბა, რას უპირებენ ლეკვებს?

— გადაყარეთ მაშ სამივე, — თქვა მამამ, — თერგზე წაიყვანეთ და იქ გადაყარეთ.

სოსლანს ტირილი მოერია და დედას შეეხვეწა:

— ნუ გადავყრით, დედი, რომ იცოდე, რა ლამაზები არიან...

არც გაფოს უნდოდა ლეკვების მოცილება და დაბეჯითებით თქვა:

— როცა გაიზრდებიან, სახლს უდარაჯებენ. რატომ უნდა გადავყაროთ?

სოსლანი სხვაგვარად ფიქრობდა: დაიზრდებიან ლეკვები და ერთად ვითამაშებთ, მინდორში გავიყვან და სირბილში გავეჯიბრებითო. გადასაყრელად ძლიერ ეცოდებოდა. წარმოიდგინა თერგში გადაყრილ ლეკვებს წყლის ტალღები როგორ მიაქანებდნენ, ხან ჩაძირავდნენ, ხან ამოაყურყუმალავებდნენ და ცრემლები გადმოსცვივდა.

— დედა, მამიკო, ნუ გადავყრით, რა, — ეხვეწებოდა ბიჭი მშობლებს, — როგორი კარგები არიან...

მაგრამ დედ-მამას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ ეს საქმე და ბავშვებს გასართობი სიტყვებითღა ანუგეშებდნენ.

დილით, საუზმის შემდეგ, მამამ უფროს ბიჭს უთხრა:

— მოძებნე პატარა ყუთი, ჩასვი ლეკვები და გადაყარე წყალში!

— მერე ყუსოი რას იზამს? ხელსაც არავის აკარებინებს, — თქვა გაფომ. ბიჭს უნდოდა რამენაირად გადაერჩინა ლეკვები გადაყრას და ამას იმიტომ იმიზეზებდა.

მაგრამ გოსამას ყველაფერი მოფიქრებული ჰქონდა. ბავშვებს უთხრა:

— ახლა ძაღლი მშიერია. მე საჭმლით გარეთ გამოვიტყუებ, თქვენ აკრიფეთ ლეკვები და წაიყვანეთ მდინარეზე.

უფროსი ბიჭი მიხვდა, მშობლებს ველარ გადაათქმევინებდა და ლეკვების გადასარჩენად ველარაფერს ამბობდა. უმცროსი სოსლანი კი ტუჩებდაშვებული და დაღვრემილი იდგა. იდგა და უკვირდა, რისთვის ყრიან ლეკვებს, რატომ არ აცდიან გაზრდას. თვალზე ცრემლმომდგარი კვლავ შეეხვეწა დედას:

— დედი, ცოდონი არ არიან? რატომ ყრით, რატომ? რა კარგები არიან, თქვენ კი...

გოსამამ ბავშვს გაუღიმა და ძაღლს საჭმელი გაუწოდა. მშიერი ძაღლი კუდის ქიცინით გამოუდგა ქალს, მან მოფარებულში დაუყარა ძვლები, პურის ნატეხები. ძაღლი დაწვა და ხარბად დაიწყო ჭამა.

უფროსმა ბიჭმა გაფომ კი ლეკვები სწრაფად ჩასვა ყუთში და ეზოს კარი გაიხურა. სოსლანიც წაჰყვა თან. წარამარა ყუთში იხედებოდა.

ყუსოის ლეკვები ედარდებოდა, ფიქრით მათთან იყო, მაგრამ ჭამაც უნდოდა და ჩქარ-ჩქარა ყლაპავდა საჭმელს. მერე თითქოს გულმა რაღაც უგრძნო, დაავლო პირი ძვლებს და პურს და ფარდულისკენ გაქანდა. ლეკვები რომ იქ აღარ დახვდა, ერთ წამს გაშტერდა, საჭმელი პირიდან დასცვივდა, ჭამა საერთოდ გადაავიწყდა, მისუნ-მოსუნა იქაურობა, გამოხტა ფარდულიდან და გადარეულივით ავარდა ღობეზე. იქიდან გახედა მიდამოს, თავს აქეთ-იქით ატრიალებდა, ჩანდა, ტვინი გაოცებისა და ელდისაგან არეოდა. მერე შებრუნდა, ისკუპა და ეზოს გადაღმა გადახტა, სუნვა-სუნვით გაენთო გზაზე.

* * *

ბიჭები თერგის ნაპირთან მივიდნენ თუ არა, ყუსოიც უმალ იქ გაჩნდა. ყუთში თავისი ლეკვები რომ დაინახა, სიხარულით გადაირია, ყეფდა, კუდს აქიცინებდა, ადგილზე ვეღარ დგებოდა. კიდევ კარგი, მისი ძვირფასი შვილები ამ ბიჭებთან აღმოჩნდნენ, მის მეგობრებთან, ახლა აღარაფერია საშიში!..

მაგრამ აი, გაფომ მარცხენა ხელით ყუთი მაღლა ასწია და მარჯვენით ლეკვები სათითაოდ წყალში გადაუძახა.

ყუსოიმ გულისგამგმირავად დაიყმუვლა და წყალში გადაეშვა. ხან აქეთ გაცურა, ხან — იქით, ეძებდა გაგიჟებული თავის ლეკვებს. ერთ ლეკვს მოჰკრა თვალი. აი, მიაქანებს ქვევით ტალღა. გულსაკლავად დაიყმუვლა ყუსოიმ, გამოუდგა უკან და დაიჭირა.

უმცროსი ბიჭი სოსლანი სულ ახლოს მივიდა მდინარის პირთან, უყურებდა ყუსოის ტანჯვას და ცრემლები ღვარად ჩამოდიოდა ლოყებზე. გაფო დასცინოდა:

— იტირე, იტირე! ლეკვებს უკვე ქვევით, ხიდთან ჩაიტანდა წყალი. ამ დროს ყუსოიმ მოირბინა, პირით ლეკვი ეჭირა, რომელიც ღონემიხდილი წკმუტუნებდა.

ყუსოი ძლიერ იყო შეჩვეული გაფოს და სოსლანს, სულ ერთად თამშობდნენ, დარბოდნენ მინდორში, ერთმანეთი უყვარდათ, ყველაფერში ენდობოდნენ ერთიმეორეს. გაფომ ლეკვები წყალში რომ გადაყარა, ყუსოის ეგონა, ახლაც მეთამაშებაო. მაგრამ ასეთი თამაში სულაც აღარ მოეწონა. ეს სადაური თამაშია! მისი საყვარელი პაწაწინა ლეკვები აიყვანა და თერგში მოისროლა! აგერ, ერთი კი იპოვა, მაგრამ დანარჩენები სად ეძებოს, სად იპოვოს?

ლეკვი მიწაზე დასვა ძაღლმა. სოსლანი მივიდა, ჩაცუცქდა ლეკვთან და სველ ბეწვზე ხელი დაუსვა. ძაღლმაც კუდი გააქიცინა. გაფოს ახსოვდა მშობლების დანაბარები და ლეკვთან მივიდა. სოსლანის სახეზე ცრემლის ნაკვალევი და-

ინახა, ყუსოიმაც ნაღვლით სავსე გაოცებული მზერა შეაგება და გაფოსაც გული აუჩვილდა, მაგრამ მეტი გზა არ იყო. დაავლო ლეკვს ხელი და თერგის შუაგულში მოისროლა

ისევ გადაჰყვა ლეკვს წყალში ყუსოი. ბევრი ეძება, აქეთ-იქით აწყდებოდა ტალღებს, მაგრამ ამჯერად ვეღარ იპოვა.

უყურებდნენ ბიჭები, ეცოდებოდათ და უხმობდნენ:

— ყუსოი, ყუსოი, წავიდეთ სახლში!

ყუსოის ძახილი არ ესმოდა, სანამ ძალა შესწევდა, ეძებდა, გამწარებით ეძებდა თავის ლეკვს. მერე ღონე გამოელია ტალღებთან ჭიდილში და ნაპირზე გამობობღდა. ბიჭების დანახვაზე სიხარულით აღარ იქნევდა კუდს. მათგან მოშორებით დადგა და საყვედურით შესცქეროდა. აღარც შინ მისდევდა. ბიჭებმა ძალით გამოიგდეს წინ. ეზოში რომ შევიდნენ, გაფომ ჭიშკარი ჩაკეტა და სახლში შევიდა, სოსლანი კი ძაღლთან დარჩა. ძაღლი ერთ ადგილზე იდგა გაშეშებული, კუდი ძირს დაუშვა და მიწას დაშტერებოდა.

სოსლანი ეფერებოდა ყუსოის, უყვავებდა, მაგრამ მას თითქოს არაფერი ესმოდა, ზედაც არ უყურებდა. სოსლანმა შინ შეირბინა, გამოუტანა თავისი წილი ქათმის ბარკალი, წინ დაუდო ძაღლს და ხვეწნით უთხრა:

— ჭამე, ყუსოი, ჭამე. მე კიდევ მოგიტან!

ძაღლი ადგილიდან არც განძრეულა, საჭმელს ზედაც არ დახედა.

ბიჭი იდგა ძაღლის წინ დაღონებული. მერე კვლავ შეეხვეწა:

— ჭამე, რაა, ყუსოი, ჭამე.

ყუსოის არ ესმოდა, არც ინძრეოდა. მერე უცბად გააკანკალა, თავით ფეხამდე გააკანკალა, მოსწყდა ადგილს და ჭიშკრისკენ გაქანდა. კარი რომ დაკეტილი დახვდა, ღობეს გადაევლო თავზე და ქუჩაში აღმოჩნდა. სოსლანი გაეკიდა, გააღო კარი, მაგრამ ძაღლი აღარსად ჩანდა, საით გაიქცა, ვეღარ გაიგო.

— გაგვექცა! აღარ დაგვიბრუნდება! — გაიფიქრა ბიჭმა და ალალბედზე თერგისკენ გაემართა. ბევრი ეძება, იყურა აქეთ-იქით, მაგრამ თვალი ვერსად შეავლო და შინისკენ გამობრუნდა. მოდიოდა ნელა, თან მიდამოს ათვალიერებდა და გულში მწარედ იმეორებდა:

— ეგრე გვინდა! ეგრე გვინდა! ეგრე!

მდინარეს რომ გამოსცდა, კვლავ გახედა ნაპირს და უცბად შედგა — შორს, ქვემოთ ძაღლი დალანდა, ყუსოის ჰგავდა. სოსლანი სირბილით წავიდა მისკენ, მაგრამ პირდაპირი გზა არ იყო, ცოტა შორს მოვლა მოუხდა და როცა იმ ადგილზე მივიდა, სადაც ძაღლი დაინახა, აღარაფერი დახვდა; ქვემოთაც ჩაჰყვა ნაპირს, მაგრამ ძაღლის კვალი აღარ გამოჩენილა.

მთელი დღე ელოდნენ ოჯახის წევრები ყუსოის დაბრუნებას, მაგრამ ყუსოი აღარ გამოჩენილა. ძლიერ განიცადე, და იდარდეს, განსაკუთრებით კი, ბიჭებმა. სოსლანს საერთოდ ძილიც აღარ ეკარებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ჩაეძინა და სიზმრად ყუსოი და მისი ლეკვები ნახა.

მეორე დილით სოსლანს ადრე გაეღვიძა. პირველი, რაც გაახსენდა, ყუსოი იყო: „იქნებ დაბრუნდა“, ფეხშიშველი გაიქცა ფარდულისკენ. ხედავს, ყუსოი თავის ადგილზე, თივაზე წევს, ერთი ლეკვი წინ უდევს. სიხარულით მივარდა სოსლანი ძაღლს:

— ყუსოი, ჩემო ყუსოი, ახლავე საჭმელს მოგიტან!

სოსლანის დანახვაზე ძაღლმა ოდნავ გაანძრია კუდი, მაგრამ წინანდებური სიხარული არ გამოუმჟღავნებია თავისი პატარა მეგობრისადმი. იწვა ძაღლი მარჯვენა გვერდზე, მარცხენა თათი მკვდარ ლეკვზე ჰქონდა დადებული.

გაუხარდათ ოჯახის წევრებს ყუსოის დაბრუნება. გოსამამ მოაგროვა ძვლები, პურის ნატეხები და მიუტანა ძაღლს. ძაღლმა კვლავ ოდნავ გაანძრია კუდი, საჭმელს კი ზედაც არ დახედა.

— ჭამე, ყუსოი, ჭამე, — მიეფერა გოსამა, მაგრამ ძაღლს საჭმლისკენ არ გაუხედავს.

მთელი დღე წარამარა ათვალიერებდნენ ძაღლს, მაგრამ მას გვერდი არ შეუცვლია, იწვა, თათი მკვდარ ლეკვზე ედო და საჭმელს პირს არ აკარებდა.

ქალმა იფქირა, მოვაშორებ მკვდარ ლეკვს, სადმე გადავაგდებ, იქნებ დაივიწყოს და ჭამა დაიწყოსო. მოჰკიდა ხელი ლეკვს, უნდოდა გამოეთრია, მაგრამ ძაღლმა ისეთი ხმით შეჰყმუვლა, ქალი შიშით გვერდზე გახტა. ყუსოიმ დაავლო პირი მკვდარ ლეკვს და ღობეს გადაეკლო თავზე.

* * *

ერთი კვირა გავიდა ყუსოის გაქცევიდან. სულართები წუხდნენ ძაღლის დაკარგვას, მაგრამ სადღაც ცოტა იმედიც ჰქონდათ, დარდს გადაიყრის და ისევ მოაკითხავს თავი სახლსო.

ერთ საღამოს გაფო და სოსლანი მინდორში წავიდნენ პირუტყვის მოსარეკად. ჯერ კიდევ ადრე იყო, ნახირი არ დაბრუნებულიყო და ბიჭები სირბილით ერთობოდნენ, ერთმანეთს დასდევდნენ. ერთი ბუჩქის ძირას მკვდარი ძაღლი შენიშნეს. ძაღლი მარჯვენა გვერდზე იწვა, წინა მარცხენა თათი მკვდარ ლეკვზე ედო... ყუსოი იყო ის ძაღლი — ერთი დანახვითვე იცნეს ბიჭებმა. ალბათ, ორი-სამი დღის მკვდარი იქნებოდა, უკვე სუნი ასდიოდა. ბიჭები მაინც მივიდნენ ახლოს.

სოსლანს ტუჩები აუცახცახდა, ცრემლი წასკდა და ხმამაღლა ატირდა.

ველარც გაფომ შეიკავა თავი და აქვითინდა:

— რატომ, რისთვის დავღუპეთ ლეკვები?!

ცოცხალ გულითი

ცხოვრების ტვირთი
(წარსულის სურათები)

ყუდის ხეობა... მთის ღარიბი სოფელი. ერთი ღარიბი პაწაწა ქოხი. ოჯახი: დედა, მამა და ორი ბავშვი — ბიჭი და გოგო. რით ცხოვრობდნენ? როგორ ცხოვრობდნენ? ვინ გეტყვით ამას? საკმარისი არც მიწა ჰქონდათ, არც — საქონელი ჰყავდათ, არც რამ მამა-პაპიდან დარჩენილი განძი ებადათ, არც ხელის წამშველებელი ჰყავდათ ვინმე. ცხოვრობდნენ მაინც როგორღაც, მთის გაჭირვებული ცხოვრებით. კვამლით სავსე ქოხში ცეცხლს მისხდომოდნენ ბავშვები. მოთქვამდა ბავშვების დედა მარინე ამ უბედურ ყოფაზე. ბავშვების მამა ბესოც დარდობდა თავის სიღარიბეს. პაწაწა მიწის ნაკვეთები საკერებლებივით მიკვროდნენ დამრეც ფერდობებს, ძლივს-ღა რომ უმკლავდებოდნენ მეწყერს. სახნავ-სათიბი... ქერის კუთუ[1] იყო მთელი ზაფხულის შრომის ბარაქა. სულ სამი ბულული გამოდიოდა მთელი სათიბი. სად ეშოვა ბესოს ცოლ-შვილის გამოსაკვებად საჭმელი, ტანსაცმელი ან ფეხსაცმელი?

ციცი ზამთარი დაიჭირა. უხვად მოთოვა. მთებს თავისი თეთრი, ციცი საფარველი დააფინა. გზებიც ჩახერგა. შეავიწროვა ხალხი. ხეობის ბოლოს ჭალაში იყო შეყუჟული ბესოს სოფელი. ამ ხეობის ბოლოდან შესცქეროდა ბესო მაღლა

---

[1] კუთუ — წნელის მოზრდილი გოდორი ბზეშერეული მიწით გამოლესილი, იხმარებოდა მარცვლის შესანახად.

მთას და ღრმა ფიქრს ეძლეოდა — სად ეშოვა სამუშაო. „თოვლის გასაწმენდად მუშახელი ენდომებათ“, — თქვა ერთხელ ბესომ და გაემგზავრა მთაში სამუშაოს საძებრად.

ავიდა სადგურში, უამბო სადგურის უფროსს თავისი გასაჭირი და იშოვა ბესომ სამუშაო. ჯამაგირი... ჯამაგირის ოდენობაზე ვინ ამოიღებდა ხმას, რასაც გადაუხდიდნენ, ეგ იყო. თვეში ექვს მანეთს უხდიდნენ, ამაზეც მადლობის მეტი რა ეთქმოდა. სამუშაოს შოვნას დიდ ბედნიერებად თვლიდა ბესო. გულმოდგინედ შეუდგა თავის საქმეს. სხვა მუშებთან ერთად ცხოვრობდა და შრომობდა. ნიჩაბს რომ აიღებდა და ამხანაგებთან ერთად გზის გასაწმენდად გაუდგებოდა ბილიკს ტყავის ძველაში გამოხვეული, თავზე ჩამოფხატული ქუდითა და ფეხზე ძველისძველი ქალამნებით, ეჩვენებოდა, თითქოს რაღაც საოცრად კარგ ცხოვრებაში ჩავარდა. ხვეტდნენ თოვლს, ასუფთავებდნენ და იცავდნენ გზას. უდიდესი მადლიერების გრძნობით იყო ბესო განწყობილი სამუშაოთა უფროსის მიმართ. ის რომ გამოჩნდებოდა, დაიმორცხვებდა ბესო, ქუდს მოუხდიდა, გულითადად მიესალმებოდა, დალოცავდა და გახალისებული შეუდგებოდა თავის საქმეს. ვინ მუშაობდა მისებრ მონდომებით, უღალატოდ? ჰო და როგორ არ შეამჩნევდა სამუშაოთა უფროსი ყველაზე წყნარ და შრომისმოყვარე კაცს. ერთხელაც მიუახლოვდა უფროსი და უთხრა:

— ბესო, აქ მუშაობა ძნელია და თანაც დროებითი. სადმე რომ სამხედრო გზაზე მეეტლედ მოგაწყობდე, შრომა გაგიადვილდებოდა. თვეში რვა მანეთს მოგცემ, ზამთარ-ზაფხულ სამუშაო გექნება. ოჯახსაც გამოკვებავ და შენც უზრუნველი იქნები. მე მგონი, უკეთესი იქნება...

გაიხარა ბესომ. ან როგორ არ გაიხარებდა? მეეტლე... ყოველ თვე დროულად მიღებული ჯამაგირი, ოჯახისთვის ლუკმა. შორიდან, სახელმწიფო გზის ნაპირიდან გადმოხედავდა ხოლმე ბესო დაბლა ჭალაში მდებარე თავის სოფელს და

ცოლ-შვილზე დარდი ხრავდა, ვაითუ სცივათ, ვაითუ შიათ ან სხვა რამ აწუხებთ.

ერთხელ მარინე ამოვიდა მთაში, მოინახულა ქმარი, იქნებ საჭმელი არა გაქვს და მოგაწოდოო. მაგრამ გზის მუშებს იქვე აჭმევდნენ და ბესომ უთხრა:

— ბავშვებს მიხედე, ბავშვებს, ჩემი დარდი ნუ გექნება...

თეთრი პურის ნაჭერი მისცა მარინეს და ცოტაოდენი ფულიც. დაბრუნდა შინ გახარებული მარინე.

დრო გადიოდა...

ერთხელ ბესო ორი დღით დაეთხოვა უფროსს და სოფელში წამოვიდა, ვნახო ოჯახი, როგორ არიანო. მიდიოდა გზაზე ბესო თავის მოკლე ტყაპუჭში გამოხვეული და ფიქრობდა, რა კარგი იქნებოდა მეეტლედ მუშაობა. ივლიდა ერთი სადგურიდან მეორემდე. ზოგჯერ უკან დაბრუნებისას ოჯახში მისვლის საშუალებაც ექნებოდა. სადგურიდან თან წამოუღებდა ხორბალს, სიმინდს, ფქვილს და ბევრ სხვა რამეს და თვალწინ დაუდგებოდა მედუქნე, ღიპიანი, ეშმაკი კაცი შაქრო.

ბესომ მარინეს უამბო თავისი გადაწყვეტილების შესახებ. გაიხარა მარინემ, დალოცა მთის ჯვარ-ანგელოზი, ღვთის წყალობად ჩათვალა ქალმა, ბესომ უკეთესი სამუშაო რომ იშოვა. ამ ამბით გახარებულ ბესოს ოჯახის წევრებს ბევრი საამური ფიქრი და იმედი აღეძრათ.

* * *

მეეტლედ მუშაობა გაზაფხულზე დაიწყო ბესომ. იქვე, სადგურში დასახლდა მეეტლეთა საერთო ბინაში. ლოგინის ნაცვლად ერთი ნაბდის ძველა და ბალიში აიტანა, საბნად თავის ძველ ტყაპუჭს იხურავდა... უვლიდა ცხენებს და დაჰყავდა მგზავრები ეტლით. ეს საქმე არ ესწავლებოდა. დიდად მადლიერი იყო ბესო თავისი სამუშაოთი. მეეტლეები მეგობრობდნენ, ყველა ერთნაირად ღარიბი მთიელები იყვნენ. კარგ

მეგობრებს შორის კი ცხოვრების ტვირთი ეგრერიგად საფიქრალი არაა ხოლმე.

არ იყო ბევრი მგზავრი ჯერხნობით ზეკარზე. ცუდი ამინდები დაიჭირა, ქარბუქი, თოვლი, სიცივე... ჩვენს მეეტლებს ბევრი თავისუფალი დრო ჰქონდათ. დღისით სადგურზე შრომობდნენ, დაასუფთავებდნენ საჯინიბოს, ეზოს, სადგურზე მისასვლელ გზას. საღამოობით აანთებდნენ ნავთის ლამპას, მოგროვდებოდნენ ერთად და ერთობოდნენ ზღაპრებით, თქმულებებით, ანდაზებით...

ზოგჯერ გამოჩნდებოდა სამხედრო გზაზე მგზავრი. მაშინ სწრაფად შეუდგებოდნენ საქმეს. თვალის დახამხამებაში გაამზადებდნენ მგზავრებს. გაიხედავდი და მთის ძირში ეტლის თვლების რახრახი ისმოდა.

ადრიანი გაზაფხული იდგა. მშვენიერი ამინდი გამოვიდა. მთები ჯერ ისევ თეთრად იყო დათოვლილი და მზეზე საოცრად ბრწყინავდნენ. მზემ მთის წვერიდან ხევს გადმოხედა და გადაანათა იქაურობა. თეთრად გადაბარდნილი ფერდობები ბრდღვიალა მზის შუქზე საამოდ გამოიყურებოდნენ. მთიდან კი ცივი ქარი უბერავდა. დღე თავისი წესით მიდიოდა. მზე ჯერ ღრუბლებიდან არ ჩამოსულიყო, რომ სადგურს დილიჟანსი მოადგა. შიგ ერთი სამხედრო იჯდა თავზე დიდი თეთრი ქუდითა და ტანზე დაღესტნური ნაბდით. როგორც კი დილიჟანსი გაჩერდა, მგზავრი გადმოვიდა და სადგურის შენობაში შევიდა. ორ წუთში სადგურის უფროსიც გამოვიდა...

— აბა, სწრაფად, — უთხრა მან მეეტლებს, — მგზავრს ქალაქს მიეჩქარება.

გამზადებული დილიჟანსი ცხენებშებმული იდგა შენობის წინ. მეეტლის კოფოზე იჯდა ბესო: დღეს მისი რიგი იყო. ღრმად ჩამოიწია ქუდი შუბლზე, შემოიჭირა ბაწრით ტყაპუჭი და მაგრად ჩაბღუჯა სადავეები.

ჩაჯდა მგზავრიც. დაძრა ბესომ დასვენებული და ნაპატივები ცხენები ადგილიდან. მსუბუქი ჩორთით გაუდგნენ შარაგზას. სულ მალე თვალს მიეფარნენ.

საღამოს ბინდბუნდში ჩაიყვანა ბესომ მგზავრი მორიგ სადგურამდე, თვითონ კი თავისი დილიჟანსით უკან გამობრუნდა. იყიდა ერთი გირვანქა თეთრი პური, ჩაჯდა თავის დილიჟანსში, მიდის და თან ილუკმება. ცხენები თავისუფალი სვლით მიუშვა. წყნარად მიდიოდნენ ცხენები სიბნელეში. ცაზე უთვალავი ვარსკვლავი ბრწყინავდა. თეთრ ზოლად გასდევდა ერთი კიდიდან მეორემდე ირმის ნახტომი. ორიონის სამი ლამაზი ვარსკვლავი მაღლა წასულიყო რიგად და უღიმოდნენ ლამაზ, ცისფერთვალა სირიუსს. ხეობის ბოლოს, შავი მთების შუა მოქცეული ბესოს სოფელი, სადაც მისი ოჯახი იყო, სადაც მისი ორი ბავშვი იზრდებოდა, ბნელით იყო მოცული. კვლავ გაიღვიძა ბესოს გულში ცხოვრების უკეთესმართობაზე დარდმა.

შემდეგ რაღა მოხდა? ვინ გაიგებს, ვინ მიხვდება ახლა? მოსახვევში ცხენები რაღაცამ დააფრთხო. გაიტაცეს დილიჟანსი, ალბათ, მოზიდა ბესომ სადავეები, ალბათ, იყვირა კიდეც, მაგრამ ამ ნასუქ, ღონიერ ცხენებს რას მოუხერხებდნენ ბესოს სუსტი მკლავები... ღამის სიბნელეში გადაიჩეხნენ ცხენიან-კაციანად უფსკრულში. დაიშალა დილიჟანსი, ქვათა ხმაურში აირია ბორბლების ხმა. კაციც დაიმტვრა, დაილეწა, გაწყდა ღამის სიბნელეში მისი საცოდავი სულის ძაფი.

აცნობა ვიღაცამ სადგურში უბედურების ამბავი. მეეტლეებმა და სხვა თანამშრომლებმა კი სადგურის უფროსს უამბეს. წავიდნენ იმ დასაღუპ მოსახვევში. გადაიხედეს კლდის პირიდან. თავბრუდამხვევი იყო იმ სიღრმეში ცქერა. ჩავიდნენ ნელ-ნელა, პირუტყვის ნაკვალევს მიჰყვნენ. რაღას ნახავდნენ სასიკეთოს. თქვენს მტერს, რაც იქ დატრიალდა. კაციან, ცხენიან, დილიჟანსიანად ერთმანეთში აითქვიფნენ... იპოვეს დამტვრეულ-დაჩეჩქვილი ბესო ნაპრალში.

გააგებინეს ბესოს სოფელს, მის ოჯახს. ატირდა მარინე, ლოყები ჩამოიხოკა და თმები დაიგლიჯა. დედის მოთქმაზე ბავშვებიც აღრიალდნენ. ამ დროს თვითონ ბესოც შემოიტანეს ამხანაგებმა. შეიძრა პატარა მთის სოფელი, ხალხი ბესოს ქოხს მოაწყდა. მოთქმა-ტირილისა და ძაღლების ღაღავის ხმამ გააყრუა იქაურობა. შეიტანეს სახლში მიცვალებული და დაასვენეს ტახტზე. გულმოკლულები უყურებდნენ ბესოს ოჯახის სილატაკეს. ისევ ატირდა მარინე:

— მარჩენალი დავკარგეთ, რითიღა ვიცხოვრებთ, რითი?

კუთხეში მიყუჟული ბავშვებიც შეშინებულები ღრიალებდნენ. მაგრამ რაღა ესმოდა ბესოს? სოფლის ქალები დატრიალებდნენ მიცვალებულს, აპატიოსნებდნენ, ნუგეშს სცემდნენ მარინეს. მან კი დაიხოკა ლოყები, დაიგლიჯა თმები, ველარ აშოშმინებდნენ მეზობლები. ახლა მეზობლებმა დაიწყეს მოთქმით ტირილი. იდგა ხალხი დაძმარებული. მერე წაასვენეს და სოფლის თავში, სასაფლაოზე მიაბარეს მიწას. ხალხის დახმარებით ღარიბული ქელეხიც გაუმართეს.

დარჩა მარტო მარინე თავის ობლებთან ერთად. მძიმედ დააწვა ცხოვრების ტვირთი მას და მის ობოლ ბავშვებს. ცრემლს ველარ იკავებდა უბედური, რა ექნა, რით ერჩინა შვილები. წავიდა სადგურში, რაც ეკუთვნოდა ბესოს ჯამაგირი, ის აიღო და დაბრუნდა სახლში ტირილით. მეორე დღეს მეორე სადგურში წავიდა, შაქროს დუქანში. ოსურ-ქართული სიტყვების ნარევით სამძიმარი უთხრა შაქრომ მარინეს. აუწონა სიმინდი, გამოართვა ფული, ჩადო უჯრაში და დაუყვავა მარინეს. მარინემ ზურგით ჩამოიტანა სიმინდი, შინ მშიერი ბავშვები ელოდებოდნენ.

ასე დაიწყეს ცხოვრება ქვრივმა მარინემ და მისმა ობლებმა.

* * *

იმძლავრა გაზაფხულმა. ფერდობები ამწვანდა. გაიღვიძა კვლავ ბუნებამ. ხალხმაც გამოიღვიძა, გარეთ გამოეფინენ სახლებიდან. იმ მზით გამთბარ დღეებში ბინებიდან იცქირებოდნენ, თვალს ადევნებდნენ, როგორ დნებოდა ხეობაში თოვლი დღითი დღე.

მარინეს ფიქრი კლავდა, როგორ გამოეკვება ორი მცირეწლოვანი ბავშვი. ისინი ჩიტის ბარტყებივით პირდაღებულები ყოველდღე საჭმელს თხოულობდნენ. პატარა სახნავი, პატარა სათიბი კი აქვს, მაგრამ მუშა პირუტყვის უქონელს, რითი დაემუშავებინა? არც ხარი ჰყავდა, არც — გუთანი ჰქონდა. სანახევროდ მისცა სხვას დასამუშავებლად... ოთხიხუთი ფუთი ქერი, ორი-სამი ბულული თივა ვის გასწვდება? ფიქრობდა, ფიქრობდა მარინე ცხოვრების სხვა სახსარი რამ ეშოვა.

ვიღაცამ ასწავლა, კანონის მიხედვით გზის უფროსი უნდა დაეხმაროს ბესოს ობლებსო. ანგელოზივით ქალია გზის უფროსიო, — უთხრეს მარინეს, — ძაუჯიყაუში ცხოვრობსო. თითქოს იმედის სხივმა ჩახედა გულში მარინეს, ისე მიიღო ეს ამბავი. დახმარება! მხოლოდ ლუკმა-პურის საყოფი, მხოლოდ ბავშვების გულის მოგების სამყოფი... იქნებ, გამოვზარდო როგორმე.

თბილი ამინდები დადგა. გაზაფხული ძალაში შევიდა. უკვე ისმოდა სამხრეთ ფერდობებიდან ხალხის ხმაური, საგაზაფხულო საქმეებს შეუდგნენ. შრომის დრო დადგა და ხალხის შემყურე მარინეც ცხოვრების სადარდელმა ჩაითრია.

— უნდა წავიდე ძაუჯიყაუში, — გადაწყვიტა მარინემ, — და სამზადისს შეუდგა. იმედი ჰქონდა, ობლებს რაიმეთი დაეხმარებოდნენ, ისე არ დატოვებდნენ. მარინეს ძაუჯიყაუში ერთი შორეული ნათესავი ჰყავდა. იცოდა მარინემ, ისიც ღარიბი და გაჭირვებული რომ იყო, მაგრამ ღამის გასათევი

ადგილი რომ ექნებოდა, ესეც დიდი შეღავათი და ნუგეში იყო ქვრივი ქალისთვის.

გაემზადა მარინე, ბავშვებიც გაამზადა. ელოდა ურმით იქით მომავალ ვინმეს, მაგრამ მუშაობის პერიოდში წასასვლელად ვის ეცალა. ერთ თბილ დღეს მარინე გამოემშვიდობა მეზობლებს და ბავშვებიანად დაადგა გზას. გზა დაულოცეს მეზობლებმა. გადაიარეს სამივემ ჩრდილოეთისკენ მიმავალი მთიანი გზა და თერგის ხეობაში ჩავიდნენ.

მიდიოდნენ ფეხით ფოსტის გზაზე — დედა და ორი ბავშვი, მიდიოდნენ ნელა, სვენებ-სვენებით, დაფლეთილი ტანისამოსით, როგორც მათხოვრები. წინ შემოყრილ მგზავრებს დამორცხვებული უთმობდა გზას, ან ბილიკს ეძებდა, რომ მოფარებულად ევლო.

მიდიოდნენ წყნარად.

იდგნენ მთები გზის ორივე მხარეს აწვდილები, სულაც არაფერი ედარდებოდათ. მიმოდიოდნენ მგზავრები მთათა ძირში — ვინ ურმით, ვინ ფურგონით, ზოგი ფეხით და ზოგი — ეტლით. მათ ჰქონდათ სადარდელი, მაგრამ ყველა თავისას დარდობდა. მდინარე ხევის ვიწროებში დგაფუნით მიისწრაფოდა სადღაც, ბრაზით ასკდებოდა ქვებს, კლდეებს, თითქოს იცოდა, უკეთესი გასაქანი მიეცემოდა ქვევით გავაკებულზე.

მიდიოდნენ სამნი გზაზე მოსახვევისკენ.

მეორე დღეს გადახედა ძაუჯიყაუს. ხეთა შუა მოჩანდა სახლების სახურავები. ქალაქის შუაგულში ციხე-კოშკივით თეთრად გამოიყურებოდა ეკლესია. ჩამოვიდნენ ქალაქში. სიხარულით შეხვდნენ მასპინძლები. ბესოს დაღუპვაზე იდარდეს, ერთად გამოიტირეს. მერე ისხდნენ, საუბრობდნენ დაღვრემილები. მარინემ მოუთხრო ნათესავებს, რა ქარმაც გადმოაგდო ობლებიანად ძაუჯიყაუში. ითათბირეს შუაღამემდე, ილაპარაკეს.

მარინეს თარჯიმნად ერთი ოსი მოსწავლე ბიჭი უშოვეს. წავიდნენ ერთად მარინე თავისი ბავშვებითა და თარჯიმანი

ბიჭი გადავიდნენ ხიდზე. ერთ ლამაზ შენობაში შევიდნენ. შენობას დიდი, კარებისოდენა ფანჯრები ჰქონდა, მინები ბრწყინავდა, კარი ლამაზად იყო მოხარატებული. დადგნენ კარებთან. ბიჭმა კარზე დააკაკუნა. უხმოდ ელოდნენ. კაკუნზე ერთი ქალიშვილი გამოვიდა, თვითონაც თეთრი და თეთრ წინსაფარაფარებული. გაბრაზებით შეხედა და მწყრალად ჰკითხა, რა გინდათო. ალბათ, თვითონაა, — გაიფიქრა მარინემ. ბიჭმა გააგებინა ქალიშვილს მოსვლის მიზანი. მარინესაც უთხრა, რომ იგი მოსამსახურე გოგო იყო. შიგნით შეიყვანა ქალიშვილმა. შევიდნენ წინა ოთახში, გაკვირვებით უყურებდა იმ ვეება სარკეებს, ლამაზ სკამებს, ათასფრად მოხატულ კედლებს... იდგნენ, ელოდნენ და აქეთ-იქით იყურებოდნენ მარტონი.

მერე გამოვიდა ერთი მაღალი, შავებში ჩაცმული ქალი; ანგელოზად ეჩვენა მარინეს ქალი. ბავშვები, თითქოს პაწაწა გულებმა უგრძნესო, დედას ეფარებოდნენ, იმალებოდნენ მარინეს ძონძებში. ქალი იდგა, უსმენდა თარჯიმანს, მერე რაღაც თქვა.

— ცხენები დაფრთხნენ... გადაიჩეხნენ... მთვრალი იქნებოდა...

აბა, რა ესმოდა მარინეს. მერე თავი ვეღარ შეიკავა:

— აი, აი, ჩემი ობლები... — ატირდა და მუხლებზე დაეცა ქალის წინ, უნდოდა კაბის კალთაზე ეკოცნა.

ბავშვები საცოდავად ატუზულიყვნენ და დამნაშავეებივით უყურებდნენ ქალს. ქალს არაფერი უთქვამს, შიგნით შევიდა...

ისევ ელოდნენ...

ცოტა ხნის მერე მოსამსახურე გოგონამ ერთი მანეთიანი გამოუტანა... ცრემლების წმენდით გამოართვა მარინემ. წამოვიდნენ.

სიმწრით გული ლამის გახეთქოდა ქვრივს.

ფუტკარი და ობობა

ვიწრო ხეობა... მდინარე მოწყენით მიიზლაზნება კლდეთა შორის... მდინარის ორივე ნაპირს ბებერი ხეები ჩასდევს. გაშლილი ტოტები ხელებივით გაუწვდიათ ერთმანეთისთვის.

დილის მზემ თვალი მოავლო მყინვარებს, ქედებს, მერე ღრუბლებში გამოაპარა ხევის სიღრმისკენ სხივი, დახედა ხეებს, აქა-იქ ამოწვერილ ბალახ-ბულახს, ღვიის თათებს.

მოციმციმე სანთლებივით ბრწყინავს ყვავილთა უბეში დილის ნამი. მოკრიალებულ ცაზე, ზუსტად მორევის თავზე, ნაპერწკალივით გაიელვა მაღლა, სულ მაღლა...

მდინარის ერთ ნაპირზე მდგარი ხის ტოტიდან მეორე ნაპირზე მდგომ ხის ტოტამდე გააბა ობობამ ქსელი, ფართოდ გაშალა ბადე. თვითონ კი მიიმალა, მიიმალა და დაელოდა...

მზით გადაბრიალებულ ცაზე მხიარულად მობზუილე ფუტკარი გამოჩნდა — ნექტარის საძებნელად გამოსული.

მოულოდნელად ობობას ქსელში გაეხვა. ქსელმა ვერ გაუძლო მის სიმძიმეს და ნელ-ნელა დაეშვა დაბლა.

მორევის თავზე ცდილობს თავის დახსნას ფუტკარი, წვალობს.

შენიშნა ობობამ. გამოძვრა სამალავიდან, ჯერ შეჩერდა, მერე ისევ დაიძრა, ავად აუძგერდა გული.

— ახლა კი ვეღარ გადამირჩები, — ჩაუბუტბუტა ფუტკარს, — ამ მშვენიერ დღეს სადილად მეყოფი, შე მაწანწალა ზუზუნავ.

— რა დაგიშავე? — უთხრა ფუტკარმა, — ერთი საწყალი მუშაფუტკარი ვარ. დამანებე თავი...

კვლავ შეეცადა ფუტკარი თავის დაღწევას, აამუშავა საცეცები, სიფრიფანა ფრთები.

წყლის ცივი შხეფები ეცემა, სუნთქვას უხუთავს, მაგრამ ფუტკარი განაგრძობს ბრძოლას.

ობობა უფრო ახლოს მიუცოცდა, ცეკვით შემოუარა გარშემო.

ქსელი კი ორივეს სიმძიმეს ვეღარ უძლებს და სწრაფად მიიწევს მორევისკენ.

ფუტკარმა ერთი კიდევ გაიბრძოლა, გაწყვიტა ქსელი და აფრინდა ჰაერში, ობობა კი შიგ შუა მორევში ჩავარდა.

ასკილის ყვავილმა სიტკბოთი სავსე უბე მიუშვირა ფუტკარს. ისიც სიხარულით დაეწაფა ყვავილს.

ობობა... ობობა კი ჩაითრია ტალღამ და შორს, ქვევით მოისროლა.

ჩვენი ოჯახები

ქოძირთები

მე თვალი იმდენად აღარ მიჭრის, მაგრამ აღმოსავლეთისაკენ რომ გაიხედავთ, თქვენ უეჭველად შენიშნავთ შუბის წვერივით წამახულ მთას. ამ მთას სახელად ფიდარხოხს ეძახიან. მის ძირში სოფელია, ერმანი ჰქვია. წინათ აქ ქოძირთების გვარი სახლობდა. მცირერიცხოვანი და ღარიბი გვარი იყო. ნამყოფი თუ ხართ იმ სოფელში, ალბათ დაკვირვებიხართ, მდინარის გაღმა, ფლატეზე, ერთი დიდი კლდის ნატეხი დევს. მას ქოძირთების კლდეს ეძახიან დღესაც.

ამ კლდის გვერდით სახლობდნენ ქოძირთები. რაკი მცირერიცხოვანი გვარი იყო, მამაკაცებიც ცოტანი იყვნენ ამ გვარში. იმ დროს კი გვარის სიძლიერე მამაკაცების სიმრავლეზე იყო დამოკიდებული..

ქოძირთები გამრჯე, მშრომელი ხალხი იყო, მაგრამ მაინც ხელმოკლედ ცხოვრობდნენ. მიწა ცოტა ჰქონდათ. აბა მამულები რომ ბლომად ჰქონოდათ, ღარიბებიც ხომ აღარ იქნებოდნენ!

იქვე მცხოვრები ყოროთები კი მამულიანი გვარი იყო და ქოძირთები მათ მიწას იჯარით ამუშავებდნენ, სანახევროდ. ასე გაჭირვებით გაჰქონდათ თავი წლიდან წლამდე ქოძირთებს.

ქოძირთებში ერთი განთქმული ვაჟკაცი ერია, სახელად თოხთა. უებრო მეომრისა და პატიოსანი მშრომელის სახელი ჰქონდა გავარდნილი. მოხუცი მშობლები ჰყავდა, შრომა აღარ შეეძლოთ, მაგრამ მათ მზრუნველობას არ აკლებდა თოხთას

მეუღლე რუბაიონი, თოხთასავით ვაჟკაცური და პატიოსანი ქალი.

თოხთამ ბოლო დროს გარე-გარე დაიწყო სიარული. არავინ იცოდა, სად და რაზე დადიოდა, მაგრამ შინ ყოველთვის დატვირთული ცხენით ბრუნდებოდა. გვარშიც არავინ ამბობდა აუგს თოხთას უცნაურ საქციელზე. არავინ იცის, ერიდებოდათ თუ საჩუქრების გამო ენა არ უბრუნდებოდათ პირში საყვედურის სათქმელად. თოხთას იქ არ ყოფნაში ყველა სიტყვის უთქმელად გამოდიოდა მისი მამულის დასამუშავებლად, სათიბად. შრომობდნენ თოხთას მაგიერ.

ერთხელაც, ღმერთმა თქვენც დაგლოცოთ, დიდი ხნის წასული თოხთა შინ კარგა გვარიანად დატვირთული ხურჯინებით დაბრუნდა. თან მოიყოლა ერთი საუცხოო ხმალი. ეს ისეთი პერიოდი იყო, გაზაფხულის სამუშაოები მოთავებული იყო, საშემოდგომო ჯერ ადრე იყო. ასე თუ ისე ჯერჯერობით მოცლილი ხალხი სანახშოზე გამოსულიყო და მასლაათობდა. თოხთაც გაერია თანასოფლელებში. ახალგაზრდებთან მივიდა და ამაყად შესძახა:

— ჰეი, ვაჟკაცებო! ვისაც სურს დღეს თავი ისახელოს კარგი ცხენით ან კარგი ხმლით, ჩემთან სცადოს. ერთი რკინის ნაჭერი მიშოვია და მინდა გავსინჯო, შეშვენის თუ არა მისი ტარება კაცურ კაცს.

ეს ის დრო იყო, ახალგაზრდები ხმალაობით, შუბოსნობით, თოფ-დამბაჩის სროლით ხშირად რომ ირთობდნენ თავს. ყველა ცდილობდა, კარგი იარაღი ჰქონოდა. ჰოდა, ყოროთებისა და ჯელითების ახალგაზრდებსაც როგორ არ ექნებოდა სანაქებო იარაღი? თოხთას გამოწვევაზე ყველამ იშიშვლა ხმალი. თოხთას ხმალი კი ხელიდან ხელში გადადიოდა, ინტერესით სინჯავდნენ და კმაყოფილების ნიშნად მოხუცები თავს იქნევდნენ.

— ვაჟკაცობაში მოგხმარებოდეს, თოხთა, კაცის ფასი ხმალია; გასართობად აფსუსია, გაუფრთხილდი, — უთხრა ერთმა.

— ნამდვილად კარგია, სოფელში მაგისი ცალი არავის აღმოაჩნდება. მტერზე გამარჯვებაში, ჩემო კარგო! მხოლოდ ქარქაშში ჩააგე, — ურჩია მეორე მოხუცმაც.

ახალგაზრდებმა ეს რომ მოისმინეს, შეჯიბრის ხალისი დაეკარგათ, როცა თოხთამ ხმალი ქარქაშში ჩააგო, ზედმეტი არაფერი უთქვამთ, მათაც უხმოდ ჩააგეს ხმლები.

ბადთუ ყოროთისაც უქებდნენ ხმალს. ამაყი იყო ბადთუ, სხვებთან შედარებით შეძლებულად ცხოვრობდა და ქონებით მოჰქონდა თავი. წინ წამოდგა და ყველას გასაგონად თქვა:

— რა უცბად ჩამალე, თოხთა, ხმალი. ამოაძრე, ჩემს ხმალს შევაჯიბროთ: მხოლოდ ერთი პირობით, დამარცხებულის ხმალიც გამარჯვებულს დარჩეს.

— კარგი, ბადთუ, რაკი ასე გსურს, ასე იყოს, — მორიდებულად უთხრა თოხთამ. ასეთ უკულმართ კაცთან შებმა ბარემაც არ უნდოდა, მაგრამ მაინც ამოიღო ხმალი, — მხოლოდ ისე დაარტყი, შენი ხმლის ნატეხი გუთნის საფხეკად მაინც გამომადგეს.

გულზე ცეცხლი მოედო ბადთუს: ვინ მიგდია თოხთა, ჩემს ხმალს რომ დასცინისო.

— მაშ უფრთხილდი, თოხთა, ხმალს! — მუქარით უთხრა და მთელი ძალით დასცხო თოხთას გამოწვდილ ხმალს თავისი. თქვენს მტერს, ხმალი ტირიფის ტოტივით შუაზე გადატყდა. თოხთას ხმალს კი ნაკაწრიც არ დასტყობია.

— შე სატიალევ, სხვების ხმლები ხის ხმლებად რად გეჩვენება, თუ მართლა ხის ხმლებს ატარებენ ჩვენი ახალგაზრდები?

— ეი, უბედურ დღეზე გაჩენილო თოხთა! წაიყვანე ჩემი ცხენი თავისი უნაგირით, წაიყვანე ორმოცი სული საქონელი ჩემი ჯოგიდან, ზედ დაამატე ჩემი მეორე ხმალიც და დამით-

მე ეგ ხმალი! — ბრაზმორეული ეუბნება ბადთუ, — შენ კიდევ იშოვნი, ხათაგ-ბარაგი კაცი ხარ! — ჩაიცინა მწარედ.

— რად გაგიმეტებია მაგდენი საქონელი, ბადთუ. ისეთი შესაშურიც არაა ეს რკინის ნაჭერი. ამბობენ, დარიალზე თერგი სავსე ყოფილა კარგი ხმლებით. იქ შეიძინე შენი ქონებით, შენი ვაჟკაცობითა და ღმერთის შეწევნით.

— ეჰეი, თოხთა, ზედმეტებს მოეშვი. კარგ ხმალს ფარსაც ფოლადისას ახვედრებენ! — თავს ველარ იკავებდა ბადთუ.

— რად მაშინებ, ბადთუ ბატონო! კარგი ხმალი ფოლადის ფარსაც ჭყინტი ყველივით ჭრის, — ცივად მიუგო თოხთამ.

ნიხასში მყოფებმა იგრძნეს, ამ კენწლაობას კარგი არა მოჰყვებოდა რა და ორივე ნელ-ნელა დააწყნარეს. მაგრამ ბოროტმა ბადთუმ ჯავრი ჩაიდო გულში. მას შემდეგ, ჩუმად თუ ცხადლივ, ქოძირთებს მტრობა დაუწყო. ხან პირუტყვს შეუშვებდა მათ ყანებში, ხან თავის მწყემსებს აქეზებდა, ქოძირთების სათიბებით ესარგებლათ. ითმენდნენ ქოძირთები, რა ექნათ. სად გაუმკლავდებოდნენ ძლიერ ყოროთებს, რომლებიც გვარში ასამდე მსროლელს ითვლიდნენ. ცოტას წაიბუზღუნებდნენ და ეგ იყო. კარგად იცოდნენ ქოძირთებმა, რომ ბადთუ ჩხუბის მიზეზს ეძებდა. ყოროთები რომ შემოსეოდათ, ციხეც კი არ ჰქონდათ ქოძირთებს რომ თავი შეეფარებინათ. ყოროთების ორი შვიდთვალიანი ციხის კოშკი კი ცასა სწვდებოდა. ჰოდა, ითმენდნენ ქოძირთები, მეტი რა გზა ჰქონდათ. თოხთა კი ერთთავად გარეთ იყო; როცა შინ დაბრუნდებოდა და ყოროთების გამომწვევ ამბებს მოისმენდა, მაშინაც გვარის უფროსები აწყნარებდნენ.

ასე გადიოდა დღეები; ერთხელაც ბადთუს ვინმე ფარსა გაგლოითი ესტუმრა, კაცი მეტად თავზეხელაღებული და ქარაფშუტა. ბადთუს ჯავრის ამოყრა თვითონაც შეეძლო, მაგრამ ალბათ საგვარეულოს ხათაბალაში გახვევას ერიდებოდა და ფარსას გამოჩენამ უწმინდური აზრები გაუღვიძა. ფარსას

ადრეც იცნობდა. ბევრჯერ უმგზავრიათ ერთად ბარისაკენ. იცოდა მისი ბუნება — ქალების მუსუსი იყო.

შუაღამემდე ქეიფობდა სტუმარ-მასპინძელი. სასმელ-საჭმელი არ ჰქონდა მდიდარ ბადთუს თუ რა! მერე საწოლ ოთახში შეუძღვა ნასვამ სტუმარს ბადთუ და, ღმერთმა იცოდეს, რა სიბილწე ჩააწვეთა.

მთელ ღამეს რული არ მიჰკარებია ფარსას თვალებს. ლუდით შემთვრალს ენებისაგან ცეცხლი ედებოდა. იმისი ფიქრი სტანჯავდა, როგორ ჩაეგდო ხელთ რუბაიონი. მერე ერთმა აზრმა გაუელვა თავში...

განთიადისას წამოდგა ფარსა და ცხენი წყალზე ჩაიყვანა. აბანავა ქურანი და გააჭენ-გამოაჭენა. ამასობაში წყაროზე ქალებმა იწყეს დენა. რაღაც ეშმაკად იმ დილით რუბაიონი მარტო წასულიყო წყალზე. ფარსამ დაინახა თუ არა, მაშინვე გაიფიქრა, ეს იქნება თოხთას ლამაზი ცოლიო.

— კარგო დიასახლისო, მაპატიე, უზრდელობაა უცნობ ქალს რომ მოგმართავ, მაგრამ იქნებ წყალი დამალევინოთ, — უთხრა მორიდებით ფარსამ.

რუბაიონმა წესის მიხედვით უთხრა ვინც იყო და წყალი მიაწოდა. ძლიერ ლამაზი იყო რუბაიონი, მოხდენილი, აშოლტილი. მისი სილამაზით დაბნეულმა ფარსამ აღარ იცოდა, რაღა ექნა. ცოტა მოსვა წყალი, ხის ჯამი უკან დაუბრუნა და მკლავში ხელი წაატანა.

— ლამაზო, აფსუსი არ არის იმ ღატაკი გვარის რძალი იყო! ოქროში ჩაგსვამ, ოღონდ პირობა მომეცი, რომ ჩემი გახდები... მოდი, შემოგისვამ ცხენზე და... ან თუ ამ ხეობის მიტოვება არ გინდა, შენთან შეხვედრის ნება მაინც დამრთე. გამიხსენ გული და სანაცვლოდ ჩემი მიიღე. მე გაგლოითი ვარ, ძლიერი, სახელოვანი; საიდუმლო რომც გაგიმჟღავნდეს, სირცხვილად კი არა, სახელად ჩაგეთვლება ჩემთან საქმის დაჭერა.

ქალი მკლავის განთავისუფლებას ცდილობდა, კაცი თავისკენ ეზიდებოდა. როგორც იყო ერთი კოცნა მოასწრო და დაუსხლტა ხელიდან ქალი. წყლიანი ჯამი ძალუმად მოიქნია და სახეში სთხლიშა ფარსას ქალმა. მერე კი სირბილით გაუყვა ბილიკს.

კაცი მოულოდნელობისაგან ადგილზე გაშეშდა.

— დედა შეგერთოს ცოლად, შე სინდისგარეცხილო! — ბექობიდან გადმოსძახა ქალმა და შინ შეიჭრა.

აკივლდა თავმოყვარე რუბაიონი, კერის პირას დაანარცხა მანდილი შეურაცხყოფისაგან გონდაკარგულმა:

— დაიქცა ჩემი დაბადების დღე! დაიწვას ჩემი ბედისმწერელი, ამ მასხრადაგდებულ ოჯახში რომ მიკრეს თავი! კაცი ამათი არ ფასობს და ქალს ამათსას არ სცემენ პატივს! ყველა მათხოვარი ბედავს ამ ოჯახის ქალის შეურაცხყოფას!

ქოძირთები ღარიბები კი იყვნენ, მაგრამ თავმოყვარეობა როდი აკლდათ! დაედევნენ ფარსას თოხთა და მისი გვარის კაცები და სოფლის მოშორებით წამოეწივნენ კიდეც. დამბაჩაც დააქუხა ფარსამ, ხმალიც იშიშვლა, მაგრამ ამაოდ. გამწარებულმა თოხთამ ერთი დარტყმით წელამდე გაჩეხა შეურაცხმყოფელი. აბა როგორ არ გამოიდებდნენ თავს ყოროთები — მათი სტუმარი მოკლეს, ეს ხომ მათი შეურაცხყოფა იყო! მაგრამ ქვეყანაზე ბრძენი ხალხიც ხომ ბევრია და როგორც იქნა დააშოშმინეს ეს ორი გვარი.

გაგლოითებმა წაასვენეს თავიანთი მიცვალებული.

ბადთუმ ავკაცობა მაინც არ მოიშალა. დაიწყო გაგლოითებთან ენის ტრიალი. გაგლოითების ხელით მოინდომა ქოძირთების ამოძირკვა. რას კარგავდა, მათი მამულები გაურჯელად დარჩებოდათ ყოროთებს.

ბადთუს მიერ წაქეზებული გაგლოითები შემოდგომაზე თავს დაესხნენ ქოძირთებს. გაგლოითების გვარი მრავალრიცხოვანი იყო, თან ყოროთების დახმარების იმედიც ჰქონდათ. ქოძირთებმა ადრევე იცოდნენ, უბედურება არ ასცდებოდათ

და ბევრიც უტრიალეს გაგლოითებს, შევრიგდეთო, მაგრამ მათ ახლოს არ გაიკარეს. ერმანიდან აყრა თუ უშველიდათ მათ, მაგრამ მოსავლის აღებამ შეაჩერა ისინი.

მომხდური მაინც მოვიდა. ლაჩრულად არ დახვედრიან. გაჩაღდა ბრძოლა. ყოროთებიც გაგლოითების მხარეს დადგნენ. როცა სახლებს ცეცხლი წაუკიდეს, ქოძირთები, თოხთას მეთაურობით პირდაპირ შეტევაზე გადავიდნენ და ეს მრავალრიცხოვანი მომხდური მოიგერიეს, აი, იმ დიდ კლდეს გააცილეს. თვითონ კი კლდეს ამოეფარნენ და სროლა აუტეხეს. თოხთამაც დახოცილთა გორები დააყენა, მაგრამ ერთის წინააღმდეგ ორიც ჯარია. გაგლოითებმა და ყოროთებმა სძლიეს ერთ მუჭა ქოძირთებს. კაცი რომ აღარ დარჩა ცოცხალი, ბავშვების ჟლეტა დაიწყეს და გვარის გამგრძელებელი აღარავინ დატოვეს. მერე დახვეტეს მათი ქონება, აკრიფეს თავიანთი მკვდრები და გაბრუნდნენ.

ომი რომ გაცხარდა, ქოძირთების დედაკაცებმა გაქცევა არჩიეს და მოთქმა-ტირილით გაუდგნენ გზას. რუბაიონიც ყელის გზას დაადგა სამშობლოსაკენ. თავისი ერთადერთი პირმშო მატყლში გაახვია, გუდაში ჩასვა და ზურგზე მოიგდო. მირბის ქალი. ბიჭი კი კნავის გუდაში.

ერთი მოხუცი გაგლოითი წამოეწია ქალს:

— გაჩერდი და მითხარი, რა ღნავის გუდაში! — შესძახა გაქცეულს.

— არაფერი, შენი ჭირიმე, ჩემს ბიჭს ერთი კნუტი ჰყავდა, ძალიან უყვარდა. გადასაგდებად ვერ გავიმეტე და მოკლული შვილის მაგივრად თან ესღა მიმყავს, — შესტირა ქალმა.

არავინ იცის, მართლა ვერ მიუხვედა კაცი თუ არ იკადრა გაჩხრეკა, ერთი გადმოხედა და:

— იარე, კარგო ქალო, ღმერთმა ბედი მოგცეს, — ეს უთხრა და გზა მისცა.

ჩავიდა რუბაიონი სამშობლოში. აღარც გათხოვილა. თავი დადო იმ ერთ ვაჟზე და ძმების კერაზე გაზარდა. ბიჭს გადი (კატა) დაარქვა. ამ სახელმა გადამირჩინა გაგლოითებისაგანო. გადი კარგი ვაჟკაცი დადგა. შვილებიც კარგები დაზარდა. ამბობენ ერთი ნასწავლი კაციც დადგაო, ცომაყს ეძახდნენ თურმე. ახლახან გარდაცვლილა, ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!

ასე გადაშენდნენ ქოძირთები. მარტო იმ დიდ, კლდის ჩამონატეხ ქვას შემორჩა მათი სახელი, სადაც დაიღუპნენ, იმ კლდეს დღესაც ქოძირთების კლდეს ეძახიან.

ახლევათების რძალი

ბევრი, ძალიან ბევრი კარგი წეს-ჩვეულება ჰქონიათ ჩვენს წინაპრებს. ამ დაუწერელი წეს-კანონებით განაგებდნენ ისინი თავიანთ ცხოვრებას. მხოლოდ წესისა და ადათის მიხედვით ტარდებოდა იმ დროს ლხინ-ქორწილი, მიცვალებულსაც თავისი წესით კრძალავდნენ და ომსა თუ მშვიდობას ადათის შესაფერისად ხვდებოდნენ.

მაგრამ სადაც კარგია, იქ ცუდიც არის. უნდა ითქვას, რომ ბევრი რამ თუ კარგი იყო, ზოგი ცოტა უცნაური და მიუღებელიც მოჩანს. მაგალითად, ქალისა და უმცროსის უუფლებობა ავიღოთ. კი, ბატონო, ბავშვი პატარაა და ჭკუა დიდად არ მოეკითხება, მაგრამ რომ მოიზრდება, პატარას ჭკვა რომ მოემატება, მაშინაც რომ არა აქვს უფლება უფროსის სიტყვას არ დაჰყვეს?

ანდა ავიღოთ ქალი! არანაირი უფლება არა აქვს ქალს მშობლების, უფროსების ნებას წინ აღუდგეს! ძველი ადათების მიხედვით ქალი და ოჯახის უმცროსი მხოლოდ უფროსების ნება-სურვილს უნდა ემორჩილებოდნენ და მათ არანაირი უფლება არა აქვთ ეს წესი დაარღვიონ. ამ წესს კი რამ-

დენი ცუდი მოჰყვება, ამას, ახლევათების რძლის ამბავს მოგიყვებით და იქიდან შეიტყობთ.

დიდი და ძლიერი სალოცავია რაღი-ძუარი. ადრე ხატობაზე მის კარზე ოსეთის ყველა კუთხიდან მოდიოდნენ აქ მომლოცველები. ხატობა ისეთ დროს უწევდა, როცა სოფელში სამუშაოები მინელდებოდა. ესეც ხელს უწყობდა ხალხმრავლობას. უფროსებთან ერთად ახალგაზრდობაც არ აკლდებოდა დღეობებს და იმართებოდა ცეკვები, შეჯიბრი. ერთმანეთს ეცნობოდნენ სხვადასხვა სოფლებიდან მოსული ქალ-ვაჟები და ხშირად საბედოსაც ასეთი თავშეყრის ადგილზე ირჩევდნენ საქორწილო ბიჭები.

სალოცავი მაღალ მთაზეა აშენებული. მისასვლელი გზა ცოტა ძნელია, აღმართიანი. მაგრამ რაკი ახვიდოდით, თვალწინ ფართო მწვანე ველი გადაგეშლებოდათ. ათასი კაციც კი თავისუფლად დაეტეოდა.

ერთ წელიწადს რაღი-ძუარის ხატობის დღეებში საოცრად კარგი დარები დაიჭირა. დაიძრა ფეხშიშველ და ქუდმოხდილ მლოცავთა ჯგუფები. უხვად მოჰქონდათ შესაწირი. იმდენი ხალხი მოგროვდა, თვლა არ იყო. ჯავის, კუდაროს, ალაგირისა და რომელი ხეობის ოსს აღარ შეხვდებოდით აქ.

წესის მიხედვით ყველამ შეავედრა თავისი ოჯახი ყოვლისშემძლე ღმერთსა და სალოცავს. მერე კი გაიშალა სუფრები. უფროსები ქეიფს შეუდგნენ. ახალგაზრდებმა „სიმდი“ გააჩაღეს.

დღეობაზე ნარის აულიდანაც იყვნენ გადმოსულები. ერთი კაცი საქორწილო ვაჟითა და გასათხოვარი ქალით წამოსულიყო. საოცრად ლამაზი და ზრდილი ქალიშვილი იყო ფარიზეთი. მისი სილამაზით მოხიბლული ვაჟები სათითაოდ ცდილობდნენ ცეკვისას მასთან მოხვედრას. აქ იყო სანიკჯინელი ცარა დუდაითიც — ლამაზი, ტანადი, მოხდენილი ვაჟკაცი. დაინახა თუ არა ფარიზეთი, გული უჩვეულოდ აუძგერდა.

ცარა ღარიბი ოჯახის შვილი იყო, მაგრამ ვასთირჯის ქმნილებასავით სრულყოფილი გარეგნობა და საქციელი ჰქონდა. ისე გამოირჩეოდა თანატოლებისაგან, როგორც რიყის ქვებში მარგალიტი.

ჰოდა, ფარიზეთზე შეუვარდა გული ცარას. ცდილობდა „სიმდის“ დროს მის გვერდით მოხვედრილიყო. ფარიზეთმაც შეამჩნია მისკენ მსწრაფი ვაჟკაცი და ისიც სიამოვნებით ცეკვავდა მის გვერდით. თითქოს უსიტყვოდ, მხოლოდ თვალებით უგებდნენ უკვე ერთმანეთს...

ფარიზეთს ფარსზანგელმა ახლევაანთ ყარამანის ვაჟმა აზამათმაც დადგა თვალი. ქონებით გაამაყებული აზამათი შესახედად დიდი ვერაფერი შვილი იყო. დაბალი, დათვივით მოუხეშავი, უსიამო შესახედი. მოეწონა ფარიზეთი და ჯერ მის ძმას გაეცნო, გაუშინაურდა.

საღამოს, როცა ლხინი დამთავრდა და სუფრიდან ხალხი წამოიშალა, ცარამ თავის ბიძაშვილ გოგონას გაანდო თავისი გულისნადები და ფარიზეთის გაცნობა სთხოვა. გოგონამ ადვილად მოახერხა მათი გაცნობა.

მეორე დღესაც ჩუმჩუმად აპარებდნენ ერთმანეთისაკენ თვალებს ცარა და ფარიზეთი. ერთმანეთის სიყვარული თანდათან უცხოველდებოდა ქალ-ვაჟს. თავის მხრივ, არც აზამათი იჯდა გულხელდაკრეფილი, დაუახლოვდა ფარიზეთის მამასა და ძმას, სუფრაზე მიიწვია ისინი, პატივისცემა არ მოაკლო და სახლშიც მიიპატიჟა.

ჩათავდა რაღი-ძუარის დღეები. ყველამ თავის სახლს მიაშურა. ცარა და ფარიზეთიც თავ-თავიანთი გზებით წავიდნენ.

ახლადგაცნობილი ფარიზეთის სიყვარულმა ცარას მოსვენება დაუკარგა. ერთ მშვენიერ დღეს რამდენიმე ახლობელთან ერთად ვაჟი ნარისაკენ გაემგზავრა ქალის ხელის სათხოვნელად.

ნარში ნაცნობთან დაბინავდნენ და იქიდან, წესის მიხედვით, თავისი ძმა და ახლობელი მიუგზავნა ფარიზეთის მშობ-

ლებს ქალის ხელის სათხოვნელად. მოილაპარაკეს სტუმარ-მასპინძელმა. უარი არ უთქვამს ფარიზეთის მამას, მხოლოდ აგრძნობინა, რომ მცირე ურვადზე არ დასთანხმდებოდა მათ. ხელი ხელს დაჰკრეს და საქმე გაათავეს, ურვათზე კი მერე შეთანხმდებოდნენ.

შინ დაბრუნებული ცარა საგონებელში ჩავარდა: სად უნდა ეშოვა ამდენი ურვადი! ადგა და დედის ძმებთან წავიდა ყუდის ხეობაში. იქნება რამე წავიმუშავოო. აქ ისეთს ვერაფერს მოჰკიდა ხელი. ბიძებმა მრუდი გზა ურჩიეს. ჯერ იუკადრისა პატიოსანმა ვაჟმა. ქურდობით შეძენილი ქონება არ მინდაო. მერე კი რომ დაუფიქრდა, სხვაგვარად ფარიზეთს დაკარგავდა, მიხვდა სხვა გზა რომ არა ჰქონდა ამჟამად. ამისი გაფიქრება გონებას ურევდა ვაჟკაცს. ბოლოს გადაწყვიტა, როგორც კი ურვადის საქმეს მოათავებდა, ამ გზასაც მაშინვე მიანებებდა თავს. კარგა ხანს ცარა აღარ გამოჩენილა სოფელში.

ზაფხულის მიწურულს აზამათმაც გაგზავნა შუამავლები ფარიზეთის მამასთან. იცოდა, ცარას დანიშნულივით ითვლებოდა ქალი, მაგრამ არ მოერიდა მის წყენას. ხარბი იყო ფარიზეთის მამა, მდიდარმა კაცმა სთხოვა ქალიშვილის ხელი და უარს როგორ ეტყოდა! დიდ ურვადს არ შეუშინდა აზამათი და საქმეც უცბად მოგვარდა. უმალ გადაურეკა, რაც ურვადით გადასახდელი იყო საქონელი, სხვაც ბევრი ჩაუთვალა და ქორწილიც დააჩქარეს, გიორგობისთვის დანიშნეს.

ფარიზეთის ტირილის ხმა ცასა სწვდებოდა, მაგრამ ხარბი მშობლის გული ვერაფრით მოალბო. ცრემლად იღვრებოდა ქალი, მუხლმოდრეკილი ევედრებოდა მამას, თავს ნუ მომაკვლევინებ, ნუ მიმცემ იმას, ვინც არ მინდაო. მაგრამ არად ჩააგდეს მისი ცრემლები, ქალს გათხოვებას ვინ ეკითხება, ვინც ურვადს მეტს გადაიხდის ქალიც იმისიაო, — ფიქრობდა ფარიზეთის მამა. მართალია, ფარიზეთის ძმა დის მხარეს იყო, ცარაც მოსწონდა სასიძოდ, გულკეთილი და წესიერი

ვაჟკაცი, მაგრამ ის ოჯახში უმცროსი იყო და წესისამებრ, უმცროსი უფროსის სიტყვას ვერ გადაუხვევდა.

დადგა გიორგობა და ქორწილიც გადაიხადეს. ქალი წაიყვანეს.

გავიდა სამი კვირა და ცარაც გამოჩნდა. საშოვრით დატვირთული ბედაურიც ჩამოიყვანა. მოსვლის უმალ გაიგო ფარიზეთის ამბავი. ელდა ეცა ვაჟკაცს, მოულოდნელობისაგან თვალთ დაუბნელდა. იარაღს წამოავლო ხელი, მაგრამ დედის ხელები კისერზე შემოეჭდო — მე მაპატიეო, შვილო, ნუ გამაუბედურებ, ყვავ-ყორნის საძიძგნს ნუ გამხდი, დაუმარხავს ნუ დამაგდებ ქვრივობით განაწამებ დედაშენსაო. ნელ-ნელა გონს მოეგო ცარა, ნელ-ნელა დაწყნარდა.

დრო ტაატით გადიოდა ცარასთვის. უხალისოდ მიდიოდნენ დღეები. ფარიზეთის სახე ერთი წამით არ სცილდებოდა ვაჟს თვალთაგან. გული შინ აღარ უდგებოდა და ისევ წასვლა გადაწყვიტა.

— გამიშვი, დედა, გულს გადავაყოლებ, დარდი ნურაფრისა გექნება, ზამთრისთვის მოგიმარაგებ ყველაფერს.

— მე არაფერი მინდა, შვილო, ოღონდ შენა გხედავდე, — უთხრა დედამ, მაგრამ დარდისაგან ამოღამებულ შვილის თვალებს რომ შეხედა წინააღმდეგობის გაწევა უაზრობად ჩათვალა, — სულ ერთია, ახლა ამას შინ მაინც ველარაფერი დააკავებსო, — გაიფიქრა.

ცარამ ხორბალი, პირუტყვის საკვები, შეშა მოუმარაგა ოჯახს, მერე შეჯდა თავის ქურანზე და გასწია. კაცმა არ იცის, საით.

გაილია გრძელი ზამთარი და გაზაფხულიც დადგა. ცარა კი არა და არ ჩანდა. ყოჩაღი დედა ჰყავდა და ოჯახს უკაცობა არ დასტყობია. შვილის დარდი მაინც თავისას შვრებოდა. ხან ვის ეკითხებოდა და ხან ვის მის ამბავს, მაგრამ არავინ არაფერი იცოდა.

ცხოვრობდა ფარიზეთი აზამათის ოჯახში. კარგი ქალი დადგა, მშრომელი, გამრჯე, თავმდაბალი, წყნარი. მაგრამ ცუდ ოჯახში ჩავარდა. ყველა მოახლესავით იყენებდა. აზამათიც ცუდად ექცეოდა. უმიზეზოდ ლანძღავდა, აგინებდა, ნაყიდს ეძახდა.

სანამ ურვადის საფასურს არ აანაზღაურებ, ძაღლისშვილო, მანამდე სული რომ ამოგძვრეს, დღე და ღამე უნდა იშრომოო! — დასძახოდა.

შრომა იმდენს რას დააკლებდა საცოდავ ქალს, რამდენადაც ავი ოჯახის წევრები. წამდაუწუმ ასაყვედურებდნენ: შენი თავი დიდი ურვადი დაგვიჯდაო. ხშირად ცარას სახელსაც უხსენებდნენ, იმის გამო რომ უარზე იდექიო. დღენიადაგ სიცოცხლეს უწამლავდნენ. არც სიტყვითა და არც ხელით შეურაცხყოფა არ აკლდა სიტყვაუთქმელ და მორჩილ რძალს.

ერთ დღესაც ნაცემი ქალი თავის მშობლებთან გაიქცა. მამამ გამოსარჩლების ნაცვლად სცემა და ისევ უკან გააგდო. ალბათ შენი ბრალი იქნება, კარგად არ იქცევიო. თქვენს მტერს, რაც უკან მიბრუნებულ ქალს აზამათმა დღე აყარა. ისე ულვთოდ სცემა, მისი ცოდვით ქვა იწვოდა, ამის შემდეგ ჯოჯოხეთად ექცა ფარიზეთს ცხოვრება.

დადგა ვაცილას დღესასწაული და მოულოდნელად სოფელში ცარაც გამოჩნდა. გვარიანი საშოვარი მიიტანა ოჯახში. სახლის საქმეებს გულიანად მოჰკიდა ხელი და თავიც მხიარულად ეჭირა, თითქოს მის ცხოვრებაში არაფერი ისეთი არ მომხდარა. აღარც სადმე წასვლა უხსენებია.

ვაცილას სალოცავი ფარსზანგშია. ყველა დღესასწაულზე მიდიოდა და ცარაც იქით გაეშურა. მიდიოდა კიდევ უფრო დამშვენებული, კარგად გამოწყობილი. ცარა მთელი დღეობის თვალი იყო. ცეკვასა თუ ქეიფში ტოლს არავის უდებდა. ყველა თავისთან ეპატიჟებოდა. აზამათიც რაღაც ეშმაკად შეუჩნდა და სულ მასთან ტრიალებდა. ცარა ძლივს იკავებდა

ბრაზს, მაგრამ საქვეყნოდ დღესასწაულზე აყალმაყალის ატეხვას ერიდებოდა. აზამათმა სოფლის რჩეული ვაჟკაცები მიუგზავნა და სახლში მიიპატიჟა შესარიგებლად. ცარას ჯერ აბრაზებდა მეტოქის საქციელი, მერე მოლბა და მათ ნებას დაჰყვა.

ვახშმად აზამათის სახლში მივიდნენ. ცარას ფიქრი ტვინს უბურღავდა: რას უპირებდა აზამათი. წრფელი გულით უნდა გამოისყიდოს დანაშაული — საცოლე რომ წაართვა, თუ გამოსაცდელად მიიტყუა ოჯახში?

მხოლოდ ნავახშმევს გაიგო სტუმარმა აზამათის ჩანაფიქრი: შორიდან მოუარა, თოფ-იარაღი შეუქო, მერე შეამხანაგება სთხოვა საშოვარზე წასვლის დროს. ცარამ არც უარი უთხრა და არც იმედი მისცა. იცოდა, საიმედო ამხანაგი ვერ იქნებოდა უპირო და გაუტანელი აზამათი.

— სტუმარს ლოგინი დაუგეთო, — შეახსენა ქალებს აზამათმა და ორივენი გარეთ გამოვიდნენ.

აზამათის ოჯახში ფარიზეთის დანახვის წყურვილმა შემოადგმევინა ფეხი ცარას. თვალებით სულ მას დაეძებდა, როგორმე თვალი მოეკრა, მაგრამ ვერსად დალანდა. ახლა სასტუმრო ოთახში შებრუნებული მოულოდნელად წაადგა თავზე ლოგინის გაშლით გართულ ქალს. უხერხულად რომ არ ეგრძნო თავი, შინაურულად მიესალმა:

— საღამო მშვიდობისა და ბედნიერება ნუ მოგშლოდეს, ფარიზეთ.

სანატრელი ხმის გაგონებაზე ცახცახი აუვარდა ქალს, ენა დაება. თვალებითღა მიესიყვარულა და რაღაცა გაურკვევლად ჩაილუღლუღა. ცარამ შემოსულ აზამათთან გააბა საუბარი. აზამათმა ქალს გადახედა:

— რაღას უდგახარ, სტუმარს მოემსახურე!

ფარიზეთმა სკამი შესთავაზა სტუმარს, მერე ფეხთ გახადა, გობით ნელთბილი წყალი შემოუტანა და ფეხების ბანვას შეუდგა. ცარა გრძნობდა მის ფეხებზე შეხებისას როგორ

უთრთოდა ქალს ხელები და ვაჟსაც გული საამოდ უძგერდა. აზამათი იქვე იდგა და სტუმრის იარაღს უკირკიტებდა.

ქალმა გასვლისას წამით შეხედა ვაჟს. სულ წამით შეხვდა მათი თვალები ერთმანეთს, დაფარული სიყვარულის ისრებით დაიკოდა მათი გულები...

უხმოდ გავიდა ფარიზეთი ოთახიდან. ის ღამე თეთრად გაათენა ცარამ. ბინდზე ადგა, შეკაზმა ცხენი და გამოუმშვიდობებლად წავიდა.

მას შემდეგ ხან რას მოიმიზეზებდა ცარა, ხან რას და ფარსზანგში ამოყოფდა ხოლმე თავს. ბიძაშვილი ჰყავდა ამ სოფელში გათხოვილი და მასპინძლის ძებნა არ სჭირდებოდა. ერთხელ გამოუტყდა ბიძაშვილს, უთხრა ხშირი სტუმრობის მიზეზი და დახმარება სთხოვა; იქნებ შეეხვედრებინა რამენაირად ფარიზეთი.

ტყეში ფიჩხზე წაყოლა სთხოვა ფარიზეთს ცარას ბიძაშვილმა და იქ შეახვედრა ქალ-ვაჟი ერთმანეთს. მათი საცოდაობით გული დაეთუთქა ცარას ბიძაშვილს და გაეცალა იქაურობას. დიდხანს ისხდნენ გვერდიგვერდ უბრად. მერე ქალმა ცრემლების ყლაპვით უამბო თავისი გამწარებული ცხოვრების შესახებ. ერთმანეთის ალერსით გული იჯერეს. მერე ცარამ გაანდო გულის წადილი. რომ მის გარეშე ცხოვრება არ შეეძლო და თუ ქალი თანახმა იქნებოდა ყობანში გაპარულიყვნენ ცარას დედის ძმებთან, თან ცარას დედაც წაეყვანათ. ფარიზეტმა უცბად ვერაფერი მოიაზრა. აქეთ ის აშინებდა მამამისსა და მის ძმას რამეს აუტეხდნენ აზამათი და მისი ძმები: სირცხვილსა და თავის მოჭრასაც ერიდებოდა. ცოტა მოფიქრების დრო მომეციო, შეევედრა.

მას შემდეგ დათქმულ დროს ხვდებოდნენ შეყვარებულები. ცარა სოფელშიც აღარ ამოდიოდა, ტყეში ამოჩემებულ ადგილზე იჯდა და უცდიდა ქალს. ვინ იცის, როდემდე გაგრძელდებოდა მათი შეხვედრები, ბოლოს გაქცევაზე რომ არ

დაეთანხმებინა ქალი. დროც დანიშნეს. ალბათ კიდეც შეისრულებდნენ წადილს, მაგრამ უბედურებას არ სძინავს.

ერთხელ ენამყრალი აზამათი რაღაცაზე წაეჩხუბა თავის მეზობელს — ცარას ბიძაშვილს და ბილწი სიტყვები აკადრა. გაცეცხლებულმა ქალმა ვერ მოითმინა და წამოსძახა:

— თავი ვაჟკაცად მოგაქვს და ცოლი კი თავზე ლაფს გასხამსო.

ამისი თქმა და ახლევათების გადარევა ერთი იყო. ეცნენ ქალს და დანა დააჭირეს ყელზე: თქვი, რა იცი ფარიზეთზეო. მეტი გზა არ ჰქონდა და ქალმა გათქვა ცარა და ფარიზეთი.

ამ ორომტრიალში ფარიზეთმა ვერაფერი მოახერხა. წაავლეს ხელი ქმარმა და მაზლებმა, მკლავები უკან გაუკრეს, თმები და ცხვირი მოაჭრეს, საკუთარი საცვალი კისერზე ჩამოჰკიდეს, ვირზე უკუღმა შესვეს და სოფელი შემოატარეს. ენა ვერ აღწერს ფარიზეთის საცოდაობას. ქვა და ხე ინაწილებდა მის წამებას, ადამიანებმა კი გული გაიქვავეს. სისხლში არეული მისი ცრემლი რწყავდა სოფლის ოკრობოკრო ბილიკებს. ღონემიხდილი, გასავათებული ქალი ახლა ულაყ ცხენს გამოაბეს კუდზე და გააჭენეს. ნაფლეთებად იქცა მისი თოვლივით თეთრი სხეული.

იმ დღესვე მიაღწია ცარას ყურამდე ამ თავზარდამცემმა ამბავმა. ღმუილი აღმოხდა ვაჟკაცს მკერდიდან, თოფ-იარაღი აისხა და ტყეს შეერია. დაუწყო დევნა აზამათს. პირისპირ უნდოდა შეხვედრა, თორემ ქურდულად ყოველთვის შეეძლი მისი მოკვლა. ახლევათების გვარი ფეხზე იდგა ცარას დასახვედრად.

რაღი-ძუარიდან მომავალ აზამათს სრულიად მოულოდნელად შეეფეთა ცარა. თოფის ხმარება ვერცერთმა ვერ მოასწრო და ხმლებზე გაივლეს ხელი. ღონიერი იყო დათვივით უხეში აზამათი, მაგრამ მოხერხებაში ცარას ბადალი არ ჰყავდა. დაიქნია ალმასივით მჭრელი ხმალი და აზამატის თავი თავქვე დაგორდა. ხმლის ჩაგება ვერ მოასწრო ცარამ, უკ-

ნიდან მომავალი ახლევათები წაადგნენ. ვეფხვივით დატრიალდა ცარა. მარცხნივ თუ მარჯნივ ელვასავით კვეთდა მისი ხმალი თავდამსხმელთა მკლავებს, თავებს, მაგრამ რიცხვით აჯობეს და აჩეხეს უშიშარი ვაჟკაცი. ასე დაიღუპა ცარაც. წაიღეს ახლევათებმა დაჭრილები და დახოცილები. ცარაც აიტანეს თანასოფლელებმა და მამა-პაპის აკლდამაში დაასვენეს.

დიდხანს მოთქვამდნენ ქალები ცარასა და ფარიზეთის უიღბლო სიყვარულზე.

მწყემსის ფიქრები

ბრიტათის მაღალ, ლამაზ მთებზე აძოვებდა ცხვრის ფარას ქსანელი ბიჭი ყალცი.

თავად მას ვინ მისცემდა ამდენ პირუტყვს — ლამის ათას სულიან ფარას, მაგრამ ყალცი მაინც თავისად თვლიდა, საკუთარივით უყვარდა და უვლიდა. იმ ამწვანებულ საძოვრებზე რომ გაიშლებოდა ცხვარი, ყალცის სიხარულით უძგერდა გული.

უკვე რამდენი წელია ყალცი მდიდარ ქუძაგს მწყემსად ედგა. ამ ხნის განმავლობაში ფარას ერთი ბატკნის ყური არ დაჰკლებია. მაგრამ ქუძაგს მადლობის სათქმელად ენა არ მობრუნებია. ისე, შარშან ყალცემ სამუშაოს მიტოვება რომ გადაწყვიტა, მაშინ კი მოლბა ქუძაგი, ათი ცხვარი გამოიმეტა მისი ამდენი წლის შრომის სანაცვლოდ.

რა ექნა საწყალ ყალცისაც, დათანხმდა ისევ, რაც არის, არისო, — იფიქრა — ცხოვრების დასაწყებად იკმარებსო. ყალცის ყველაზე მეტად თავისი დიდი თეთრი ძაღლი ქორისა უყვარდა. ალბათ, ამაზე უფრო ჭკვიანი, ცხოველებს შორის, დედამიწაზე მეორე არ მოიძებნებოდა. მთელ ფარას წამოასხამდა საძოვრიდან, მყინვარის ძირში წყლის დასალევად ჩარეკავდა, დაარწყულებდა და ისევ ადგილზე ამორეკავდა. რომელი ქურდი ან მგელი გაბედავდა ქორისას შიშით ფარას გაჰკარებოდა!

ყუდის ხეობელი მწყემსებიც მის სიახლოვეს აძოვებდნენ ცხვარს. ერთხელ კაცი მიუგზავნეს ყალცის, დაგვითმე შენი

ძაღლი და ათ ცხვარს მოგცემთ, დამატებით კიდევ ერთ სახედარს, ოჯახის მარჩენალ სახედარსო. ყალციმ სიტყვაც არ დაასრულებინა, მთელი ყუდის პირუტყვი პატრონებიანად რომ მომცეთ, ქორისას მაინც ვერ შეველევიო.

მას შემდეგ ყალცი ყუდელ მწყემსებზე განაწყენებული იყო: როგორ გამიბედეს და ასეთი არასაკადრისი საქმე შემომბედესო.

ათენგენობის წინა კვირას, ერთ უმთვარო, უკუნ ღამეს ყუდელებმა ჯავრის ამოყრის მიზნით, უფრო უგვანი რამ იკადრეს — ფარიდან ერთი ჯგუფის მოწყვეტა სცადეს, მაგრამ ქორისამ დროზე შეიტყო მათი მოსვლა და ხმამაღალი ყეფით იქაურობა გააყრუა, ყალციმაც ერთი-ორი ტყვია ისროლა და „ყოჩაღი“ ქურდები თავქუდმოგლეჯილები გაცვივდნენ.

მათ გასაბრაზებლად ყალცი წამოჯდებოდა ხოლმე ბექობზე და ზარივით ხმით შემოსძახებდა სიმღერას. გაღმით ხევები და ძაღალქომის ხეობა ბანს აძლევდნენ მის სიმღერას:

„ჰეი, ვარაიდა! რომ მომატაცებინა
ლამაზი ქალი ყორნისიდან.
ანდა რომ შემაწირვინა
ყუდელ თავქარიანებისთვის ჩემი ქორისა“.

ასე მღეროდა ყალცი ყუდელი მწყემსების ჯინაზე და, თქმა არ უნდა, ძალიან გაახარებდა ამ სიმღერით ყუდელებს.

ასე მიითვლიდა ყალცი თავის წუთისოფელს. ვინც მწყემსის ცხოვრება იცის, მან ისიც იცის, რომ დიდ ჯაფას დიდი სიხარული ცვლის, უზომო შიმშილს — სიმაძღრე.

ზამთარი მოახლოვდა და ქუძაგმა თავის ვაჟთან ერთად ყალცი ზამთრის სადგომების შესაგულებლად გაგზავნა. გზად გუჯარეთზე უნდა გაევლოთ. ქუძაგს აქ ახლო ნათესავები

ჰყავდა და ქუძაგის ვაჟმა და ყალციმაც ღამის გასათევად მათ მიაკითხეს.

მთელი ორი დღე ვეღარ შეძლეს აქედან დაძვრა, ისეთი ავდარი დადგა. ყალცისაც რა ენაღვლებოდა, ასეთი შეძლებული და ხელგაშლილი მასპინძლები აღარც ეთმობოდა, განსაკუთრებით კი მათი ლამაზი ქალიშვილის ასინეთის დატოვება ეძნელებოდა... პირველი დანახვისთანავე შეუვარდა ყალცის გული ამ ქალიშვილზე, თითქოს ციური ანგელოზი გამოცხადებოდეს. გულში გაივლო: „ნეტავ, ეს გოგო ჩემი იქნებოდეს და წყალსაც წაუღია ქუძაგი თავის ვაჟიან-ქონებიანად“.

მოსაღამოებულზე ასინეთი კუნძზე კვარს ჭრიდა. ლოყები ასწითლებოდა. ყალციმ ვეღარ მოითმინა, მიუახლოვდა წყნარად და უთხრა:

— მომეცი, ლამაზო, მე დაგიჭრი კვარს!

— მერე და ქსანელო, შენოდენს მე ვეღარ შევძლებ?

ყალციმ არც აცია, არც აცხელა და მასპინძლის ქალიშვილს მკლავზე ხელი მოჰკიდა.

ასინეთიც კაი სასიკვდილე ვინმე გახლდათ: მოუქნია საკვარე ფიცრის ნაჭერი და მოსცხო ყალცის თეძოებზე.

— ეჰ, ლამაზო, შენი დარტყმა მტკენოდა, რაღა ბიჭი ვიქნებოდი! — ღიმილით უთხრა ყალციმ.

— აქედან მოუსვი, ქსანელო, თორემ წიწილასავით მოგიქცევ ქვეშ და ვეღარავინ აგაყენებს!

სიტყვას სიტყვა მოჰყვა და ყალციმ და ასინეთმა ძველი ნაცნობებივით გაუგეს ერთმანეთს. კვარიც დაუქუცმაცა ასინეთს, ასინეთმაც ღამით ქალამნები დაუბერტყა, ახალი თომი ჩაუფინა, პაჭიჭებიც დაუსუფთავა.

მეორე დილით ცა მოიწმინდა. ყალცი და მისი თანამგზავრი გზას გაუდგნენ. სოფლის წყაროსკენ რომ ჩაიარეს, ასინეთი წინ შემოხვდათ წყლით სავსე დოქით ხელში.

ქუძაგის ვაჟი წინ მიდიოდა, ყალცი უკან მისდევდა. ასინეთის დანახვაზე ნაბიჯი შეანელა, მივიდა ქალიშვილთან.

— აბა, კარგად დარჩი, ლამაზო და ერთხელ კიდევ დამალევინე წყალი, — უთხრა ასინეთს. თავს მხიარულად აჩვენებდა, მაგრამ შიგნით, გულზე კი განშორების სევდა ლოდად აწვა.

ქალიშვილმაც აუვსო ჯამი წყლით და მიაწოდა. გულკეთილი ღიმილით შეხედა სახეში ყალცის. მასაც უგემრიელესად ეჩვენა მისი მიწოდებული წყალი და ჯამი ბოლომდე გამოცალა.

— ახლა მშვიდობით, ასინეთ, მომეცი ხელი. მე მივდივარ.

— მშვიდობით გევლოს, ქსანელო, ოღონდ ნუ დაგვივიწყებ. შემოიარე ხოლმე.

გაბრუნდა ყალცი, მაგრამ ფეხები უკან რჩებოდა.

„ეჰ, ნეტავ კიდევ დამელია ის წყალი“, — ფიქრობდა გულნაღვლიანი.

პატარა მანძილი რომ გაიარა, უკან მოიხედა: ასინეთი იდგა, მხარზე დოქი შემოედგა და თვალებით მიაცილებდა ყალცის...

* * *

გამოზაფხულდა. ყალციმ ცხვარი კვლავ იმ მთაზე არეკა, სადაც შარშან აძოვებდა. რა თქმა უნდა, ქორისასთან ერთად. საკუთარი ცხვარიც უკვე ოც სულამდე გაუხდა.

მაგრამ წლეულს ყუდელ მწყემსებს ყალცის სიმღერა აღარ გაუგონიათ.

უკვირდათ, ნეტა რა დაემართა იმ უბედურს, რატომ აღარ იღებს ხმასო. უყურებენ და ხედავენ, ზის კლდის თავზე გაუნძრევლად, გასცქერის ფარას და ადგილიდან არ იძვრის.

— ალბათ, ჯადო თუ გაუკეთა ვინმემ, თუთირის[1] წყევლამ უწია, — ამბობდნენ ყუდელები.

ქორისაც პატრონს არ შორდება. თუ ფარა შორს წავა და პატრონი შეუყვირებს, მაშინ იძვრება მათ მოსაბრუნებლად.

ზის ასე ყალცი თავის ნაბდის ძველაზე და იყურება შორს, ხეობის სიღრმისაკენ.

კლდეებსა და ქვებს ეხეთქება ხევის წყალი და აქაფებული გარბის ქვევით ხმაურით. მდინარის ტოტები მომცრო წისქვილებისკენ უხვევენ, დაატრიალებენ ბორბლებს და ისევ დედა-მდინარეს შეუერთდებიან.

მდინარის ორივე ნაპირზე პატარა სოფლებია გაყოლებული; ხმაურიც არ ისმის, ისე მიჩუმათებულან. ახლა ყველა სათიბადაა გასული და შინ მხოლოდ მოხუცებიღა არიან დარჩენილი. ზოგჯერ მამლის ყივილი ან ავი ნაგაზის ყეფა თუ გაისმის მაღლა მთებამდე.

ოკრობოკრო გზა სავმასიგის[2] ძირში მიიპარება, ხევის ცალ მხარეს ფერდობზე გადის, გორაკზე აიაღმართებს, ერთ კლდის ძირს გაუყვება და მოსახვევში ტყეში ჩაიკარგება.

გზაც და წყალიც ქვევით მიიჩქარიან, შორს, გაშლილი ველებისაკენ. იქ მზე უფრო ძლიერ აცხუნებს, იქ ცხოვრება უფრო იოლია... ცხინვალის ვენახებს რომ გასცდები და გზას კიდევ გააგრძელებ, გუჯარეთამდე ჩახვალ...

იქ ცხოვრობს ასინეთი, ის, ვინც შარშანს აქეთ ჩაუვარდა გულში ყალცის და მოსვენება დაუკარგა. ერთი ჩვეულებრივი ოსი ქალიშვილი იყო ასინეთი, მეტი არაფერი, მაგრამ ყალცის ანგელოზად ეჩვენება, ციდან ჩამოფრენილ ანგელოზად. განა ეგრე ხშირად ხვდებათ წილად მთიელ მწყემსებს ქალის მოფერება, მისი ტკბილი სიტყვა.

---

[1] თუთირი — წვრილფეხა პირუტყვის ღვთაება.

[2] სავმასიგი — შავი კოშკი.

ვისთვის გაეზიარებინა ახლა თავისი ფიქრები, სევდა! აქ, ამ მიყრუებულ მთებში ზოგჯერ ადამიანის ხმაც ავიწყდება. ყუდელი მწყემსები არიან და იმათთანაც შარშანს აქეთ უბრადაა. ზოგჯერ შურთხის სტვენას რომ მოჰკრავს ყურს, გული გაუხალისდება ხოლმე: რაღაც უცნაურ სიმშვიდეს ჰგვრის მათი სიმღერა. ღრმა ფიქრებში იძირება ზოგჯერ. თითქოს მწყემსი კი არა, მონადირეა და მაღალ კლდეებზე დაეხეტება. ვითომ რამდენიმე შურთხი მოკლა კიდეც. ამასობაში ვითომ შეამჩნია, თითქოს კლდის ქიმზე ჯიხვი დგას. ყალციმ თავისი ხირიმი დაუმიზნა. ბახ! — და მის წინ დაგორდა ჯიხვი. ჩამოიტანა ღამით თავის სახლში. ასინეთი და ბავშვები ელოდებოდნენ, ახლა ხარობენ, ეფერებიან ყალცის, მოკლულ ჯიხვს დასტრიალებენ...

— ეჰ, ქორისა, შენ მაინც გესმოდეს ჩემი ფიქრები, ჩემი დარდები, — ეუბნება ხოლმე ასეთ მომენტებში ყალცი ქორისას.

ასე ოცნებაში გავიდა რამდენიმე დღე. ერთი სიტყვით, ყალცის მშვიდი ცხოვრება დაერღვა. ყელში ლუკმა აღარ გადასდიოდა, ღამით ძილი ისე გაუკრთა, როგორც სიმღერაშია:

„თხილს ფოთოლი აღარ შერჩა,
ეს სიცივის ბრალიაო.
ძილი რომ არ მეკარება,
სიყვარულის ბრალიაო“.

ერთ ღამეს ხომ მთლად გაიტანჯა ყალცი. წევს ფარეხში საწოლზე თავის თბილ ტყაპუჭში გამოხვეული. გარეთ უკუნი სიბნელეა — თვალთან თითს ვერ მიიტან. ერთხანს ქვევით სოფლებიდან ძაღლების ყეფა ისმოდა. ყუდელი მწყემსების ძაღლებიც აღარ ჩერდებოდნენ. ვეღარც ქორისა ისვენებდა, რამდენჯერმე შემოურბინა პირუტყვს გარშემო. მივიდა ბარზის გორაკთან და რამდენჯერმე უცნაურად შეჰყმუვლა. ყუ-

დელმა მწყემსებმაც სტვენით უპასუხეს, ნადირი ხომ არ დაეცაო სადმე ფარას.

მთლად გაუკრთა ძილი ყალცის. ხან ერთ მხარს გადატრიალდებოდა, ხან – მეორეზე. არეული ფიქრები ვეღარ მოიცილა თავიდან. როგორც კი თვალს დახუჭავდა, გუჯარეთში აღმოჩნდებოდა, ვითომ წყალი სწყუროდა და ცივი, კამკამა წყალი მოურბენინა ასინეთმა. ყალცი ეცა ხელებში, მიიზიდა და გულში ჩაიკრა...

მოუსწროთ ასინეთის მამამ. ყალცი გამოიქცა... მოსდევენ უკან. გარბის, რაც შეუძლია. მუხლთ ეკვეთება. ამასობაში თოფის ხმა გაისმა... დაიჭრა ყალცი, ფეხები მთლად მოუდუნდა.

ძილში კრთებოდა, მერე გვერდს იბრუნებდა და ამოიოხრებდა.

მთელ ღამეებს ასე წამებით ატარებდა.

ერთ დილითაც თავის თავს უთხრა:

– მაშ ასე!.. თუ დაღუპვაა, დაღუპვა იყოს! რაც გინდა მოხდეს, სხვა გზა აღარაა. საუკუნოდ ქუძაგის მწყემსი ხომ არ ვიქნები.

უცნაური აზრი მოუვიდა თავში. ადგა, ჩაიცვა ქალამნები.

ცოტა ხანში ცხვრის ფარა ძაღალქომისკენ გაუყენა, სადაც ყუდელი მწყემსები აძოვებდნენ თავიანთ ცხვრებს.

რომ მიუახლოვდა, მოშორებით ბუჩქთან ჩაჯდა. დაუსტვინა ქორისას, კისერზე დაუსვა ხელი, მიეფერა, ჩანთიდან ყველის ნაჭერი ამოიღო და მთლიანად მას მისცა. რა იცოდა, უენო პირუტყვმა, რა ედო გულში ყალცის, სიხარულით მიელაქუცა პატრონს, ლოყა აულოკა. ყალციმაც გულში ჩაიკრა:

– მშვიდობით, ჩემო მეგობარო! ყალცის სიცოცხლეს გემო დაეკარგა და შენც გაგიმეტა... მშვიდობით, ჩემო ქორისა!

აცრემლებას ბევრი აღარა უკლდა ყალცის. მერე მივიდა ყუდელ მწყემსებთან. უთხრა, რომ შორს წასვლა ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ აძლევდა თავის ქორისას, თავის საკუთარ

ცხვრებსაც, ოღონდ უკლებლად უნდა მიჰგვარონ ქუძაგს ცხვრის ფარა. ყველაფერი აუხსნა, როგორც საჭირო იყო.

ყუდელი მწყემსები გაოცდნენ. ამ კაცს ან შემოაკვდა ვინმე, ან ეშმაკებმა აცდუნესო. დათანხმებით კი რას არ დათანხმდებოდნენ!

წამოვიდა ყალცი თავჩაქინდრული თავისი გრძელი კომბლით. გაუყვა ხეობის გზას. მდინარის პირას იარა ერთხანს, მერე ფერდობზე გავიდა, ააღწია გორაკს და მოსახვევში ტყეში გაუჩინარდა.

მესამე დღეს ჩააღწია ყალციმ გუჯარეთში.

აგერ ტყის ბოლოს, დაბლობშია ის სოფელიც, ასინეთის სოფელი.

აი, ეს კი ასინეთის წყარო. უკანასკნელად აქ დაემშვიდობა, აქ ჩამოართვა ხელი.

„ნუ დაგვივიწყებ, შემოიარე ხოლმე“, აქ უთხრა ასე.

ტყუილად ხომ არ მიიპატიჟებდა ასინეთი. მალე კიდევაც ნახავს. მაგრამ რას ეტყვის, რისთვის მოვიდა, რა უნდა! რა იცის საწყალმა მწყემსმა! თუმცა რა არ ხდება... იქნებ კიდევაც დაივიწყა, ან... — აღარ უნდოდა ფიქრის დასრულება.

ჩამოჯდა წყაროსთან. ცოტა დასვენება, სულის მოთქმა უნდოდა. იქნებ ვინმე წყალზე მოვიდეს, კითხავს წინასწარ.

მართლაც, ცოტა ხანში ხელში თუნგულით ფეხშიშველა პატარა გოგონამ მოირბინა.

— ვისი გოგონა ხარ, ჩემო მზეო? — ჰკითხა ყალციმ.

— მე დედიკოსი ვარ.

— აბა, ასინეთს არ იცნობ?

— როგორ არ ვიცნობ. აი, იმ დღეს რომ გათხოვდა, იმას ხომ?

ყალცის თვალთ დაუბნელდა, სული თითქოს მოსწყდა და სადღაც გაფრინდა. თავი დაუმძიმდა, თითქოს ვიღაცას ურო ჩაერტყას თავში.

ერთხანს გაშტერებული იჯდა. ფიქრი გაეფანტა. მერე წამოდგა და წავიდა, სხვა გზით წავიდა. აღარ ასულა საძოვრებზე, ბრიტათის მთებს აღარ დაბრუნებია.

მას შემდეგ აღარ უნახავთ ყუდელ მწყემსებს ყალცი. ზოგი ამბობდა, თურქეთს გადაიკარგაო, ზოგი ბაქოს ასახელებდა, ნავთობის სარეწებზე მუშაობსო, ზოგმა ამერიკაშიც ამოაყოფინა თავი.

დღემდე არავინ იცის, მისი ასავალ-დასავალი. ძებნით კი, ვინ შეიწუხებდა თავს, ვინ მოძებნიდა საწყალ მწყემსს...

ოქროს ძალი

პურის მომტანი

I

გულს ანათებდა ვალაგქომის[1] სოფლის ნათესები. საჯილ-ხოხიდან[2] მონაბერი ნიავი ზღვის ტალღებივით არხევდა ჯეჯილს. უკეთესს ნახავდა ადამიანის თვალი?! გაზაფხულზე, თოვლილღვობის დროს, კარგი დარები დაიჭირა და ახლა ამიტომ ბიბინებდა ჯეჯილი საამოდ.

— წლევანდელ ხორბალს ჩვენი ბელლები ვერც კი დაიტევს.

— მაგას ნუ იტყვი, შენი ჭირიმე, სანამ კალოს პირზე დახვავებულს არ დაინახავ...

ასე საუბრობდნენ ნათესების ცქერით დამტკბარი მთიბავები.

უკანასკნელ მოსაუბრეს უნდოდა ეთქვა, თუ როგორ დაისეტყვა ერთხელ მწიფობაში შესული პური. მაგრამ ვერ გაბედა, სიტყვა შუაზე გაწყვიტა. ერთმა მათგანმა თავთავი ხელის გულზე მოფშვნიტა და ამხანაგებს აჩვენა.

— ამის მადლს ვენაცვალე, ერთი შეხედეთ, ერთ მარცვალს თუ ნახავთ ფშუტეს!

— მადლობა ხორვაცილას.[3] მისი სახელის ჭირიმე, — მიუგო მეორემ.

დილით ბალახის სათიბად არავინ წასულა. მამლის ყივილზე რომ დაიწყო წვიმა, საღამომდე ერთი წუთითაც არ

---

[1] ვალაგქომი — სოფლის სახელია.

[2] საჯილხოხი — მთის სახელია.

[3] ხორვაცილა — პურეულის ღვთაება.

შეწყვეტილა. საღამოს ღრუბლები გაიფანტა, ვახშმობისას კი ცაზე ერთი ნაფლეთიც არ დარჩენილა.

ზაფხულში ღამით მთიელი კაცი დიდხანს არ იძინებს ვახშმის შემდეგ. ახლაც მოღლილ სხეულს მოსვენება სურს, მაგრამ ახლა დასაძინებლად არავინ მიდის, მამაკაცთაგან ზოგი სახლის წინ ზის, ზოგი ბანზე, ზოგი საუბარში გართულა.

— თრთვილი თუ დადო, ნათესები გაგვიფუჭდება!

— საშიშია, არ გაიყინოს!

— თუ ქარი ამოვარდა, მაშინ არა უშავს.

— შემხმარი თავთავებია და იქნებ ვერაფერი დააკლოს.

„პური გაფუჭდება“, „პური გაფუჭდება“, ყველას პირზე ეს სიტყვები ეკერა. ერთმანეთს აიმედებდნენ, მაგრამ მარტო იმედი კმაროდა?!

— არიქა, ბიჭო, სახურავზე ადი, გაიგე, საიდან ქრის ქარი, — ამბობს ერთი.

ბიჭი სახურავზე ავიდა. სიო არსაიდან იძროდა და უმალვე ჩამოსძახა:

— არსაიდან არა ქრის!..

„პური დაიღუპება“, — გონებიდან არ სცილდება ეს სიტყვები ხალხს. ხანდახან ზოგიერთები სოფლის ბოლოში გარბოდნენ ნათესების გასასინჯად. უნდა გაეგოთ, თრთვილი დადო თუ არა.

— ნუ გეშინიათ. ღმერთის გაჩენილს ღმერთივე დაარჩენს, ხორვაცილა არ გაგვიმეტებს. გახედეთ საწყოს მთას! ღრუბლის ქულა გამოჩნდა, თუ გაიზარდა — ნათესებიც გადარჩება, — მხიარულად ამბობს სახურავზე ასული ერთ-ერთი მოხუცი.

მოსაუბრეებმა უმალვე მთისკენ იბრუნეს პირი.

— იქ რომ ნისლი გაჩნდება, ღრუბლებიც აუცილებლად ჩამოწვება, — ამბობს პირველი მოხუცი.

— ეჭვი არაა, ღრუბელიც იქნება, თორემ მარტო ნისლი საიდან გაჩნდებოდა?

ლაპარაკობენ... ერთმანეთს სათქმელს არ აცლიან. „ნუ გეშინიათ!“ მაგრამ აქ, სოფლის ქუჩაში, რად დგანან, რად არ იძინებენ, რას მიშტერებიან ზეცას, თუ არ ეშინიათ, ფიქრობს თითოეული მათგანი. „ეგ მისმა კერიამ იცის, ეშინია თუ არა“, — ამბობენ გულში. მაგრამ როდი ბრაზობენ, პირიქით, ერთმანეთს ემადლიერებიან.

იტყვიან: ნუგეში ღარიბისათვის სიმაგრეაო. სიმაგრეს ეძახიან, რაც უნდა მოკლებული იყოს იგი იმედს. ვალაგქომელებისათვის ის ღრუბლის ქულა მართლაც უკანასკნელი სიმაგრეა, ის ღრუბელი რომ გაიზარდოს, ხეებში რომ გაიშალოს, ნათესები რომ დაფაროს, მაშინ თრთვილის დადების შიში გაქრება, მაშინ ნათესები აღარ გაიყინება, გადარჩება.

ღრუბლის ხსენებაზე შინმყოფებიც გარეთ გამოცვივდნენ, ისინიც ალაპარაკდნენ, ერთმანეთს იმედს აძლევდნენ, რომ მოენდომებინათ, ყველა მოისვენებდა, დამშვიდებული წავიდოდა სამუშაოზე. მაგრამ ღრუბელი არ მატულობს, ნელ-ნელა კლებულობს, პატარავდება. ხალხს რომ არ ეწყინოს, სიმართლის თქმას ვერავინ ბედავს, თვალწინ ქრება მათი გადამრჩენელი, იშლება მათი უკანასკნელი სიმაგრე.

ხალხის ხმაურზე ძაღლები ყეფენ: უყეფენ, მაგრამ ვის, თვითონაც არ იციან. ყეფენ ისე, ტყუილუბრალოდ.

— ბეფო, დაამწყვდიე შენი ძაღლი, ღრუბელს უყეფს და გარეკავს, — შემტევი ხმით უთხრა ბეფოს მეზობელმა.

ბეფომ ძაღლს შეხედა. მართლა ღრუბელს უყეფდა. თუ მისი ძაღლის ბრალია, კიდევაც მოკლავს მას. იქნებ მართლა ასეა: გლახა ძაღლი ღრუბლებს უყეფსო... იყეფოს, რამდენიც უნდა, მაგრამ ახლა კი მეტისმეტია.

მხიარული ახალგაზრდები ამის გამო სხვა დროს ბევრს იცინებდნენ, მაგრამ ახლა სიცილი აზრადაც არავის მოსვლია.

— შეევედრეთ, შეევედრეთ მთის ანგელოზებს, ვაცილას, — არიგებენ მოხუცები.

„ლოცვა-კურთხევით რა გამოვა?“ — ფიქრობენ გულში ახალგაზრდები.

— ჩემი საქონლიდან რაც გეკუთვნის, შემომიწირავს, ვაცილა, ნუ დაგვღუპავ, — ვედრებით ამბობს ძიბო სახლიდან გამოსვლისას. ანთებული სანთლით შევიდა ბაკში, საქონელს შორის დადგა. თვალები დახუჭა და თქვა:

— შენი ჭირიმე, ვაცილა, ინებე, რომელიც გინდა.

შეჩვეული ერკემლებიდან ძიბო ერთს მიუახლოვდა, თითქოს მარილი უნდა მიეცა სალოკავად. რქაზე ხელი წაატანა, თავზე ფიჭის სანთელი დაამაგრა.

— შემომიწირავს, ვაცილა, ეს ერკემალი, ოღონდ პური გადაგვირჩინე, — წამოიძახა.

ძიბოს ხმაზე ხალხი სმენად იქცა. მოხუცებს ეგონათ, ვაცილა მიიღებდა გულით ლოცვას, გულით შეწირულ შესაწირავს! მოსაუბრეებთან მივიდა ძიბო, დალოცეს, უთხრეს: შეგიწიროს შესაწირავი, შენი ლოცვა მიიღოს...

კვლავ გახედეს ღრუბელს. ღრუბელი აღარ ჩანდა. გაქრა, მოისპო უკანასკნელი იმედი. ახლა რაღას ელოდონ! „ბევრი ლაპარაკი არას გვარგებს, პური დაიღუპა“, — თქვა ყველამ თავის გულში და ბრაზმორეული თითო-ოროლად შეშინებულნი წავიდნენ სახლებისაკენ.

სოფელმა მიიძინა. მაგრამ რას ვამბობ, არ დაუძინია, არა! ძნელია ამაღამ ვინმემ ღრმად დაიძინოს. ხმა არსაიდან ისმის. სიბნელემ შთანთქა ვალაგქომი. ხანდახან, აქა-იქ თუ გაიგონებს ადამიანი: „არიქა, ბიჭო, გაიქეცი ნათესებისაკენ, დაათვალიერე“.

II

უმთვარო ღამეში ვარსკვლავები ციმციმებდნენ, თვალი კარგად ვერ არჩევდა გზას. ვალაგქომელებს აღარავინ გაუგზავნიათ ნათესების შესამოწმებლად. ირიჟრაჟა. თეთრად შეჭირხლულმა არემარემ განთიადს თითქოს სინათლე შემატა.

ჯერ კიდევ გუშინწინ შემოუსვლელი თავთავები მთის გრილ ნიავთან თამაშით ვერ ძღებოდნენ, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ: აბა, ვინ უფრო გაუძლებს ქარსო. თითქოს ფეხი აუდგამთო ჩრდილოეთის საძოვრებიდან მოყოლებული ისე ღაღანებდნენ... ახლა შეხედეთ როგორ დაბერდნენ ერთ ღამეში. თავებდახრილებს მწვანე აბრეშუმის თაველი გაფითრებიათ და ცრემლი სდით. ტირიან თავთავები, ტირიან და ცრემლი წვეთ-წვეთად ჩამოსდით ღეროებზე. ასე მხოლოდ პატარძალი თუ იტირებს საზარელი ამბის გაგებისას.

ცხოველმყოფელმა მზემ სხივები უხვად გადმოაფრქვია. მაგრამ ვაი, რომ მისი ღირსეული შვილები, თავთავები, ვეღარ მიეალერსებიან. უბედურებს თრთვილი ადნებათ და ნატანჯი სახე უმუქდებათ. ო, საწყლებო, როგორ გამოიცვალეთ!

ითამაშოს ახალმა ქარმა ისე, როგორც სურს, დათრთვილულ თავთავებს რაღა აქვთ სასიხარულო, თუ ქარი მაინც არ მოეშვა, შეარხია, მაშინ მოხრილ კისრებს კავებით დაადებენ ერთმანეთს, წინააღმდეგობას გაუწევენ, არ გაეთამაშებიან.

იქნებ როდისმე ვინმეს გიჭამიათ მოყინული ხორბლის პური? ღოლოიანის ან ჭარხლიანის[1] გამოცხობისას, ვერ გაარჩევ: ღოლო უფრო შავია, თუ პური. იტირეს, იდარდეს ვალაგქომელებმა: „დავიღუპეთ, დავიქეცით“, მხოლოდ ეს სიტყვებიღა ისმოდა იმ დღეს, ახალგაზრდებმა პურის ანგელოზები და ხორვაცილა ახსენეს, მაგრამ ეს ხსენება წუხანდელ ლოცვას არ ჰგავდა. ახლა ერკემლებს აღარ სწირავდნენ, არამედ ძაღლის თავს, ვირის სისხლს: ყველა-ყველა, მაგრამ ახლა ხომ თივის თიბვაა საჭირო, მით უმეტეს, წვიმის შემდეგ ცელი კარგად ედება. საქონლით რომ პური არ იყიდონ, ნაწველითა და ხორცით რომ არ გაატარონ ზამთარი, რა ეშველებათ! საქონელს კი თივა უნდა. სადილობამდე ყველა თავის ნათესში გაჩნდა, შეამოწმეს, მერე თიბვას შეუდგნენ.

---

[1] ჭარხლიანი — ხაჭაპური, ყველგარეული ჭარხლის ან ღოლოს ფოთლებით.

აღარ ისმის მთიბავების „პეფ-ჰოფი“, აღარც მხიარული ხმები. ყველა დუმს. რაღა აქვთ სალარაკო. აგერ, თაბიაანთ მწყემსმა რაღაც წინანდებურად წამოიმღერა, მაგრამ ვიღაცამ შეუტია და ისიც გაჩუმდა. ხალხია დღეს სათიბში! ჩაქუჩის კაკუნი, ცელის წკრიალი ავსებს ჰაერს.

III

თემსირს ხნულის მხოლოდ ერთი ნაჭერი დარჩა სამხრეთით. სხვები სულ მოეყინა. იცოდა, რომ შუა ზამთრამდეც არ ეყოფოდა ეს და ნათესავებთან წავიდა. „ჩვენთან სამუშაო არაფერია, მათ რომ მივეხმარო, პურს გამინაწილებენ, — ფიქრობდა თემსირი. მაგრამ იმ სოფელსაც რომ უბედურება ეწია! ნახევრად მოცელილი ყანები ისე დაისეტყვა, რომ მოუცელავს კი არა, დაბულულებულსაც თავი აღარ შერჩენია.

რა ქნას ახლა თემსირმა? ცხენი არ ჰყავს; სხვა დროს, როცა დასჭირდებოდა, იქირავებდა ხოლმე. ახლა ვიღასგან იქირაოს, ყველას თვითონ სჭირდება, თავისი ოჯახისათვის.

მთის მწვერვალები თოვლით შეიმოსა. დაიწყო ავი ზამთარი. ხალხმა თავგანწირვით დაიწყო პურისა და თივის დაბინავება. საქონელი სათიბებს ეტანება — შემოდგომა ხევებში მიიპარება. სიცილით კვდება ზამთარი. არავის უყვარს ის მუქთახორა, მაგრამ მაინც მოდის და მოაქვს სუსხი, ყინვა, თოვლი ველებს, კლდეებს, არემარეს აკანკალებს.

ერთ ღამეს ჩუმად შემოიპარა თოვლი, თეთრი სქელი ქურქი გადააფარა არემარეს. რა შეუპოვარია პიტალო კლდეები, როდი იკარებენ თოვლს, დამცინავად გასცქერიან მიდამოს, ზამთრის სამოსელში გახვეულს.

ახლოვდება შობა, ახალი წელი, თემსირის გოდრები კი ცარიელი ყრია.

ვახშმობაა. ოჯახის წევრები კერიის ცეცხლს ირგვლივ შემოეხვივნენ. სველი არყის ფიჩხი ჯერ შიშინებს, ბოლავს, მერე უცბად იწვის. თემსირი ზის სკამზე, ცეცხლს მიშტერე-

ბია, კრინტს არ სძრავს, მშიერი ბავშვებისათვის ვერ შეუხედავს, გული უკვდება. უმცროსმა გოგომ კარტოფილის ნაფცქვენი ნაცარში ჩაფლა და საკეცით ხელში დაუდარაჯდა, — შიშობს უფროსმა ძმამ არ წაართვას. ამაღამ კიდევ არა უშავთ! ხუთი სულისთვის ვახშმად გაუცრელი ქერის ფქვილის ორი პურია ნაცარში ჩაფლული.

რას იზამს ოჯახი? რითი იცხოვრებს, ამაღამ კი აქვთ, მაგრამ ხვალ, ზეგ? უნდა იღონონ რამე, სანამ პირში სული უდგათ. ზაფხულში ერთ ფუთამდე ყველი მოუგროვდათ. ცხინვალში რომ ჩაატანინა, ერთი ცხენის საზიდ ხორბალს მაინც აიღებს, მაგრამ რით წაიღოს, სად არის ცხენი? ცხინვალამდე კი ორი დღის სავალია. ზურგით ხომ ვერ წაიღებს? არა, მაინც უნდა იპოვოს რამე გამოსავალი.

შორს მიქროდნენ ღარიბი კაცის ფიქრები და ისევ მას უბრუნდებოდნენ: „პურის შოვნაა საჭირო. პური არ არის, მაშასადამე, უნდა ვიშოვოთ, ვიდრე ცოცხალი ვარ, რამე უნდა გავახერხო“. მაგრამ როგორ? რანაირად? ზის სკამზე გაუნძრევლად, თვალებით ნაკვერცხლებს მიშტერებია, მაგრამ ფიქრები დარევიან, ფიქრები, რომლებიც გადადიან მთაზე, ჩრდილოეთ ოსეთის მინდვრებს მიმოივლიან, სადაც ცხენებს დაუნანებლად უყრიან ქერს, დაქრიან საქართველოში, სადაც ცხელი პურის ორთქლი ეკვრებათ; უკან ბრუნდებიან და აქ, მშიერ ბავშვებს შორის ჩერდებიან.

„ცოცხალ კაცს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს! ჰოდა, თირსში, მთის იქით, უნდა წავიდე, ორ ფუთამდე ზურგით მაინც მოვიტან“. ამ აზრმა გაიმარჯვა. „ჩავალ ჯიმარაში, ჩემს ვაჟთან ერთად. იქ ნათესავები ორ-სამ ფუთ სიმინდს მომცემენ. მეორე ან მესამე დღეს უკან დაებრუნდები, ოჯახს პურს მოვუტან.

ღამით თემსირმა თავისი აზრი მეუღლეს ბადიმათს გაუზიარა, დილით კი დალაგყავში წავიდა. იქ მისი ბიჭი მოჯამაგირედ იყო. „მარტო რომ წავიდე, არ ივარგებს, ადამიანი

ამხანაგთან უფრო გულადია და გზაზეც ადვილად ივლის, თან ჩვიდმეტი წლის ბიჭი ერთ ფუთს მაინც წამოიღებს“, — ფიქრობდა ის.

თოვლის შუქზე გზა კარგად არც კი ჩანდა, თვალი ძლივს არჩევდა გზას. თემსირი და მისი ვაჟი, დოდი, გალვაანთაში ავიდნენ. სოფელს კიდევ ეძინა, სიცივით შეწუხებული ძაღლები ბრაზს მათზე იყრიდნენ.

გალვაანთამდე საურმე გზით მიდიოდნენ, იმას იქით კი საცალფეხო გზაზე სიარული გაუძნელდათ. ლაბირდრაღს[1] რომ მიუახლოვდნენ, კარგად გათენდა. ზაფხულობით ამ ადგილის ცქერით ვერ ძღებოდა კაცი.

წინ ხოძიხვერის კლდეზე ფართო გალავნიანი ციხეა. მის პირდაპირ დესიკახოხისკენ, ჩრდილო სათივეების ბოლოს, წითლად მოჩანს „ხოძის ყალასანის ძუარი“. ედისის ყალასანი! თვალები ძლივს სწვდება მის ვრცელ მინდვრებს.

საიდან გაჩნდა ამ მთებს შუა საოცარი მაღალი ბორცვი! რა გულქვაა ზამთარი! წყაროს ხსენებაც აღარაა. დევების ციხეც თოვლით დაფარულა. ყალაუბნის ხევში მორაკრაკე პატარა ნაკადულიც აღარ ჩანს. მთა და ბარი თეთრ სუდარაშია გახვეული.

მივიდნენ ყალასანში. ნაკვალევმა სვლა გაუადვილათ. თუმცა წასაღებიც არაფერი ჰქონდათ ცარიელი გუდისა და ტომრის მეტი.

თავისუფლად მიდიოდნენ.

— დიდხანს დავეხეტებოდი მწყემსად ამ ხეობაში, — დაიწყო თემსირმა, — ბევრი ტანჯვა მინახავს... მაგრამ, ნეტავ, ღმერთს ისეთი უდარდელი ცხოვრება მოეცა ჩემთვის, ერთ სამ წელს, საქონლის მწყემსვის მეტი არაფრის დარდი მქონდეს. თუ რომელიმე თხა მოკვდებოდა, მცემდნენ, მაგრამ ბიჭს მაგითიც არა უშავს რა! არასოდეს დამავიწყდება: ჩემი თხები

[1] ლაბირდრაღი — ადგილის სახელია.

კლდეებიდან ძირს ჩამოდიოდნენ და მტანჯავდნენ. ვაკეზე არ ჩერდებოდნენ, პირს არ აკარებდნენ მიწას, მათი თვალი და გული კლდეებისაკენ მიიწევდა. ერთხელ ორი თხა აღარ დამიბრუნდა. ვიფიქრე, წყლის დასალევად მაინც ჩამოვლენ-მეთქი, — მაგრამ შენც არ მომიკვდე. მარტო წავედი საძებრად. გამოქვაბულის ქვევით დამწვარ სათიბებზე გადავედი და ერთ მაღალ კლდეს წავაწყდი. დამინახეს თუ არა, წამოცვივდნენ და გაიქცნენ. გავედევნე, მაგრამ სანამ კლდეზე ავიდოდი, ისინი დესის კანირს მიუახლოვდნენ. ერთხელღა მოვკარი თვალი და მერე მიიმალნენ. „არა უშავს, მთის იქით რომელიმე საქონელთან მივლენ“, — ვთქვი და მათ მივყევი.

ის-ის იყო, მივუახლოვდი კიდეც, რომ ყაზბეგა შემომხვდა მხიარული სახით, ზურგზე მოკლული ჯიხვი ეკიდა. „აბა, მწყემსო, დანა გალესე, ბარკალს მოგიჭრი“, — დამიძახა მან. უარს რად ვიტყოდი, მაგრამ თხების დარდი მკლავდა.

— ახლახან ჩემმა თხებმა აქეთ გამოირბინეს, ხომ არ დაგინახავს ვის საქონელს შეერივნენ? — შევეკითხე. მან გაიცინა და მითხრა: „როგორ არა, აგერ ერთი მოკალი, მეორე მთისკენ გამექცა“. ვერ მივუხედი და გაბრაზებულმა დავუყვირე: — „რას მემასხრები!“ — „გიჟო, რომელ თხებზე მელაპარაკები, ისინი ხომ ჯიხვები იყვნენ კახირს იქით შემომეფეთნენ. ერთი მოკალი, მეორე კი გამექცა: შენი თხებიც ვნახე, კახირს იქით ფერდობზე ძოვენ“.

ყაზბეგამ ჯიხვი წამოიღო, მეც ჩემს თხებთან წავედი და ჩამოვრეკე. საღამოთი ისე ვიქეიფეთ, რომ შენი მოწონებული. ახლა განადგურდა, თორემ იმ დროს ჯიხვი ბლომად იყო.

პატარაობა აგონდება თემსირს და ლაპარაკით ვერ ძღება. თვითონვე იხიბლება მწყემსობის დროინდელი ამბების მოყოლით, ამ საუბარში მთის ძირამდე მიაღწიეს. დასხდნენ, ისადილეს. თემსირმა მთის მწვერვალისაკენ ხელი გაიშვირა და თქვა:

— აი, იმ მთის ბოლოში, ახლა რომ თოვლი ფარავს, დიდი კლდეა. ერთხელ ინჟინერს რაღაც ხელსაწყო ჩაუვარდა

ნაპრალში. რა ექნათ არ იცოდნენ. შემდეგ კი თოკით ჩამიშვეს და ამოვიტანე. ამისათვის ხუთი მანეთი მომცეს.

ზიმაგონკვილდიმს აუყვნენ. სვლა უფრო გაძნელდა. ფეხი უკან ცურავს, წელამდე თოვლს ძლივს მიაპობენ; კლდის ქიმებზე მოჭიდებით, ჯოხზე ბჯენით ნელ-ნელა მიიწევენ ზევით.

— თემა, საზაფულო გზა ხომ უფრო კარგია აღმართში? რად მივდივართ ამ გზით! — ეკითხება დოდი მამას.

— საზაფხულო გზა ზვავებითაა სავსე. ერთ ზამთარს ახბოლათის ბიჭებმა გროზნოში კარგა ბლომად ფული იშოვეს. უკან დაბრუნდნენ. ეს გზა არ იცოდნენ და საზაფხულო გზით წამოვიდნენ. როგორც კი მოუახლოვდნენ აი, ამ მთის ფერდობს, ზვავი დაიძრა და შენს მტერს, შვილო, მათ რომ ამბავი გადახდათ: არც ერთის კვალი აღარ ჩანდა. ბევრი ეძებეს, მაგრამ იმ უშველებელ ზვავში რას იპოვნიდნენ; გაზაფხულამდე თოვლმა შეინახა მათი გვამები.

შუადღემ მოატანა და მთის თავამდე ავიდნენ. თემსირი ბევრს ეეედრა მთის ანგელოზს, რომ უკან ხორბლითურთ მშვიდობით დაებრუნებინა მამა-შვილი.

— ეჰ, სისხლიანო მთაო! — მიდის და თან ლაპარაკობს თემსირი, — როცა ყაზბეგა მოკვდა, შენ მაშინ ძლიერ პატარა იყავი. იმ ზამთარს მისმა ვაჟმა ბარზაფცაგში მუშაობისას მამის ავადმყოფობა გაიგო და მარტო წამოვიდა. მთის მწვერვალამდე კარგად იარა, მაგრამ იქ ცუდი ამინდი დაუდგა, გზა აებნა და კლდეებში ჩაიჩეხა. შუა გაზაფხულამდე ვერ იპოვეს. სანამ თოვლი მთლად არ გადნა, მანამ მიწას ვერ მიაბარეს. საწყალი ისე დაჩეხილიყო, რომ ველარ იცნეს. ასეთი შემთხვევაც იყო: სამი ძმა განდუითები ხორბლის მოსატანად წამოსულიყვნენ აქეთ, სამივე ზვავის ქვეშ მოყვა.

დაღმართი ჩალიეს. აქედან დესის ყალაონამდე ვაკეზე უნდა იარონ, შემდეგ გაგვეთში ისევ დაღმართზე. რამდენ ძეგლსაც კი ხვდებოდა თემსირი, ყველას შესახებ უამბობდა

ვაჟს. წარსულის საშინელმა ამბებმა დოდის გული ატკინა, კიდეც შეშინდა და მამას ჰკითხა:

— თემა, ჩვენ კი არ აგვერევა გზა?

— გზა კარგად ვიცი, კარგ ამინდში არ მეშინია, — უპასუხა მამამ.

მზე სხივებს იკრეფდა, როცა ცოცოლთის გადასახედს მიაღწიეს. დოდიმ დაბლა ხეობაში მოსიარულე ეტლები რომ დაინახა, გაკვირვებულმა მამას ჰკითხა, რა არისო:

— ეგენი, ჩემო მზეო, ეტლებია, ჩვენსავით ზურგით როდი მიაქვთ ხორბალი. მეღირსება კი, შვილო, ექვსი ცხენის საზიდი ტვირთი ძაუჯიყაუდან ეტლზე რომ დავდვა და სახლში ისე მოვიტანო? ძომაღის ან როკის მთა რომ გაეხსნათ, ჩვენც ასეთ ეტლებით ვივლიდით.

ვახშმობის დროს თემსირმა, ჯიმარაში, თავის ნათესავებთან მიაღწია.

IV

მასპინძელმა გულთბილად მიიღო ისინი. კარგად დანაყრდნენ თემსირი და მისი შვილი.

თემსირმა დილით უკან დაბრუნება მოინდომა. დასვენებაც უნდოდა, მაგრამ ეშინოდა, ცუდი ამინდი არ დადგეს და გზა არ ჩამეკეტოსო.

ღამით თავის ტომარაში ორი, ხოლო დოდის გუდაში ერთი ფუთი ხორბალი ჩაყარა.

დიასახლისმა ოთხი მჭადი და პატარა ყველიც გამოატანა თან. დილით ადრე გამოემართნენ ჯიმარადან, დაუდეგარ, მშფოთვარე თერგს სქელი ყინული გადაჰკვროდა, მამა-შვილი მასზე გადავიდნენ და მალე გაგკათში აიაღმართეს.

ხეობაში არა უშავდა რა, ტვირთი მსუბუქი ეჩვენათ, მაგრამ ახლა აღმართში, თოვლს რომ მიარღვევდნენ, მისმა სიმძიმემ შეაწუხა ორივე.

„მზე დაბუდებას ვერც კი მოასწრებს და ჩვენ შინ ვიქნებით“, — ფიქრობდა თემსირი.

გუშინდელი გზით სურდათ წასულიყვნენ, მაგრამ სად დაღმართში სიარული და სად აღმართში. უტვირთოდ თუ ხარ, სულერთია აღმართი და დაღმართი, ახლა კი აღმართზე პირდაპირ სიარული უძნელდებოდათ და ბევრ ადგილს ახალი გზის გაკვლევა სჭირდებოდათ. თემსირი წინ მიდიოდა, დოდი — უკან. ფიქრები არ ასვენებდა თემსირს, წარმოიდგინა, ბადინათი მშიერ ბავშვებს როგორ ართობს ზღაპრებით. იმედს აძლევს, მამა ბევრ პურს მოგიტანთო.

საღამოთი ისინი ბანზე ავლენ, მამის გზას დაუწყებენ ცქერას! ოჰ, რა აღტაცებით შემოეხვევიან პურის მომტანთ.

ღამით ხმელი ფიჩხებით დიდ ცეცხლს დაანთებდნენ. რა კარგი იქნება! ზის თემსირი სკამზე; ზოგი ბავშვი კალთაში იკალათებს, ზოგი ზურგზე მოექცევა. ცეცხლის ირგვლივ ორის ნაცვლად რამდენიმე პურია ჩამწკრივებული. „ახალ წელსაც კმაყოფილი შევხვდებით, ცოტა ერბოც გვაქვს, სიმინდს კარგად დავაღერღინებ, ერბოიანი ფაფით ბავშვები გულს მოიჯერებენ“, ფიქრობს სკამზე მჯდარი თემსირი. ხმელი შეშის ცეცხლი ჭერს აღწევს.

ამ ფიქრებმა თემსირი გამოაცოცხლეს, ნაბიჯს უმატა, თოვლს ვაჟკაცურად მიარღვევს.

დოდიც ფიქრობს, მაგრამ ახლა გუდას არ სცილდება მისი ფიქრები. ცდილობს თემსირის ნაკვალევში ჩააბიჯოს, მაგრამ ყოველთვის ვერ ახერხებს. გუდის ბაწრის დასამაგრებელი ჩხირი დაბლა, თეძოებამდე ჩამოცურდა. გამხდარი კისერი წაუგრძელდა დოდის. ახლა ისე ეჩვენება, თითქოს გუდა ქვევით, ხეობის დაბლა დარჩა, კისერი კი მთის წვერს მიუახლოვდა. წინ მიიწევს, მაგრამ გუდა არ უშვებს, უკან ეწევა; „ნეტავ არ დავიღლებოდე, ღამე გარეთ არ დავრჩებოდეთ“. სხვა ფიქრები გუდის სიმძიმემ მიმოუფანტა.

— ქვესკნელს თქვენი თავი, ჩვენო წინაპრებო, ამ ხრიოკ მთაში დასახლებისათვის. საურმე გზა რომ გვქონდეს, ხომ არ დავიტანჯებოდით. შემოდგომაზე მოვზიდავდით პურს რამდენიც გვჭირდება, გაზაფხულამდე უდარდელად ვიჭებოდით, — ხმამაღლა ამბობს თემსირი, — მართალია, არც საქართველოა პურით მდიდარი, ძვირიცაა, მაგრამ მთაში გზა რომ გაკეთდებოდეს... მაშინ ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. ზედ კარებთან დავჯდებოდი, საბაზროდ წავიდოდი და ძაუჯიყაუდან ხორბლით სავსე ურმით უკან დავბრუნდებოდი. მაშინ მთა შესანიშნავი საცხოვრებელი ადგილი იქნებოდა. მოჯამაგირედ დადგომაც არ დაგვჭირდებოდა. ცხენსა და ურემს როგორმე შევიძენდი და ბედნიერად ვიმუშავებდი. ახლა შენი სკოლაში სიარულის დროც არის!

თემსირს ეგონა, რომ დოდი გამოეხმაურებოდა მის სიტყვებს, მაგრამ სიჩუმე არავის დაურღვევია. უკან მოიხედა, დაინახა, რომ დოდი ჩამორჩენოდა, ეტყობოდა, ძლიერ უჭირდა სიარული, ერთ ფეხს რომ ნაკვალევში ჩადგამდა, მეორეს ველარ სძრავდა ადგილიდან, თოვლში ვარდებოდა, იქვე იკეცებოდა საბრალო.

არ ესიამოვნა თემსირს. ტვირთი ძირს დადო და დოდისთან დაბრუნდა.

— ბიჭო, თავს რაზე იკლავ, დაგეძახა და ნელა წავიდოდი. მეგონა, უკან მომდევდი. დაიღალე? მომეცი გუდა და მომყევი.

— არ დავღლილვარ, მაგრამ გუდის ბაწარი მაწუხებს, — უნებურად მიუგო დოდიმ.

— მაგასაც გავაკეთებთ, გამაგრდი, ბევრი აღარ დაგვრჩა გაგქაანთამდე, იქიდან მთამდე თითქმის სულ ვაკეა და სიარული გაგვიადვილდება, ახლა კი დავისვენოთ.

თემსირმა გუდას ბაწარი დაუმოკლა, დასამაგრებელ ჯოხს ნაპირები დანით გაუთალა. თემსირს არ უყვარდა ლაპარაკი, მაგრამ ახლა შვილი რომ დაღონებული დაინახა, გუ-

ლი მოუკვდა. „ამისი ამხანაგები ერთობიან, სკოლაში დადიან, ეს კი აქ იტანჯება. მაგრამ რა ვქნა, ჩემი ბრალი არ არის, გაჭირვებისას ვისაც ხარი არა ჰყავს, მოზვერსაც აბამს უღელში“, — ფიქრობდა თემსირი.

ცოტა შეისვენეს, შემდეგ აღმართს შეუდგნენ. გაგქაანთამდე ბევრი აღარ უკლდათ, როცა ღრუბლებში გაეხვია მთა. ჯერ აღმართი არ აეთავებინათ, რომ ბრტყელ-ბრტყელმა ფიფქებმა დაიწყო ბარდნა. მუხლი მოეჭრა თემსირს, წინანდებურად ველარ მიაბიჯებდა წინ, მაგრამ უკან დაბრუნება აღარ შეიძლებოდა. არემარე ისე დაიბურა, რომ ორიოდე მეტრზეც აღარაფერი ჩანდა. ეს გულს უკლავდა მგზავრებს. როგორც იქნა, გაგქაანთ მაღლობს მიაღწიეს. თემსირს უნდოდა იქ შესვენება, მაგრამ ძლიერი ქარი ამოვარდა და გულს შემოეყარა. დოდი მთლად გაშეშდა, წინ ნაბიჯი ველარ წადგა, ქარს ზურგი შეაქცია. თემსირი გვერდით ეკვეთა ქარს და წინსვლა არ შეანელა. დოდი ჩაცუცქდა, თავი მხრებში ჩარგო.

— გამაგრდი, იქნებ პირველ ძეგლს მივაღწიოთ. ძლიერმა ქარმა ჩქარა იცის გამოდარება, — გაამხნევა მამამ შვილი.

დოდი ადგა, ძალ-ღონე მოიკრიბა, მამის ზურგს მოეფარა და ისე წავიდა წინ, მაგრამ ასეთმა ხერხმაც ვერ უშველა. გზას ველარ ხედავდნენ. თემსირს ეგონა, წინ მიიწევდა, ნამდვილად კი არ იცოდა, საით მიდიოდა. მართალია, მისთვის აქ ერთი მტკაველიც არ იყო უცნობი, მაგრამ ახლა თითქოს მხრებიც მოდუნებოდა; ერთი შავი წერტილიც არ ჩანდა. მერედა, როგორ თოვდა! თითქოს ცა ჩამოდიოდა ძირს, დედამიწას თოვლად აქცევდა. მგზავრებს მკერდზე მტკაველისოდენა ნაფლეთებად ეფინებოდა. „იქნება გადაიღოს და ბევრი აღარ გვაწვალოს“, — ფიქრობდა თემსირი. დოდი, მართალია, თემსირის ზურგს მოფარებოდა, მაგრამ ქარს მაინც ვერ უმკლავდებოდა, წარამარა ფიფქ თოვლში ეფლობოდა.

დოდი თემსირის ნაფეხურს ასცდა, ნამქერში ჩავარდა. ბევრი იწვალა სანამ თოვლიდან გუდიანად ამოძვრებოდა.

თვალები მოიწმინდა, უნდოდა მამისთვის დაეძახა, მაგრამ ვეღარ დაინახა, შიშით აცახცახდა, ძალა მოიკრიბა და შეჰყვირა. ყური მიუგდო, ადამიანის ხმა არსაიდან ისმოდა. მეორედ დაუყვირა, მესამედაც... ხმა არ ისმოდა. „უნდა დავეწიო, თორემ დავიბნევი“, — თქვა დოდიმ და თემსირის ნაკვალევს მიყვა. მაგრამ კვალი თანდათან თოვლით ივსებოდა, მალე სულაც გაქრა. სად ეძებოს მამა? კიდევ რამდენჯერმე დაიყვირა და პასუხი რომ არ მიიღო, მუხლები მოუდუნდა და ჩაიკეცა.

ჭკვიანი კაცი იყო თემსირი: ხელმოკლე, მაგრამ ისეთი მოხერხებული, რომ ბევრს შურდა კიდეც მისი. ტოლიც არ ჰყავდა თემსირს. მაგრამ ახლა ისე აერია ფიქრები, აღარაფერი ესმოდა. თვალწინ დაუდგა ოჯახი. მამის მოლოდინში ბავშვები სიხარულით ვეღარ ჩერდებიან ადგილზე. მისი უმცროსი ბიჭი წინდაწინ ცვლის მჭადებს კოჭებზე, ვაჭრობს ძმებთან, მეტის გამოგლეჯას ცდილობს. „დოდის რომ მოშივდეს და ვეღარ შეძლოს ჭამა, რა მეშველება?“ ამ აზრმა გაუელვა თავში თუ არა, უკან მოიხედა, დოდი აღარ ჩანდა. მეხნაკრავივით გაშეშდა, ლამის ჩაიკეცა, მთელი ხმით დაიყვირა: — ო, დოდი! — ყური მიუგდო. პასუხი რომ ვერ მიიღო, კიდევ დაუყვირა. ისევ ვერ გაიგონა შვილის ხმა. ტვირთი თოვლზე დადო, გვერდით ჯოხი დაარჭო ზედ ცალი ხელთათმანი ჩამოაცვა, დაბრუნებისას რომ მიეგნო და თავისსავე ნაკვალევს გაჰყვა. „ვაითუ, სადმე ნამქერის ქვეშ მოყვა, ოჯახი დამენგრა, დავიღუპე და ეგ არის, იქნებ... არ მომკვდარა“, — დააპირა თქმა თემსირმა, მაგრამ ვერ გაბედა და ისევ დაუძახა. პასუხი არსაიდან იყო.

ქარი ბობოქრობს, ფიფქ თოვლს ხარბად ხვეტავს, ცაში იტაცებს, დიდხანს ატრიალებს და ისევ ძირს ყრის. თემსირს ნამქერით თვალები ისე ევსება, რომ ფეხებთან ძლივს ხედავს ადგილს. კარგა ხანს მისდევდა თავის კვალს, მალე ისიც ნამქერმა დაფარა. რამდენჯერმე დაიყვირა და რომ ვერაფერი გაიგონა, ფიქრებს მიეცა: სად წავიდეს, სად ეძებოს? „წინ-

სვლისას ქარი სახეში მცემდა, ახლა რომ ზურგი შევაქციო, იქნებ სწორად ვიარო“, — თქვა ბოლოს და ასეც მოიქცა. მაგრამ ქარმა თითქოს მისი ჯიბრით პირი იბრუნა. აქამდე თუ ჩელიათიდან უბერავდა, ახლა მთიდან დაეშვა, და დაჭრილი ვეფხვივით აღმუვლდა. დოდი სწორედ იქ ჩაჯდა თოვლში, სადაც შეჩერდა, წინ ნაბიჯი აღარ გადაუდგამს. რამდენიმე ხნის შემდეგ რაღაც ხმა მოესმა. ყური დაუგდო და მამის ხმა შეიცნო; წამოხტა, მთელი ძალით დაიყვირა, მისი ხმაც ქარმა წაიღო. ყვირის დოდი, საკვირველია: თემსირის ხმა, იმის ნაცვლად, რომ გაძლიერდეს, ნელდება: — „ალბათ, ქარი ახშობს ჩემს ხმას, თორემ როგორ...“ — შეშინდა დოდი. ჩაცუცქდა. სმენად გადაიქცა. ისევ არაფერი ესმის. „ნამდვილად გზა აებნა მამას და ორივენი დავიღუპეთ, აღრიალდა დოდი. ხმა თითქმის შეწყდა. გაქრა დოდის იმედი. უბედურების გზას გაუყვა იგი. ყელის ძარღვები დაეძაბა, იყვირა, მაგრამ ისევ სიჩუმეა... მიდის... მიდის თემსირი, თითქოს ღრმა ხევიდან მოესმა ძახილი. ყვიროდა დოდი, მაგრამ ხმა ჩაუწყდა. რაღაც ყელში მოაწვა, სუნთქვა შეუკრა, დაყვირებაც ვეღარ შეძლო და გუდაზე გულაღმა დაეცა...

* * *

თემსირმაც ვერ მიიღო პასუხი. იგი თავის ნაკვალევს გაჰყვა. დოდის ახლა კარგად ესმოდა მამის ხმა, მაგრამ პასუხის გაცემა აღარ შეეძლო. მისი ხმა ქარს უკანვე მოჰქონდა. ნაკვალევს ასცდა და გზა აებნა.

ერთხანს დოდი ნახევრად გულწასული ეგდო.

ქარი ჩადგა. თოვაც შეწყდა, მაგრამ ახლა შავი ნისლი ჩამოწვა მთებში, თვალი მაინც ვეღარაფერს არჩევდა. გდია დოდი, აღარაფერზე ფიქრობს. თავი ისე გაბრუებია, რომ თვითონაც ვეღარ გრძნობს, ღვიძავს, თუ ძინავს. რაღაც ხმაური მოესმა. „ალბათ, მეჩვენება“, — თქვა თავისთვის და ყური აღარ ათხოვა. ხმა ისევ განმეორდა, მესამედ რომ გაიგო-

ნა, მამის ხმა იცნო. ადგომა ვერ შეძლო, დაწოლილმა წამოიყვირა, მოდის თემსირი. ხმა ახლოვდება. დოდიმ მიიხედა. ერთმანეთი იპოვეს. ძლიერ დაიღალა თემსირი, გაბრაზდა და შეყვირებაც დაუპირა შვილს, მაგრამ თოვლზე გაშოტილი რომ დაინახა, მოლბა და საყვედურით უთხრა:

— რა იქენ, დოდი, ცოცხალი ხარ?

— ჯერ არა მიშავს, მაგრამ... — ლაპარაკი ვეღარ შეძლო, თან შერცხვა, ვეღარ დაამთავრა სიტყვა.

— რატომ არ დამიძახე, როცა ჩამორჩი, მეც გავთავდი კაცი და შენც.

— ნამქერში ჩავვარდი და ხმა ვეღარ ამოვიღე, — თავს იმართლებდა დოდი.

— რომ გეძახდი, რატომ არ მიპასუხე, რამდენი ვიყვირე.

— მესმოდა შენი ყვირილი, მაგრამ ქარში ვერ გაწვდენდი ხმას.

— ფეხები ხომ არ დაგეზრა?

— არ ვიცი, — ყოყმანით უპასუხა დოდიმ.

მართლაც არ იცოდა არაფერი, მუხლებს ქვემოთ ფეხები ისე უკანკალებდა, რომ ვერ გაეგო, მოყინული ჰქონდა თუ დაღლილი იყო.

თემსირმა წვივებზე მოუსვა ხელი, თოვლი გააცალა და ჰკითხა:

— როგორ ფიქრობ, დოდი, შეძლებ სიარულს? ქარი ჩადგა და გაგიადვილდება.

— არ ვიცი, — უპასუხა დოდიმ.

— ადექი, მომეცი გუდა და ვცადოთ. ძაღლი მიაკვდეს ღარიბის გამჩენს!

თუმცა რა გამჩენი, რის ანგელოზი... ღმერთი რომ იყოს, ასეთ დღეში არ ჩავვარდებოდით. გზა ხსნილი გვექნებოდა. ეჰ, სად არის ღმერთი და ანგელოზი, სად?

დოდი ადგა, მაგრამ ფეხებზე თითქოს ნაძვის კუნძები ჰქონდა მიბმული და ვეღარ იძვროდა. ზურგზე გუდა რომ

აღარ ეკიდა, თავი მსუბუქად იგრძნო და თემსირს ტაატით გაჰყვა.

— ღრმა თოვლი არ დაუდია და იქნებ წამოვიდა ვინმე ჩვენებურებიდან, მაშინ სიარული გაგვიადვილდება. ვინ იცის, იქნებ მოიწმინდოს კიდეც და შეწყდეს თოვა. შინ თუ ვერ ჩავაღწევთ, გალვაანთში ან ყალასანში მწყემსების სახლში დავრჩებით, რა გვიშავს! განთიადზე სახლში ჩავალთ, — ლაპარაკობს თემსირი, აიმედებს თავის ვაჟს. დოდის პასუხი კი მხოლოდ ერთია: „არ ვიცი, აღარ შემიძლია“.

დესის ყალასანში საგრძნობი მანძილი გაიარეს. „სადაცაა ჩვენს ტომარასაც მივუახლოვდებით, მაგრამ სადაა იგი! გარშემო იცქირება და წინ მოდის. ტამარა არსად ჩანს.

— ნეტავ სად არის? ესეც მეორე უბედურება! მიდი ახლა სახლში ცარიელი ხელით. პურის საშოვრად წამოსულმა ტომარაც ვეღარ მივიტანო? უნდა მოვძებნო, ისე არ იქნება“, — შეწუხდა თემსირი.

— ბიჭო, აქ იყავი, არსად წახვიდე, დაძახებისას ხმა ამოიღე ხოლმე, — უთხრა დოდის და უკან გაბრუნდა.

ბევრი ეძება თემსირმა ტომარა, ბევრი იტრიალა, მაგრამ თვალი ვერსად მოჰკრა. „ასეთი უბედური გზა იქნება? ქარმა, ალბათ, ჯოხი წააქცია და ტომარა თოვლქვეშ მოჰყვა. რომ ვეღარ ვიპოვო, რაღა ვქნა? ხელცარიელი როგორ მივიდე შინ, ან სოფელი რას იტყვის? ბავშვმა გუდა მოიტანა, მას კი ტომარა დაუკარგავსო. ან არა და, ვის ეყოფა გუდა სიმინდი? დღესასწაულებზე ერთი ფუთი ფქვილი მაინც არ უნდა გქონდეს კაცს? როგორ მოვიქცე? არ შეიძლება ასე დაბრუნება. ხომ იტყვიან: „თირსში ჩავიდა, პური ჭამა და უკან დაბრუნდაო“. თუ არ ვიჩქარე, გაგქაანთ აღმართს თუ არ ავცდით, მთა შეიძლება ჩაიკეტოს და აქ რომ დავრჩეთ...“ ამ ფიქრებით დაბრუნდა უკან. დოდი თავს იმაგრებდა, თავის დანაშაულს გრძნობდა და გული უფრო უმძიმდებოდა, ფიქრი ფიქრს ცვლიდა... ახლა შუადღე გადასული იქნება, სიარული

კარგად აღარ შემიძლია, ასე რომ ვიარო, გზაზე დავვარდები, ღამე გარეთ დავრჩებით და ჩემ გამო ორივე დავიღუპებით. უკან რომ დავბრუნდე, თირსში ჩავაღწევთ კია?.. აქამდე, ვინ იცის, რა მოსდით შიმშილით ოჯახში...“

„მამამ თუ ტომარა ვერ იპოვა, გუდა მაინც წაიღოს, ერთ ოჯახს ორ დღეს ეყოფა, მერე... მე თუ თირსში ჩავაღწიე, ხომ კარგი, თუ არა და...“

სახეანთებული დაბრუნდა თემსირი. ვაჟის წინ კარგა ხანს იდგა უხმოდ. დოდიმ შეხედა. ენა აღარ უბრუნდებოდა პირში, გული სიტყვის თქმის უფლებას არ აძლევდა, მაგრამ თავი შეიმაგრა და მამას უთხრა:

— თემა, როგორც ჩანს, მე ველარ შევძლებ სიარულს, აიღე გუდა და წადი შინ.

თემსირი შეკრთა, სახე გაუფითრდა. „ეს როგორ, ისე დავეცი, რომ შვილი ერთ გუდ ხორბალს ვანაცვალო?! იდგა და ხმის ამოღება უჭირდა. მერე გიჟივით შეეკითხა:

— და შენ?

— თუ გამოიდარა, მე თირსში ჩავალ, ცოტა ხნის შემდეგ მგზავრებს გამოვყვები.

ცრემლი სდის დოდის ნაზ, გაყინულ ლოყებზე და ჩუმად ტყავის ხელთათმანით იწმენდს. შეშინდა თემსირი. სწრაფად მიუახლოვად შვილს.

— შვილო, რა მოგდის?! ვაი, რა უბედურ დღეს დავიბადე, — მთელი ხმით იღრიალა თემსირმა.

მისი ხმა არავის გაუგონია. სქელ ნისლში გახვეულმა მთებმა ყურიც არ შეიბერტყს, არაფრად ჩააგდეს პურის მომტანი. ბევრ მგზავრს გაუვლია ასეთ ამინდში ამ კალთებზე, მაგრამ მათ ცივ გულს არაფერი უგრძვნია, ყველასათვის დუმილით უპასუხიათ.

თემსირი დოდის მოეხვია.

— ხელები მოგეყინა? თოვლი ჩაგიცვივდა ხელთათმანებში? მომე ხელები, — ჩურჩულით ეუბნება თემსირი შვილს

და თან ეშინია. პასუხს არ დაელოდა, ეცა დოდის ხელებს, ფეხებიც გაუსინჯა, თოვლი მოაშორა. შავ წვერებზე მსხვილი ცრემლი მოგორავს. გლეხკაცს ისე ავსებია ცრემლებით თვალები, რომ რიგიანად ვეღარც იხედება. მტირალი მამის დანახვისას დოდი კიდევ უფრო შეწუხდა, უნდოდა იმედიანი სიტყვა ეთქვა, მაგრამ ვერ ახერხებდა. ბევრი სიკეთე არასოდეს უნატრია. პატარაობიდან მისი ოცნება სკოლაში სიარული იყო. ამ წუთშიაც ერთს ნატრობდა მხოლოდ: ტომარა ეპოვათ და წინანდებურად თემსირს თოვლი გაეკვლია.

— თემა, მე არა დამიშავდება-რა. მოსაღამოვდება თუ არა, მე თვითონ გავიკვლევ თირსამდე გზას. შენ კი წადი, რომ აქ არ მოგვისწროს ღამემ, — უთხრა დოდიმ მამას.

„ეს როგორ, — ფიქრობს თავისთვის თემსირი, — იქნებ მოიწმინდოს. თუ მოიწმინდა, ტომარასაც ვიპოვი, გზას განვაგრძობ და მთის გადასასვლელსაც მალე მივაღწევ“.

თემსირმა არაფერი უთხრა შვილს, თვალები ნისლს მიაშტერა, ფიქრები აერია.

— თემა, ჩემზე ნუ დარდობ. ალბათ, მგზავრებიც ჩქარა გაჩნდებიან და ერთ გუდა პურს, როგორც იქნება, ჩამოვიტან, — ვაჟკაცური გამომეტყველებით ამბობს დოდი.

სანამ ტომარას ეძებდნენ, საუბრობდნენ და ფიქრობდნენ, ქარი ისევ ამოვარდა. ახლა ახალი სადარდებელი გაუჩნდათ: თირსში რომ დაბრუნდეს, ვაითუ, ამინდი უფრო გაუარესდეს და მთაზე გადასასვლელი სულ ჩაიკეტოს, მაშინ ხომ ოჯახი შიმშილით ამოუწყდება. გამოსავალი რომ ვერაფერი იპოვეს, უკან დაბრუნება გადაწყვიტეს.

— გამაგრდი, დოდი, და ჯობს, უკან წავიდეთ, — უთხრა ძალად გამხიარულებულმა მამამ შვილს.

დაბრუნდნენ, კარგა მანძილი გაიარეს, წინ თემსირი მიდის, უკან დოდი მიჩანჩალებს. მიდიან ვაკეზე. მალე უნდა მიაღწიონ დაღმართს. საგრძნობი მანძილი გაიარეს კიდევ, მაგრამ ამაოდ.

— იქნებ კიდევ დავიბენით, — შიშობს თემსირი. მაგრამ აი, მიაღწიეს გადასახედს. აქ ქარს თოვლი სადღაც გაუტაცია და სიარულიც გაადვილდა.

— დოდი, ნუ გეშინია, ჩქარა თბილ ღუმელს შემოვუსხდებით, — ამხნევებს შვილს თემსირი, — ხვალ ან ზეგ, დადგება თუ არა კარგი დარი, იქნებ ამხანაგებიც გაგვიჩნდეს, სანამ დიდი გზა არ გაკეთდება, შიმშილით რომ ვიხოცებოდეთ, ზამთარში მაინც არ გადმოვდგამ ფეხს მთაზე პურის მოსატანად. წავალ და ჯავის ხეობიდან ერთ ფუთს... სიტყვა აღარ დაუსრულებია თემსირს, ისე გაქრა სადღაც, მამის თვალწინ, იკივლა ბიჭმა, უნდოდა მიერბინა, მაგრამ თემსირის ხმა მოესმა:

— შენს ადგილზე იდექი, არა მიშავს, ხევში ჩავვარდი, ფეხი ვიტკინე.

დოდიმ ტირილს თავი ანება, თემსირი როგორღაც უკან ამოძვრა. ხევში ჩავარდნისას წვივი გაეკრა კლდისათვის და დაეზიანებინა, კანი მუხლებამდე გადაძრობოდა. შინ მოქსოვილი ხამი ტილოს შარვლის ნახეთქებიდან სისხლი თქრიალებდა, თოვლს წითლად ღებავდა, რითი შეეხვიათ, რით შეეჩერებინათ სისხლი?

გუდაც გასკდა, შიგ მარცვალიც აღარ დარჩენილა. გუდა შემოიხვია ფეხზე: ფიქრობდა, იქნებ, სიცივე აღარ შევიდეს და სისხლი არ მიმეყინოს ფეხზეო.

— ცუდი მგზავრობა გამოგვივიდა, დოდი, — თქვა თემსირმა და თან ფეხს იხვევდა, — ვაითუ ვეღარ შევძლო სიარული... მგზავრები მაინც შეგვხვდებოდეს, დოდი, შენ ვერ წახვალ? როგორმე ნათესავებს გააგებინე... მომეშველონ.

ხმას ვეღარ იღებს დოდი. ცრემლი სახეს ურეცხავს, ფეხზე ძლივს დგას.

— მე ჩემი წუთისოფელი მოვჭამე, შვილო. თუ ეს გზა ვერ გაკეთდა, როგორმე ცხენი და ურემი შეიძინე, ცხოვრება გაგიადვილდება... ეხ, ერთხელ მაინც გამევლო ამ გზაზე...

„იქნებ, მძიმე სიტყვებს ვამბობ და ბიჭს გულს ვუღონებ“, — გაიფიქრა თემსირმა და ანუგეშა შვილი, — ნუ ტირი, აგერ, იქით გადავიდეთ, ფორთხვით მაინც წავიდეთ. მარჯვნივ გადაუხვიეს. გაფითრდა თემსირი. „იქნებ, შევცდით. ოი, დასწყევლოს ღმერთმა. აქაურობას ვეღარ ვცნობ, ისე გამოიცვალა, — კოჭლობით მიდის თემსირი, იმედი ჩაუწყდა: — ხალხი ახლა იწყებს ცხოვრებას, მე კი...“

მოულოდნელად წინ შავი კლდე აიმართა!

— ფრთხილად, არ გადავარდე, — დაიძახა თემსირმა, უკან დაიწია, მაგრამ ფეხი ვეღარ მოიკიდა, დაცურდა, ჩავარდა...

ვეღარ დაინახა დოდიმ. ძლივს ამოაღწია მამის ხმის ნაწყვეტებმა...

— ვიღუპები! დოდი, უკან დაიხიე... ვიღუპები კლდე... ვა-ვა... ა... — ესღა მოესმა დოდის. მისი ტანჯული თემა დესის კლდის ნისლში შთაინთქა...

ვერ აუსრულა შვილმა თემსირს უკანასკნელი სიტყვა, ვეღარ დაბრუნდა უკან, მიწამ თითქოს ფეხი აიდგაო, სადღაც გაიქცა, თავბრუ დაეხვა, გააჟრჟოლა, დაცურდა და მამას მიჰყვა ხევში. მამა და შვილი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ ამჯერად ერთმანეთი ვეღარ იცნეს.

ალექსანდრე ყაზბეგი

ბრძოლის ველი

ბრძოლის ველი. არემარე ღრუბლებითაა დაფარული. მშრალი სიცივე დგას. ჰაერი წყნარი და უძრავია. ყოველი მხრიდან თოფის გრიალი, ტყვიამფრქვევის კაკანი, ზარბაზნების ქუხილი, ცხენების ფლოქვების თქარათქური ისმის, ყურთა სმენას ახშობს. ტყვია-წამლის სუნი სუნთქვას ჰკრავს, ველს ბურუსში ახვევს. ირგვლივ სისხლის ღვარი დგას, ყველაფერს წითლად ღებავს.

ერთი ქვის გვერდით, ნაძვებთან ახლოს, ჯარისკაცი კვნესის, მას შიგ გულში გაუარა ტყვიამ. ეს კავკასიის მთებში შობილი, დარეჯანიანთ თოთრაძია. მეოთხე წელია ომშია. რად, რისთვის? — თვითონაც არ იცის. ძალით წამოიყვანეს: სარწმუნოების, ხელმწიფისა და სამშობლოს დასაცავად!

სახლში დატოვა ახალგაზრდა ცოლი ორი ბავშვით. „ვაი, ვკვდები, რაღა ვქნა, დედი, კერა მიქრება!“ — კვნესის ახლა დროდადრო თოთრაძი.

ცდილობს ქვას დაეყრდნოს და წამოდგეს, მაგრამ მკერდზე თითქოს სიმძიმე დასწოლია, ვერ დგება. მის ირგვლივ თოვლი წითლად იყინება, თბილი სისხლის სუნი ცივ ჰაერს კვეთს.

დრო მიდის, სხეული უბუჟდება და ტკივილს ველარ გრძნობს. ხანდახან განძრევისას სახე ეჭმუხნება, თითქოს მკერდში რაღაც ჩასწყდაო. გაბურებულ თავში ფიქრები განუწყვეტლივ ცვლიან ერთმანეთს. გული ხან დაუწყნარდება, ხან კი ტყვიამფრქვევივით ჩქარ-ჩქარა უცემს... გაუკვირდა

თოთრაძს: აქ რას ვაკეთებ? როგორ, სასიკვდილოდ დავიჭერი? აფსუს, რა ბიჭი ვიღუპები! — თქვა და თვალები უაზროდ გადაატრიალა. მან პირველად ვერც კი გაიგო როგორ დაჭრეს, გაბედულად მიიწევდა წინ, მაგრამ როცა დაეცა, სისხლმა გამოჟონა და თეთრი თოვლი წითლად შეიღება, შეშინდა. ირგვლივ მიმოიხედა, შველას ითხოვდა, ვიღაცის სახელიც წამოიძახა, მაგრამ ამაოდ. მისი ამხანაგები შორს გაჭრილიყვნენ, ყრუ ძახილი ბრძოლის ხმაურში შთაინთქა.

ირგვლივ მკვდრებსა და დაჭრილებს ხედავდა, ერთი კიდევაც იცნო: „ივანე, რაღა ვქნა?“ მაგრამ ივანე ზარბაზნის ტყვიის ნამსხვრევებით ფეხმოგლეჯილი, უაზრო თვალებით იყურებოდა.

მიხვდა თოთრაძი თავის უბედურებას. ტკივილმა სძლია და გული ერთხანს შეუღონდა.

„სასიკვდილოდ ვარ დაჭრილი, საშველი არსაიდან ჩანს“, — იფიქრა და თავისივე ფიქრის შეეშინდა, სახეზე სიმწრის ოფლმა დაასხა... თვალები დახუჭა. თვალწინ გაუელვა იმ დღის ამბებმა.

ჯერ კიდევ ბნელოდა, რომ ასეულის მეთაური, ოცი წლის ლამაზი ვაჟკაცი — ივანოვი მოვიდა, მისი რაზმი სწრაფად მოამზადა და სხვა ასეულების გვერდით დააყენა. მეთაურს ლამაზი სახე თოვლივით გასთეთრებოდა, თითქოს დაგრძელებოდა კიდეც. თვალებიც უცნაურად უბრწყინავდა.

„ავადმყოფს ემართება ასე“, — თქვა გულში.

გამხდარმა, ჩია მოხუცებულმა მღვდელმა სწრაფად აკურთხა ასეული და მომაკვდავის ხმით წარმოთქვა: „იარეთ, ღმერთი ჩვენთანაა! სარწმუნოების, ხელმწიფისა და სამშობლოსათვის!..“ ბრძანებაც წაუკითხეს: „საჭიროა ავიღოთ თურქეთის სიმაგრე „ნაძვიანი“.

ერთხანს შეუმჩნევლად იარეს, შემდეგ ხმალამოღებულმა ივანოვმა დაიყვირა: „ბიჭებო, წინ, შეტევაზე!“

„ვაშაა!“ იგრიალეს ყოველი მხრიდან ჯარისკაცებმა და წინ გაიჭრნენ... თვითონაც მათთან იყო. შემდეგ... დაიჭრა, აგერ წევს.

მოაგონდა თავისი საყვარელი მეგობარი ივანე. მისი ლამაზი სახე, ჭკვიანი ლურჯი თვალები. რა ძლიერ უყვარდა ივანეს მშობლიური ლამაზი სიმღერები. თოთრაძის ყურმა გაიწივლა, თითქოს ის სიმღერა მოესმა...

ფიქრებმა ტკივილების გამო იკლო... მერე უცბად მოაგონდა მშობლიური მთები, თავისი სოფელი, ამხანაგები, ცოლ-შვილი.

ტკბილი ფიქრებით გული ისევ აევსო, თავი ისე დაებურა, რომ ბრძოლის საშინელი ხმა აღარ ესმოდა. მოგონებებს ხანდახან ახლოს გამსკდარი ჭურვის ხმა აწყვეტინებდა.

ადრე მთელი სხეული ეყინებოდა, ახლა კი გაუთბა. აღარც არაფერი სტკივა. თვალებს აღარ ახელს, რომ ფიქრები არ დაეფანტოს.

თოთრაძი აღფრთოვანებულია. ჯანმრთელი, მხიარული თავისი ჯარისკაცული ჩანთით მიდის შინ... სიხარულისაგან გული ჩიტივით შეუფრთხილდა, მაღალი, ჭაღარა მთების დანახვაზე.

თბილი, ზაფხულის კაშკაშა დღეა. მზე ამოწვერილა, მთები ხშირი ტყეებით არის დაფარული. ნაცნობ საძოვრებზე მწვანე ბალახი ზღვასავით ღელავს. მიუახლოვდა. სოფლისკენ მიეშურება. გორაკიდან გამოჩნდა მაღალი ოთხკუთხა კოშკი — მათი საგვარეულოს სახელი და დიდება. რამდენი საკვირველი რამ გაუგონია კოშკზე პატარაობისას, სოფლის მოხუცებისაგან. თითქოს ყველაფერი მის თვალწინ ხდებოდა.

აღმართზე მუხლები ეკეცება, ძლივს სუნთქავს, გული ეკუმშება, მაგრამ მაინც წინ მიისწრაფის.

აგერ, კლდეზე მისი სახლი გამოჩნდა, ზემოთ, მწვანეზე, ციკნები წვანან. ერთი მათგანი ქვაზე შემხტარა და ამაყად იცქირება. კალოზე მწყემსი ბიჭები თამაშობენ: ზოგი თელის

ქერქისაგან მათრახებს წნავს, ზოგი ჭიდაობს, ზოგიც წკრიალა, ბავშვური ხმით მხიარულად მღერის. თავზე ნაბდის ქუდებითა და მხარზე გადაკიდებული ჩანთებით დადიან.

„რა ტკბილია თავისუფალი ცხოვრება“, — გაიფიქრა თოთრაძმა. თვალები სახლის კარებს მიაშტერა, საიდანაც სალიმათი — მისი საყვარელი მეუღლე, — მშრომელი, დაუზარელი, უწყინარი, — გამოეგებებოდა ხოლმე.

თითქოს სურვილს მიუხვდა ქალი, ბავშვებიანად გამოიხედა კარში. ბიჭი, თოთრბეგი, ხუთი წლისაა, ღიპიანი, პერანგისამარა, უშარვლოდ. ჯარში რომ წავიდა, ძუძუმწოვარი დატოვა. შავთვალწარბა ამინეთი შვიდი წლისაა. ალბათ, სალიმათს ვინმემ ახარა. მორცხვია მთიელი დედაკაცი, მამაპაპური ადათების დიდი პატივისმცემელი, „თავის პატრონთან“ შეგებება ხალხის თანდასწრებით ვერ გაბედა.

გაუხარდა თოთრაძს, გული გაუნათდა.

სალაპარაკოდ შეგროვილი ხალხი დიდიან-პატარიანად წამოიშალა. ქალებმა ბანიდან დაინახეს იგი და წინ გამოეგებნენ. გაუხარდათ, მიეალერსნენ. ბებერმა თელამ ფოთლები ააშრიალა, თითქოს სიხარულით გააჟრჟოლაო. მაღალმა, აშოტილმა ჭადარმა თავი დაუკრა.

მარტო ესენი კი არა, კუშტად მდგარი მამაპაპური კოშკიც შეინძრა.

სოფლის ბოლოს, ორღობეებში შეხვდნენ ამხანაგები, გოგო-ბიჭები, იცნო: აგერ მაღალი, ფართომკერდიანი თათარხანი, მასთან ერთად რომ ნადირობდა ჯიხვებზე, გამხდარი სოსლანი — მუდამ მის გვერდში მდგომი, ხუმარა, კეთილი გულისა, რომელიც უზომოდ უყვარდა, მომღერალი და მოცეკვავე ხასმეყო, გვიტირი, მხიარული და მოუსვენარი ხამათი, ინალი და სხვები...

გოგონები, მისი ნაზი დობილები: ლამაზი, ქერა ბელა; მშრომელი, დაუზარელი ფინე; პატივისმცემელი სალიმათი,

ქოსერი, სანიათი... ყველანი აქ არიან. შემოეხვივნენ. სიხარულით ეხვევიან, კოცნიან, ერთმანეთს არ აცლიან.

თოთრაძს თვალებზე ცრემლი მოადგა. ტირილი უნდოდა, მაგრამ თავს იკავებდა. ცდილობდა ელაპარაკა, მაგრამ თითქოს ყელში რაღაც გასჩხერეროდა. ვერ დგებოდა, მაგრამ უცნაური ძალა მისდაუნებურად წინ, სახლისაკენ მიაქანებდა.

იცის, რომ სირცხვილია ტოლ-ამხანაგების დატოვება, მაგრამ ძალა არ ყოფნის, ფიქრები გონებას უმძიმებენ. გრძნობს, რომ შინ ვეღარ მიაღწევს...

აი, ქარიშხალივით მიიჭრა მობაასე ხალხთან, ნახა მოხუცები — ზოგი ჯოხს დაყრდნობოდა, ზოგი ღობეს მიბჯენოდა. ჩანდა თეთრი წვერები, ნათელი სახეები...

მერე უცბად ყველაფერი გაქრა... თვალთ დაუბნელდა, ვეღარაფერი იგრძნო...

ისევ წინ დაუდგა სახლი... სალიმათი... ბავშვები...

არემარე უფრო ძლიერ განათდა... ვეღარაფერი დაინახა. სინათლის შემდეგ ჩამოწვა სიბნელე — მუდმივი სიბნელე...

უკანასკნელი ბგერებიღა ისმის... სულს ებრძვის ვაჟკაცი. სახე, ხელები თოვლივით გაუთეთრდა, თვალის უპეები და ტუჩები ლილისფერი გაუხდა... თვალები ერთხელ კიდევ გაუბრწყინდა, ცრემლით აევსო...

გაიზმორა... შეაჟრჟოლა... რამდენჯერმე დაასლოკინა, რამდენჯერმე დააღო პირი... ღრმად ჩაისუნთქა — ამოიხრიალა და...

თვალები ღია დარჩა — სიკვდილმა თავისი კვალი დატოვა...

ოსური მწერლობის ანთოლოგია ქართულ ენაზე

დანართი

თემირბოლათ მამსუროვი (1842-1899)

თემირბოლათ მამსუროვი დაბადებულა 1842 წელს. 1855-1860 წლებში იგი პეტერბურგის კადეტთა კორპუსში სწავლობს. 1860 წლიდან მსახურობდა ჩუგუევის (ახლანდელი ხარკოვის ოლქში) პოლკში. 1865 წელს დედის ძალდატანებით (რომელიც რუსეთის არმიის გენერლის — მუსა კუნდუხოვის და იყო) თემირბოლათ მამსუროვი სხვა ოსებთან ერთად გადასახლდა თურქეთში.

თემირბოლათი დასახლებულა სოფელ ბატმანტაშში, სივასის ვილაიეთში, მას უარი უთქვამს თურქეთის არმიაში სამსახურზე, სიკვდილამდე დარჩენილა სამოქალაქო პირად, მას ოჯახიც კი არ შეუქმნია.

დღემდე თემირბოლათის მხოლოდ თერთმეტი ლექსია შემორჩენილი. მის თანამედროვეთა გადმოცემით, თემირბოლათს დიდი პოეტური მემკვიდრეობა დარჩენია. პოეტის დას, აზიზს, თემირბოლათის ხელნაწერებით .სავსე სკივრი ჰქონია. სამწუხაროდ, დღესდღეობით ამ ხელნაწერების კვალიც არ ჩანს, ვიცით მხოლოდ, რომ მას შესანიშნავად სცოდნია თურქული ენაც და, გარდა ოსურისა, ამ ენაზეც შეუქმნია ნაწარმოებები.

თემირბოლათ მამსუროვის შემოქმედება აღსავსეა კაცთმოყვარეობით, იმედით, რწმენით, მშობლიური ქვეყნის სიყვარულით, მაღალი ზოგადსაკაცობრიო იდეალებით. მიუხედავად ლექსების მცირერიცხოვნობისა, თემირბოლათ მამსუროვი ღირსეულ ადგილს იკავებს ოსური მწერლობის ისტორიაში.

თემირბოლათ მამსუროვი 1899 წელს გარდაცვლილა ბატმანტაშში და იქვე დაუკრძალავთ.

კოსტა ხეთაგუროვი
(1859-1906)

ოსი ხალხის სულიერი წინამძღვარი, დიდი ოსი პოეტი, დრამატურგი, მხატვარი და საზოგადო მოღვაწე კოსტა ხეთაგუროვი დაიბადა 1859 წლის 15 ოქტომბერს, ჩრდილოეთ ოსეთის ერთ-ერთი პატარა აულ ნარში.

1866 წელს კოსტა ნარის სასულიერო სკოლაში შეიყვანეს. შემდეგ კი, 1870 წელს, კოსტა სწავლის გასაგრძელებლად კავკავის პროგიმნაზიულ სასწავლებელში მიუბარებიათ. 1871 წელს კოსტა სწავლას აგრძელებს სტავროპოლის ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიაში.

კოსტა ხეთაგუროვი 1881 წლიდან სანკტ-პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში სწავლობს. ამავე დროს იგი კავკასიელი ახალგაზრდების სტუდენტურ წრეებთან აქტიურად თანამშრომლობს.

უსახსრობის გამო 1885 წელს კოსტამ სწავლა მიატოვა და სამშობლოში დაბრუნდა. 1885-1891 წლები მის ცხოვრებაში აქტიური ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის პერიოდია.

აქტიური საზოგადო მოღვაწეობისათვის კოსტა ორჯერ გადაასახლეს: პირველად ყარაჩაის მთებში (1891-1893 წწ), მეორედ — ხერსონის გუბერნიაში (1898-1901 წწ).

კ. ხეთაგუროვი არის სიმბოლო ერის წინამძღვრისა, ერის სულიერებისა, ღრმა ადამიანურობისა, სიკეთისა, ძმობა-ძეგობრობისა, ზოგადსაკაცობრიო იდეალებისა და ყველა იმ მაღალი ადამიანური ღირებულებებისა, რაც კი კაცობრიობას დასაბამიდან შეუქმნია.

კოსტა ხეთაგუროვის ლექსების პირველი კრებული 1895 წელს გამოდის სტავროპოლში, ხოლო 1899 წელს ქ. კავკაში

გამოსცეს მისი „ირონ ფანდირი," რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ოსი ხალხის სულიერ ფორმირებაში. მისი ლექსები ოსი ხალხის საყვარელ სიმღერებად იქცა

კოსტა ხეთაგუროვი 1906 წლის 19 მარტს (აპრილის 1-ს) გარდაიცვალა, დაკრძალულია ქ. ვლადიკავკაზში.

ინალ ყანუყათი
(1847-1898)

პოეტი, პროზაიკოსი და პუბლიცისტი ინალ ყანუყათი დაიბადა 1847 წელს სოფელ გიზელში. სწავლობდა სტავროპოლის გიმნაზიაში. დაამთავრა სამხედრო საარტილერიო სასწავლებელი. ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს შეიქმნა მისი ნაწარმოებები. „გადასახლებული მთიელები", „ალექსანდრეპოლიდან ერზრუმამდე." ამ დროს დაწერა მან მრავალი ლექსი.

80-იანი წლების დასასრულს პოეტი, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო, გადაასახლეს შორეულ აღმოსავლეთში, სადაც განაგრძობდა ლიტერატურულ მუშაობას, იგი წერდა „ი. ვოსტოჩნის" ფსევდონიმით.

1897 წელს ი. ყანუყათი დაბრუნდა კავკასიაში და თანამშრომლობს გაზეთ „კავკაზთან".

ინალ ყანუყათი გარდაიცვალა 1898 წელს.

სეკა გადიათი
(1855-1915)



ცნობილი ოსი პოეტი, პროზაიკოსი, ოსური მხატვრული პროზის ერთ-ერთი ფუძემდებელი სეკა გადიათი დაიბადა 1855 წელს სოფ. განისში (ყუდის ხეობაში). 18 წლისა იყო, ქართველმა მღვდელმა წერა-კითხვა რომ ასწავლა. მას სასულიერო განათლება თბილისში მიუღია, რის შემდეგაც იგი 10 წლის განმავლობაში ყუდის ეკლესიაში მსახურობდა. 1882 წლიდან იგი გადასახლებულა ჩრდილოეთ ოსეთში.

სეკამ ლექსებისა და მოთხრობების წერა 1880-იან წლებში დაიწყო. მისი ნაწარმოებები ოსურ ჟურნალ-გაზეთებში 1900-იანი წლებიდან იბეჭდებოდა

ს. გადიათის ლექსების პირველი კრებული „ოსი მწყემსი“ 1905 წელს გამოიცა. მთიელთა დუხჭირი ცხოვრება მთელი სიმძაფრითაა ასახული მის პოემაში „მარტოსული“. თანამემამულეთა გაუსაძლისი ყოფა მის ნაწარმოებებში მთავარ ადგილს იკავებს („დედა და მისი ვაჟი“, “აზაუ“, „სადულა და მანიჟე“ და სხვ.). იგი წერდა მოთხრობებს, დრამატულ ნაწარმოებებს, ლექსებს. ხალხური ზეპირსიტყვიერებით ნასაზრდოები მისი ნაწარმოებები დიდი პოპულარობით სარგებლობდა ოს ხალხში.

სეკა გადიათი გარდაიცვალა 1915 წელს.

ასლამირზა ყაითმაზთი
(1866-1925)

პოეტი და მთარგმნელი ასლამირზა ყაითმაზთი დაიბადა 1866 წელს მაღალმთიან სოფ. ზარამაგში, ალაგირის ხეობაში. გორის სამასწავლებლო სემინარიის დამთავრების შემდეგ იგი მასწავლებლად მუშაობდა სხვადასხვა ადგილებში: ზარამაგში, ლაბაში, არმავირში, ყაბარდოს სოფლებში. იგი ახლოს იცნობდა კოსტა ხეთაგუროვს.

ა. ყაითმაზთი იყო ერთ-ერთი პირველი შემკრები ოსური ხალხური შემოქმედების ნიმუშებისა. მისი ლექსები პოეტის სიცოცხლეშივე იქცა ოსი ხალხის საყვარელ სიმღერებად.

ა. ყაითმაზთის ლექსების კრებული გამოიცა 1961 წელს.

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ იგი გარდაცვლილა 1925 წლის 25 იანვარს.



არსენ ქოცოითი
(1872-1944)

ოსური პროზის ფუძემდებელი, პოეტი, დრამატურგი და პუბლიცისტი არსენ ქოცოითი დაიბადა 1872 წლის 16 იანვარს სოფელ გიზელში. ამ სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ იგი სწავლას განაგრძობს არდონის სასულიერო სემინარიაში. შემდეგ კი მიიღო პედაგოგიური განათლება და მუშაობდა სხვადასხვა სკოლებში მასწავლებლად (დარღავსი, გიზელი).

ა. ქოცოითი აქვეყნებდა მასალებს გაზეთებში „ყაზბეგი“ და „თერგის უწყებანი“.

1905-1908 წლებში ის ცხოვრობდა პეტერბურგში. 1909-1910 წლებში გადმოდის თბილისში და მისი რედაქტორობით გამოდის ჟურნალი „ფსირი“ («Æфсир»). ოსური კულტურისა და განათლების საქმეს ემსახურებოდა.

1923 წელს არსენ ქოცოითი ცხინვალშია. სწორედ მისი დიდი შრომის შედეგად დაარსდა ჟურნალი „ფიდუაგი“ 1927 წელს, იგი იყო ამ ჟურნალის პირველი რედაქტორი.

1929 წლიდან არსენ ქოცოითი ბრუნდება ვლადიკავკაზში და ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწევა.

არსენ ქოცოითის მოთხრობებმა „გიგოს აღდგომა“, „აზაუ“, „სალომე“ და სხვ. მკითხველთა დიდი სიყვარული დიამსახურა.

მისი ნაწარმოებები რამდენჯერმე გამოიცა ცალკე წიგნად. 1971 წელს გამოიცა მისი ნაწარმოებების ორტომეული.

არსენ ქოცოითი გარდაიცვალა 1944 წლის 4 თებერვალს.

ცომაყ გადიათი
(1882-1931)

ოსური კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენელი, პოეტი, დრამატურგი, პროზაიკოსი, მთარგმნელი და ლიტერატურათმცოდნე სეკა გადიათის შვილი ცომაყ გადიათი დაიბადა 1882 წელს ყუდის ხეობის სოფელ განისში. მან ბავშვობა გაატარა ჩრდ. ოსეთში, სადაც მისი ოჯახი გადასახლდა 1889 წელს. დაამთავრა ტარტუს უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი.

1906-1907 წლებში იგი მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში. 1910 წელს იგი დაუპატიმრებიათ და მუდმივი გადასახლება მიუსჯიათ ციმბირში. იგი იქაც განაგრძობდა ლიტერატურულ მოღვაწეობას. სწორედ აქ შექმნა თავისი საუკეთესო დრამა „ოს-ბაღათირი". მისი ერთ-ერთი გამორჩეული ნაწარმოებია „წინაპართა ღირსება". გადასახლებიდან იგი 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა.

ცომაყ გადიათმა დიდი როლი შეასრულა ოსური მხატვრული ლიტერატურის განვითარებაში.

გარდაიცვალა 1931 წლის 24 ოქტომბერს.

გიორგი მალითი
(1886-1937)

გიორგი მალითი დაიბადა 1886 წლის 20 ოქტომბერს სოფ. ქრისტიანსკოეში. 1902 წელს მან დაამთავრა სოფელ მახჩის ორკლასიანი საწავლებელი. შემდეგ კი, 1910 წ. სწავლას აგრძელებს არდონის სასულიერო სემინარიაში. ერთ ხანს იგი მასწავლებლადაც მუშაობდა. 1937 წელს იგი რეპრესირებულთა შორის აღმოჩნდა. ამ მიზეზის გამო მისი ნაწერების უმეტესობა დაკარგულია.

ლექსებს იგი წერდა ოსურსა და რუსულ ენებზე. ლირიკით გამთბარი მისი ლექსები ოსმა ხალხმა სიმღერებად აქცია. მისი პოემები ნართული ეპოსითაა ნასაზრდოები („ვარხთანაგის ვაჟი — პატარა გუიმანი", „ნართების სიმდი" და სხვ.).

მისი ლექსების პირველი კრებული „მთის მოტივები“ დაიბეჭდა ძაუჯიყაუში (ვლადიკავკაზი) 1924 წელს. გიორგი მალითი დიგორულ დიალექტზე წერდა.

ტრაგიკულად დასრულდა გიორგი მალითის სიცოცხლე 1937 წელს. იგი რეპრესიების მსხვერპლი გახდა.

ილას არნიგონი
(1888-1946)

ილას არნიგონი დაიბადა 1888 წელს სოფ. არდონში. 1909 წელს დაამთავრა არდონის სასულიერო სასწავლებელი. 1914-1918 წლებში სწავლობს ვლადივოსტოკის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. მუშაობდა პედაგოგად, სასკოლო ინსპექტორის თანამდებობაზე.

პირველი ლექსები ილას არნიგონმა გამოაქვეყნა ჟურნალში „ჩირისტონ ცარდ“ (ქრისტიანული ცხოვრება). შემდეგ კი მისი ნაწარმოებები ქვეყნდებოდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში. 1960 წელს ვლადიკავკაზში გამოიცა მისი ლექსების კრებული „მომიგონე მე“. მისი ლექსების სევდიანი კილო გამოწვეული იყო იმ უნუგეშო მდგომარეობით, რაშიც იგი თავის ხალხს ხედავდა, აგრეთვე სიშორით საკუთარი ხალხისაგან, რომელსაც იგი მძაფრად განიცდიდა.

პოეტის ლექსები და ნოველები რამდენჯერმე გამოიცა.

ილას არნიგონი გარდაიცვალა 1946 წელს.

სოზირ ბაგარათი
(1888-1928)

სოზირ ბაგარათი დაიბადა 1888 წელს ჩრდილოეთ ოსეთის სოფ. დიგორში. 1904 წელს დაამთავრა სოფლის დაწყებითი სკოლა. 1908 წელს მას სამხედრო სამსახურში იწვევენ.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იგი აქტიურ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში ერთვება.

წერა მას ადრეული ასაკიდან დაუწყია. იგი წერდა უმთავრესად იმ უსამართლობაზე, რომელიც მისი და მისი ხალხის ირგვლივ იყო გამეფებული. მისი ლექსები — „წინამძღოლი", „ჩვენი ხე", „მჭედელი" და სხვ. ხალხისათვის საყვარელ ლექსებად იქცა.

მისი ლექსების კრებული „გულის კარი" გამოიცა 1926 წელს.

მძიმე ცხოვრებამ თავისი დაღი დაასვა პოეტის ჯანმრთელობას. იგი მძიმე სენით, ტუბერკულოზით დაავადდა და წლობით ლოგინს იყო მიჯაჭვული.

სოზირ ბაგარათი გარდაიცვალა 1928 წელს.

ნიგერი
(ივანე ჯანაევი)
(1896-1947)

ცნობილი ოსი მხატვარი და ლიტერატურათმცოდნე, მწერალი და მთარგმნელი ნიგერი დაიბადა 1896 წლის 2 ნოემბერს ალაგირის ხეობაში სოფ სინძი-სარში. მამამისმა გადაწყვიტა შვილისათვის განათ-

ლება მიეღებინებინა და 1909 წელს მიაბარა შვილი ნარის სკოლაში, შემდეგ ვლადიკავკაზის სასულიერო სემინარიაში.

არდონის სემინარიაში ი. ჯანაევი საფუძვლიანად გაცნობია რუსულ და მსოფლიო ლიტერატურას. მის საყვარელ პოეტებად იქცნენ ლერმონტოვი და ბაირონი. პოეტს დაუმთავრებია სარატოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი 1917 წელს. მუშაობდა ნარის სკოლაში. შემდეგ კვლავ აგრძელებს სწავლას ჩრდილოეთ ოსეთის სახელმწიფო პედინსტიტუტში. ამთავრებს ასპირანტურას და სამეცნიერო-კვლევით და პედაგოგიურ მოღვაწეობას აქტიურად ეწევა. მისი სამეცნიერო სტატიები თუ მხატვრული ნაწარმოებები ერთნაირად მნიშვნელოვანია ოსი ხალხისათვის. მისი პოემები „ვახათაგის ძე პატარა გუიმანი“ და „ბადელათების იმედი“ ფოლკლორულ მოტივზეა აგებული.

მასზე დიდი ზეგავლენა მოუხდენია კოსტას შემოქმედებას. მან თარგმნა რუსი და უცხოელი პოეტების ნაწარმოებები.

მისი ნაწარმოებების კრებულები რამდენჯერმეა გამოცემული.

ნიგერი გარდაიცვალა 1947 წელს, 3 მაისს.

ჩერმენ ბეჯიზათი
(1898-1937)

ჩერმენ ბეჯიზათი დაიბადა ჯავის რაიონ სოფ. ედისში. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამხრეთ ოსეთის რევოლუციურ მოძრაობაში.

ლექსების წერა დაიწყო ადრეულ ასაკში. გამოცემულია მისი ნაწარმოებების კრებულები: „ამოღებული ხმალი“ (1935 წ.), მოთხრობები, ნოველები (1934 წ.) და სხვ.

ჩერმენ ბეჯიზათის პიესები: „ვინ — ვის“ და „შრიალებენ დროშები“ წარმატებით იდგმებოდა ოსური თეატრის სცენაზე.

ჩერმენ ბეჯიზათი 1937 წელს რეპრესიების მსხვერპლი გახდა.



სოზირიყო ყულათი
(1900-1937)

სოზირიყო ყულათი დაიბადა 1900 წელს ჯავის რაიონის სოფ ზღუბირში. ობოლი სოზარიყო ყულათი ბიძამ გორის სასულიერო გიმნაზიაში მიაბარა, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ცხინვალში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. იგი რედაქტორობდა ჟურნალ „ფიდიუაგს“. წერდა მოთხრობებს, ნოველებს, პუბლიცისტურ ნაწარმოებებს. 1917-1920 წლებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამხრეთ ოსეთის მშრომელთა რევოლუციურ აჯანყებაში ცარიზმის წინააღმდეგ.

უმაღლესი განათლება ს. ყულათიმ მიიღო მოსკოვში. 1928-1929 წლებში გამოიცა მისი ნაწარმოებების ორი წიგნი.

1936 წელს გამოიცა ს. ყულათის რჩეული ნაწარმოებები. მის პიესებს ხშირად დგამდნენ ოსური თეატრის სცენაზე.

ს. ყულათი 1937 წელს რეპრესიებს შეეწირა.

ქუძაგ ძესთი
(1905-1970)

ქუძაგ ძესთი დაიბადა 1905 წელს ჯავის რაიონ სოფ. ედისში. 1920 წელს იგი საცხოვრებლად გადადის ჩრდილო კავკასიაში, სადაც მან მიიღო საშუალო განათლება. 1924 წლიდან იგი თანამშრომლობს სხვადასხვა გაზეთთან და მისი ლიტერატურული მოღვაწეობაც ამ პერიოდიდან იწყება.

1926 წელს იგი სწავლას აგრძელებს მოსკოვის ჟურნალისტიკის ინსტიტუტში.

1932-35 წლებში გამოიცა მისი მოთხრობების ორი კრებული.

გამოცემულია მისი მოთხრობების კრებულები. 1957-58 წლებში დაიბეჭდა მისი პიესები, ასევე ორი საბავშვო წიგნი.

ქუძაგ ძესთი გარდაიცვალა 1970 წელს.

ალექსანდრე ძადთიათი
(1881-1937)

ალექსანდრე ძადთიათი დაიბადა ჯავის რაიონ სოფ. სბაში 1881 წელს. 1917 წელს დაამთავრა პეტროგრადის ნევრო-ფსიქოლოგიური ინსტიტუტი.

ა. ძადთიათმა სამწერლო მოღვაწეობა დაიწყო 1924 წლიდან. გამოცემულია მისი ნაწარმოებების რამდენიმე კრებული.

ა. ძადთიათი 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლი გახდა.

გიორგი ძუგათი
(1911-1982)

გიორგი ძუგათი დაიბადა 1911 წელს სოფ. ძომაღში. აქვე დაამთავრა ოსური დაწყებითი სკოლა. შემდეგ სწავლა განაგრძო ცხინვალის პედტექნიკუმში, რომელიც 1935 წელს დაამთავრა. იყო გაზეთ „კომუნისტის“ (ოსური) პასუხისმგებელი რედაქტორი. პარალელურად სწავლობდა სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

ომის დამთავრების შემდეგ გ. ძუგათი წლების განმავლობაში იყო ჟურნალ „ფიდუაგის“ რედაქტორი. მას გამოცემული აქვს ლექსებისა და მოთხრობების მრავალი კრებული, მათ შორის ქართულ ენაზე. რომანი „ოქროს წყარო“, პოემა „არწივის სანავარდო“, ლექსები და საბავშვო მოთხრობები მკითხველმა იმთავითვე შეიყვარა.

გიორგი ძუგათის პოემები, ლექსები აღსავსეა კაცთმოყვარეობის მაღალი იდეალებით. ოსი ხალხის ღირსეული წარმომადგენელის გ. ძუგათის ნაწარმოებები ხალხისათვის საყვარელ ქმნილებებად იქცა.

გიორგი ძუგათი გარდაიცვალა 1982 წელს.

გიორგი ბესთაუთი
(1932-1978)

ცნობილი ოსი პოეტი და მთარგმნელი გიორგი ბესთაუთი დაიბადა 1932 წლის 5 მაისს, ცხინვალის რაიონის სოფელ გოგიანთკარში. დაამთავრა ამავე სოფლის დაწყებითი ოსური სკოლა. ოჯახი მალევე გადადის საცხოვრებლად ცხინვალში და გიორგი ბესთაუთი სწავლას განაგრძობს ცხინვალის 1-ელ ქართულ საშუალო სკოლაში, რომელიც 1952 წელს დაამთავრა ოქროს მედალზე. იმავე წელს ის ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. 1957 წლიდან გ. ბესთაუთი კვლავ ცხინვალშია. სწორედ ამ წელს გამოდის მისი ლექსების პირველი კრებული ოსურ ენაზე. 1962 წელს გამოდის მისი ლექსების კრებული ქართულ ენაზე. 1968 წელს გამოდის მისი ლექსების კიდევ ერთი კრებული „დღე და ღამე“.

ცალკეა აღსანიშნავი მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობა. იგი საუკეთესოდ ფლობდა ქართულ და ოსურ ენებს, რაც მის თარგმანებშიც კარგად ჩანს. გიორგი ბესთაუთმა შესანიშნავად თარგმნა ოსურ ენაზე შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი.“ 1978 წელს მას მიენიჭა ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიის პირველი ლაურეატის წოდება.

გიორგი ბესთაუთი გარდაიცვალა 1978 წლის 30 ივლისს ქ. ცხინვალში.

გაფეზი
(თევდორე გაგლოითი)
(1935-1983)

გაფეზი დაიბადა 1913 წლის 5 მაისს. 1935 წელს დაამთავრა სტალინირის პედტექნიკუმი. იგი მუშაობდა ჯერ სოფლის სკოლებში მასწავლებლად, შემდეგ სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში.

1954 წლიდან გაფეზი ხელმძღვანელობდა საქართველოს მწერალთა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილებას.

გაფეზის პირველი ნაწარმოებები ქვეყნდება 1935 წელს. გამოიცა მისი ნაწარმოებების მრავალი კრებული: „ფანდირის ხმები“ (1940 წელს), „ცხოვრება სამურია“ (1948 წელს, „ამინათი“ 1949 წელს, „რჩეული“ 1954 წელს, „მუხის ჭალა“ 1956 წ.) და სხვ.

გაფეზი გარდაიცვალა 1983 წელს.

სარჩევი

წინასიტყვაობა 3

პოეზია 5

თემირბოლათ მამსუროვი

ფიქრები (თარმანი ნ. ბეპიევისა) 7
ორი მეგობარი (თარგმანი მისივე) 10
ავადმყოფი და ავადმყოფის მნახველი (თარგმანი მისივე) 13
აკვნის სიმღერა (თარგმანი მისივე) 17
ჩემს მეგობარს (თარგმანი მისივე) 18
ვიღაცას (თარგმანი მისივე) 20
სიწყნარე (თარგმანი მისივე) 21
ო, ღმერთო ჩემო! (თარგმანი მისივე) 22

კოსტა ხეთაგუროვი

ანდერძი (თარგმანი ნ. ბეპიევისა) 23
ნანინა (თარგმანი მისივე) 23
მოთქმა (თარგმანი გ. ბესთაუთისა) 24
ირემი და ზღარბი (თარგმანი მისივე) 25
ჰეი, ვასთირჯი, მოგვხედე (თარგმანი მ. ლებანიძისა) 26
*** მე მიყვარს იგი... (თარგმანი მ. ფოცხიშვილისა) 27
*** თუ ჩვენი ხშირი შეხვედრა, ტურფავ... (თარგმანი მისივე) 29
*** ამაოდ შევხვდით ერთმანეთს, კარგო... (თარგმანი მისივე) 29
ზამთარი (თარგმანი მისივე) 30
მერცხალი (თარგმანი მისივე) 30
ფიქრები (თარგმანი კ. კალაძისა) 31
გაზაფხული (თარგმანი მისივე) 32
თოხიტარა (თარგმანი ვ. ჯავახაძისა) 32

ახალი წლის ღამე (თარგმანი მისივე) 33
* * * მე თქვენ გაგიგეთ... (თარგმანი მისივე) 33
ვიცი (თარგმანი ჯ. ჩარკვიანისა) 34
გადამწყვეტ წუთს (თარგმანი ს. თავაძისა).....35
კაცივით (თარგმანი გ. ჭიჭინაძისა).....36
ვის — რა? (თარგმანი მისივე) 36
შემოდგომა (თარგმანი ი. ორჯონიკიძისა) 37
ჯიხვი (თარგმანი მ. პატარიძისა) 38
ობლების დედა (თარგმანი კ. კალაძისა) 38
მიცვალებულის საფლავთან (თარგმანი გ. ნიშნიანიძისა) ...42
მეგობრის კუბოსთან (თარგმანი ს. შანშიაშვილისა) 43
მ. ზ. ყიფიანის გარდაცვალებაზე
(თარგმანი გ. ქუჩიშვილისა) 44
ფატიმა (თარგმანი გ. ცეცხლაძისა).....45

ინალ ყანუყათი

საღამო ოსურ სოფელში (თარგმანი ნ. ბეპიევისა) 90

სეკა გადიათი

მყინვარწვერს (თარგმანი მ. არაბულისა).....91
ავდარი (თარგმანი გ. ძნელაძისა) 92
იმედი (თარგმანი მისივე).....94

ასლამირზა ყაითმაზთი

ობოლი (თარგმანი ნ. ბეპიევისა) 95
თიბვა (თარგმანი მისივე).....96

ცომაყ გადიათი

ნატვრა (თარგმანი ზ. მედულაშვილისა) 97
ჩანჩქერი (თარგმანი ნ. გურეშიძისა) 98

გიორგი მალითი

ქალიშვილის სიმღერა (თარგმანი ნ. ბეპიევისა) 100
ძირასგა (თარგმანი მისივე) 101

ილას არნიგონი

გამიხსენე (თარგმანი ნ. ბეპიევისა) 102
მოდი, მო (თარგმანი მისივე) 103
დალოცე (თარგმანი მისივე) 105
შევკაზმო ცხენი (თარგმანი ნ. ჩაჩავასი) 105
ჩიტი (თარგმანი გ. ძნელაძისა) 106

სოზირ ბაგარათი

ცეკვაზე (თარგმანი მ. კახიძისა) 108

ნიგერი (ივანე ჯანაევი)

გალობდა ბულბული (თარგმანი ნ. ბეპიევისა) 109

გიორგი ძუგათი

არწივი (თარგმანი მ. ფოცხიშვილისა) 111
ხიდი (თარგმანი მისივე) 112
*** მე ჩემი ფიქრების წრეში (თარგმანი მისივე).....112
არწივის სანავარდო (თარგმანი მისივე) 113
ანდერძი (თარგმანი მისივე) 113

გიორგი ბესთაუთი

ქარიშხალი (თარგმანი გ. შაჰნაზარისა) 114
თავსხმა (თარგმანი მისივე) 118
განთიადი (თარგმანი ბ. ხარანაულისა) 119
ჰაი, გიდი! (თარგმანი მისივე) 119
*** ნეფერტიტ, სანთლად ქცეულო ქალო...
(თარგმანი მისივე) 120
იმედი (თარგმანი ჯ. აჯიაშვილისა) 122

*** ჩემს ცხოვრებას – ძაფის გორგალს... (თარგმანი
გ. ალხაზიშვილისა) 123
*** გაქვავებულო გულო... (თარგმანი მისივე) 124
ნუ იტყვი (თარგმანი თ. ბექიშვილისა)....125
მოოქროვილი საღამოები (თარგმანი მისივე) 127
*** ღამეა, ვფიქრობ შენზე... (თარგმანი მისივე)....128
*** როგორც ნასროლი თევზი რიყეზე... (თარგმანი
თ. ბექიშვილისა)....129
*** გაუხუნდა ფერი... (თარგმანი მისივე) 130
*** მდუმარებდა ცა და მიწა... (თარგმანი მისივე)....131
საათი (თარგმანი ჯ. ჩარკვიანისა)....132
სიცოცხლე სიხარულია (თარგმანი ვ. ყუბუსიძისა)....132
*** სიზმარი ვნახე... (თარგმანი გ. ძნელაძისა)....134

გაფეზი (თევდორე გაგლოითი)

ჩემი ოსეთი (თარგმანი გ. შაჰნაზარისა)....136
ფიჭვი (თარგმანი გ. ძნელაძისა) 137

პროზა....139

სეკა გადიათი

კაცი თუ ნადირი (თარგმანი მ. ცხოვრებოვასი)....141
მერცხალი (თარგმანი მისივე) 143
სიზმარი (თარგმანი მისივე)....145

არსენ ქოცოითი

ყუსოი (თარგმანი მ. ცხოვრებოვასი) 149

ცომაყ გადიათი

ცხოვრების ტვირთი (თარგმანი მ. ცხოვრებოვასი) 158
ფუტკარი და ობობა (თარგმანი მისივე) 167

ჩერმენ ბეჯიზათი
ქოძირთები (თარგმანი მ. ცხოვრებოვასი) 169
ახლევათების რძალი (თარგმანი მისივე) 176

სოზირიყო ყულათი
მწყემსის ფიქრები (თარგმანი მ. ცხოვრებოვასი) 186

ქუძაგ ძესთი
პურის მომტანი (თარგმანი გ. თედეევისა) 195

ალექსანდრე ძადთიათი
ბრძოლის ველი (თარგმანი გ. თედეევისა) 217

დანართი 222

ოსური მწერლობის ანთოლოგია

(ქართულ ენაზე)

Ирон Литературæйы антологи

(Гуырдзиаг æвзагыл)

გამომცემლობის რედაქტორი: *ნაირა ბეპიევი*
Рауагъдады редактор: *БЕППИТЫ НАИРÆ*

მხატვარი: *მეგი თედეიშვილი*
Нывгæнæг: *ТЕДЕИШВИЛИ МЕГИ*

მადლობას ვუხდით ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ფინანსური დახმარებისათვის

Стыр бузныг зæгъæм фонд «Æргом æхсæнад – Гуырдзыстонæн» финансон æххуыссы тыххæй

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge